ჩვეულებას განცობრიობაში ისე არათუ არ ემორჩილება, როგორც სასოგადობრივი ცხოვრება გაუნათლებელ პირებისა და ნამეტნავად გლეხებისა. დარწმუნებული ვარ, რომ ასე გითხვამის მისცეთ ჩვენებურ კაცს შესასებ საქმისა, რომელსაც იგი მუდამ დღე განაგებს, ერთხელ ვერ მოგცემთ იგი საფუძვლიან მიგებას, თუ რისთვის მოქმედებს იგი ასრე და არა სხვა ნაირად. თქვენ გითხვამის ეს მარტო ამას გეტყვი: ჩემ მამა-მამას ასრე უცხოვრია და მეც მათ გზასე მივდივარ. რაც გინდ გულ მოდგინეთ და სედ მიწეებით აუხსნათ გლეხს საქმე, თუ როგორ უნდა გააუმჯობესოს მან თავისი გლეხური საქმეები: მიწის სუნა, ურმის გაკეთება, საქონლის მოვლა, მიწის სასუქით შესავება და სხვ. იგი თქვენ დარბობასე გულ-გრილად შეძგებ სიტყვებით მოგმოდებათ: ნუ დაჭკარავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა; დიქთს დაუღრცავ უწინდებური გზაც და ცხოვრებაცა.

ამისთანა კაცია ისეთი მოწიწებით ეტყება ჩვეულებას, რომ მას არამც თუ ერთი პირიდან დარბობა, არამედ მთელ სასოგადობრივ გაუმჯობესებულ ცხოვრებაშიაც რომ ჩაყენეთ, ისიც კი მასზედ ვერ მოიღებს მოქმედებას.

გარდა ჩვეულებისა ძველ ცხოვრებისადმი, მიწეში ამისთანა ახარებულ უარ-ჭეოფისა ახალ მეურნეობის შემოდებაზე, თითონ სასოგადო ცხოვრების ღტოლვილებშია. კარგათ

რომ საქმეს დავაკვირდეთ, შევატყუებთ, რომ ესლანდელ დროში არც გლეხობა და არც თავად-აზნაურობა სრულიად მეურნეობის გაუმჯობესებაზედ არ სცდილობს. პირველებს ღვდელ-დაკონობა მიანხიათ ნეტარებად და მეორეებს ჩინოვნიკობა. რამდენად ეს აზრი ძართაღია, შევიტყუებთ უფრო კარგათ. როდესაც გლეხის და თავად-აზნაურობის ცსოკრების მიხანს გავიგებთ, როდესაც მათ გულის აღმძვრელ მიხეხს, რომლის ძალითაც იგინი თავიანთ შვილებს შეოლასში აძლევენ, გაძოვიკვლევთ. როგორ ჭიკჭირობთ, მკითხველო, გლეხი თავის შვილს სასწავლებელში იმ განსახსვით უშვებს, რომ მან თავისი შვილი სწავლის გათავების შემდეგ თავის გლეხურ საქმეში გამოიყენოს?... თუ იგი მასინ თავის-თავს უფრო ბედნიერად ჩათვლის, როდესაც თავის შვილს ანაფორასში დაინახავს? ან რას იჭიკრობს დიდი მემამულე თავადი, როდესაც იგი თავის შვილს სასწავლებელში წდის? აძლევს იგი თავის შვილს ისეთ სწავლას, რომელიც მას შემდეგში თავის საკუთარ მამულის გამკეობაში დიდ საჩებებლობით გამოადგება? რომ ბეკრი აღარ განავგრძელო, მე თითონ ავსსნი ამ კითხვას მოკლეთ და სწოროეთ. აი რას იჭიკრობს ჩვენი მეტის-მეტე უწინდელი ჩვეულების მიმდევნი თავადი: ჩემს ვაჟს გვარეულობა კარგი აქვს, ამისგამო პროტეკციაც, და, თუ უნივერსიტეტის დიპლომიც გამოიტანა, მასინ ხომ ჩინოვნიკური ასპარეზი მისთვის ეკვლგან გასსნილიაო. ამ აზრით წდის თავის შვილს ზემო აღნიშნული თვისების კაცი და მისი შვილიც, სწავლის გათავების შემდეგ, შედის ჩინოვნიკად და სშირად მთელ მხარეებს, გუბერნიებს და მარებს განაკებს, მასინ როდესაც თავისი მამულისა და თვისი სახლის კუთხისა კი არა ეუურება-რა. მას იჭიკება სათავილოთაც მიანხია

რომ მან თვის სახლის და მამულის გარემოებს თვითონ  
 ხელი მოაუღოს, თითონ გაისარკოს და ნაწარმოებს გზა  
 უჩვენოს, თუ სად და რანაირად იგი უნდა გასადგოს, რო-  
 გორც მისთვის, ისე თვისი სამშობლოს სასარგებლოდ. ასე  
 და ამ ნაირად დღიდან-დღეზე გადადის ჩვენი მამა-პაპურ  
 კვალზე გაკვერილი ცხოვრება. ვინც ეს გარემოება ჩვენის  
 ქვეყნისა იცნას, იგი ადვილად წარმოიდგენს, როგორი სიმ-  
 ნელე უძვეს კაცს წინ, როგორი ცოდნა და უნებობითი ძალა  
 უნდა ისმაროს მან, რომ განარღვიოს წინ აღშენებული კედ-  
 ლები წარსულის აზრისა და ცხოვრებისა, რათა სეირიანი და  
 საფუძვლიანი მეურნეობა შემოიღოს. მაგრამ შემდეგი კითხვა,  
 რომელიც ამ ხალხ მეურნეობის თაობაზე მაგონდება, არ  
 შემიძლიან არ წარმოვსთქვა: საჭიროებას თუ სარგებლობას უნდა  
 უცადოს ვაძმა გონივრულ მეურნეობის შემოღებაში? — საჭირო-  
 ება შევიწროებულ ცხოვრებიდან და სისაწყულიდან წარმოსდგება და  
 სარგებლობა თითონ მოძვეალ საქმეზე და მოკვიდებული. მად-  
 ლობა ღმერთსა, ამასე დიდი შევიწროება და სისაწყლე ჩვენ  
 გლეხს კიდე უნდა, რომ მის თავმა და გულმა შეიტყოს რა  
 აუცილებელ საჭიროებას შეადგენს მისთვის მისი გლეხური  
 საქმეების გაუმჯობესება, ანუ საზოგადოთ ვსთქვათ, გონიურ  
 პრინციპზე დაყენებული მეურნეობა? რაც შეეხება ხალხ მეურ-  
 ნეობიდან სარგებლობას ანუ გამოჩენას, მის წინააღმდეგი  
 ბევრი თქმულა და ესლაც ბევრსა ლაპარაკობენ, თუმიცა საქმე  
 არავის არ გამოუცდია ჯერ, თუ რამდენად სასარგებლოა, ან  
 საზარალოა ყოველი ახალი შემოღება მეურნეობის სფეროში.  
 ბევრჯელ გამოიგია, რომ ჩვენ მხარეში თურგუნის ან ოთხ-თვა-  
 ლიანი ურემი — როგორც გინდათ ისე დაუძახეთ — მინამ-  
 დინ არ გამოდგება, მინამ გზებს არ გააკეთებენო, მინამ

რამდენიმე სიტყვა ჩვენ მეურნეობაზე.

ყოველ სოფლებში მისი მცოდნე და გამკეთებელი მჭედელი არ აღმოჩნდება და სს. რამდენად ეს არის მართალია, შემდეგი მსჯელობიდან დაინახათ მკითხველთ. ჩვენი მხარე ბუნებით მთიანია და გორაკებანი — ეს თქვენ თითონაც კარგათ იცით — მასხადაძე ჩვენ ისეთი სათრუალებელი იარაღი ანუ სიმძიმის გადასატან-გადმოსატანი უნდა გქმონდეს, რომ ჩვენ მხარეს შეჭურვოდეს და მის მოთხოვნილებას აკმაყოფილებდეს. ახა ახლა გავშინჯოთ, მართლა ურემი უფრო მის მოთხოვნილებას კარგათ აკმაყოფილებს, თუ ფურგუნია? ამ კითხვის მიგება თითონ ურემის და ფურგუნის ასხანაში მდგომარეობს და ეს ასხანა გამოინატებს ჩემის აზრით ასე: ურემი თანახმო მხრანი ახარმადია, (ჩინაგია), რომელსაც ალაგი სიმძიმის ძალისა მართლ ერთს ღერძსად აქვ დადგნობილი, რისგამოც ეს ძალა ყოველ ურემის უძირვე აწევ-დაწევასში აქეთ-იქით გადად-გადმოდის, აქედან წარმოსდგება. ურემის თავ-მძიმ — თავ-მსუბუქობა ამისთანა აშენებულობისა-გამო ურემი, რაც გინდ სწორეთ იყოს დადებულად, მანც ად-მართლ ატანის დროს იგი თავ-სუბუქია და თავ-ქვე ჩაშვების დროს თავ-მძიმე. რა შედეგი ანუ შედე-მომქმედებს აქვს ამ შემთხვევას საქონელზე ეს უჩემოთაც მკითხველმა, კვონებ, კარგათ იცის. რამდენად განიჩნებს ფურგუნია ანუ მთხ-თვალანის სათრუალებელი იარაღი ჩვენი ურემიდან, ადვილად წარმოსადგენია. ფურგუნია განსაკუთრებით მით განიჩნებს ურემიდან, რომ სიმძიმის ძალას მასში უფრო ფართო ადგილი უჭირავს, ე. ი. სულ ის ადგილი, რომელიც წინა და უკანა ღერძების შუა არის. თუმცა ეს სიმძიმის ადგი-ლი (точка давлениа) აღმართ დაღმართში იცვლება, მაგრამ უკანასკნელი წერტილები ამ ძალის მიწოდისა (крайніа

ТОЧКИ ДАВЛЕНИЯ) წინა და უკანა ღერძების უოკელთვინ. ამ წერტილებს სამძიმის ძალა ძრეულ იშვიათად გადასცდება, მხოლოდ მაშინ, როდესაც ფურცელი ისე აუიწავდება, რომ კუთხე დადრეკილებისა (УГОЛЪ НАКЛАНЕНИЯ)  $90^\circ$  მეტია. აქედან სხანს. რომ ფურცელი მთიან ალაგასუფრო-სასარგებლო სატარებელია, ვიდრე ურემი. ერთი სეი-რანი თვისება ჩვენი ურმისა ის არის, რომ იგი იათად ჯდება და სესების ძალა (СИЛА ТРЕНИЯ) ცოტა აქვს, ვიდრე ფურცელს, რადგანაც ორთავლიანია. ესლა იმულებული ვარ, რომ ორიოდუ სიტუკა შესასებ გზებისა ვსთქვა, რადგანაც კარგი საურმე გზები მეურნეობისთვის მართლაც აუცილებელ საჭიროებას შეადგენენ. მე აქ გზების მიმდინარეობაში არ შევალ მე მარტო წინააღმდეგ ზევით ნათქამ აზრისას ამას ვიტყვი, რომ ფურცელის შემოღება გზების გაკეთებაზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ გზების გაკეთება ფურცელის შემოღებაზეა.

მართლაც, წარმოვიდგინოთ, რომ სასაფლო გზები ყველა ადგილას გააკეთეს ისე, რომ ფურცელი თავისუფლად იტარება; იქნება გზონათ გლეხმა ამ შემთხვევით ისარგებლოს და ურმის მაგიერათ მან ოთხ-თვლიანი ზოკოსკა ან ფურცელი შემოიღოს?!... არა მგონია. იგი აი მაშინ რას იფიქრებს: თუ კი ოდრო ჩოღროიან გზაზე ჩემ დაბნაისელ ურემს წინაღ ვატარებდიო, ესლა უფრო კარგად ამ გაკავებულ გზაზე არ ვამუშავებო!!.. რა ძალა მადგა, რომ ფურცელი შემოვიღოვო! ამ შემთხვევაში გზის გაკეთებას არ შესანიშნავი სარგებლობა არ ექნება. ჩვენი მხარეები, რომელნიც სამეურნეო წარმოებით უფრო შესანიშნავი არიან, მადლობა

ღმერთსა, კიდევ ისეთი გზებით შეერთებულეობა, რომ ფურგუნის კარვად იმუშავებს, თუ კი ატარებენ.

ფურგუნის გზასე გატეხვა და აქედან საზოგადოებრივი მოთხოვნის მქედლებში, ან ფურგუნის გამკეთებელში, ან შეიძლება რომ ფურგუნის შემოღების წინააღმდეგ მიზნულად ჩაითვალოს, როგორც ძველი ჩვეულების მიმდევრე მეურნეები იძახიან. ჩვენებურ მქედლებს ფურგუნის რკინიგზის გაკეთება ან გაუჭირდებათ. ფურგუნის რკინიგზის მქედლებს რომ ერთსეულ ნახოს, ანა მგონია, რომ მას მისი გაკეთება გაუძნელდეს იგი ან თხოვლობს ძრვიელ წმინდა ხელობას, როგორც საათის მესანიხში, ვსთქვათ. ზოგიერთ პირს ფურგუნის წარმოდგენა რომ ნამდვილი ქჭმანდეს, იგი ადვილად დარწმუნდება, რომ შეშის და ძნის ფურგუნი ზოგიერთ ჩვენ ურემსე კაცილებით მაგარი და უბრალო გაკეთებულობისაა. ჩვენ არც მქედებს უნდა კემბდეთ, არც გამკეთებელს; გამკეთებელიცა და მქედელიც მისი თითონ მეურნე—პატრონი გასდება, როდესაც მის საჩუბლობას დანახავს; ჩვენთვის ახალ მეურნეობის შემოსაღებლად გზები და მქედლები კი არ არი საჭიროდ, არამედ ცოდნა და მისი განვრცელებაა ხალხში.

მაგრამ ცოდნა ცოდნიდან განიხივეს. საზოგადოდ რომ ვსთქვა, ჩვენი ხალხი ცოდნას მოკლებული არ არი, მაგრამ ის ძალა, რომელიც ცოდნიდან უნდა გამოდიოდეს, ხალხში კი სრულიად არა სჩანს და, შემოძლიან კიდევ ვსთქვა, არ არსებობს. ეს მითი კი არ აიხსნება, რომ ჩვენ მხარეს ცოტა სასოფლო სასწავლებლები აქვს, საიდანაც უბრალო ხალხს შეუძლიან საჭირო ცოდნა გამოიტანოს, არამედ თითონ ცოდნა, რომელიც ჩვენ ხალხს ამ სასწავლებლებიდან გამოაქვს, არ აძლევს მას ისეთ ძალას, რომლითაც კაცი თვით—მოქმე-

დობას ეხვევა და მონური დამოკიდებულებიდან ძველის ჩვეულებითადმი განთავისუფლებას ცდილობს. ესლანდელ დროში გლეხი კაცისთვის მარტო წერა-კითხვა კი არ არის საჭირო, არამედ ცოდნა ისეთი საგნისა, რომელიც აუცილებლად შეესება მის საქმეს. ასეთი საგანი არის მეურნეობა. რომ ზოგიერთ მკითხველმა თვითნებურად თვალთ არ შესდეს ამ ჩემ გამომთქმულ აზრს შესასებ მეურნეობის ცოდნის საჭიროებისა გლეხისთვის და სპეციალური მნიშვნელობა არ მისცეს ამ სასუელს, საჭიროდ ვხდი განკარტო, თუ რამოტენად მოსათხოვარი ჩვენი სასოფლო სასწავლებლებისაგან მეურნეობის ცოდნის განვრცელება უკლებშუა.

რასაკვირველია, მე აქ მეურნეობას იმ სპეციალურ (თვინიერ) მნიშვნელობას არ ვაძლევ, რომელიც მას მდლად სამეურნეო სასწავლებელში ეძლევა, საცა იგი თითონ სასწავლებელის დანიშნულებისა გამო ყოველი განყოფილებაებით შეისწავლება. მე მინდა ვსთქვა, რომ მეურნეობის ტეორიები და წესები, როგორც საგნისა კი არ არის საჭირო ბავშვების გადასაცემად, არამედ ჯერ თითონ იმ წესების უვარვისობის აღსნა, რომელნიც ჩვენ მეურნეობაში მოქმედობენ და მერმე ხსლის მეურნეობის შემოღება, რამდენათაც იგი ამ ჩვენ ძველებურ მეურნეობას მიუდგება.

ამისთვის მეურნეობის სწავლას უნდა ქტონდეს უფრო პრაკტიკული მიმართულება და ამიტომ აუცილებლად საჭიროა ყოველი სასოფლო შოლისთვის პატარა მამულის მომზადება, რომელსაც ფერმის მნიშვნელობა ექნება, საცა ბავშვები მასწავლებელის სელმძღვანელობის ქვეშ იმუშავებენ ჯერ იმ სამუშაო იარაღით, რომელნიც ჩვენ მეურნეობაში არსებობენ, და მერმე, როდესაც დახელავნებიან მიწის შემუშავებაში,

მიერძმით ახალ სისტემაზე გადასვლა. ურძის გარდა რა არადი მეურნეობისა უნდა იქმნას შეცვლილი, ამას მე შემდეგში ვიტყვი, ხოლო ესაა უფრო საჭიროა რამდენიმე სიტყვა ვსთქვათ მასზე, თუ სად იშვებება ისეთი მასწავლებელი, რომელსაც ამ საქმეებში მოთავეება შეეძლოს.

საუბედუროდ, საქართველოში ერთი სამეურნეო შკოლაც არ არსებობს, საიდანაც სამეურნეო საქმეში დასვლად უნდა მასწავლებლები გამოდიოდნენ. თუმცა იყო ერთად ერთი ლექსინის შკოლა, მაგრამ ისიც ისეთ უბედურ მდგომარეობაში ჩაგდეს, ასე ჭკონია კაცს, უნდათ დამტკიცდნენ, რომ ჩვენ ქვეყანაში გონივრულ პრინციპზე დაყენებული მეურნეობა ვერ იგვარებს, ვერ გამოდგება. რასაკვირველია, ამ შემთხვევას დიდი ზედ-მოქმედება აქვს ჩვენ მამულზე სამეურნეო მხრით მაგრამ ამით კიდევ არ შეიძლება დამტკიცებით ვსთქვათ ვითომც ყოველი სასოფლო შკოლის მასწავლებელი, თუ ვი მას ერთი ბეწო დტოლვილება ჩვენი მამულის მეურნეობის გაუმჯობესობისაკენ აქვს, სრულიად უვარგისი იყოს ამ საქმეში. ვინ არიან ჩვენი სასოფლო-შკოლის მასწავლებლები? — სემენარიელები და სამასწავლებლო ალექსანდროვის ინსტიტუტელები. როგორც პირველი, ისე უკანასკნელიც ძიელ არიან სამეურნეო საგნების სწავლას მოკლებულნი, მაგრამ, ვურსის გათავების შემდეგ, რიგები იძენად გონებით გახსნილნი და მოძინადებულნი გამოდინს მასწავლებლიდგან, რომ, ვგონებ, არ გაუჭირდებათ აუცილებელი საჭირო სამეურნეო ცოდნის ბავშვებისთვის გადაცემა. შემდეგ ერთისა, ანუ რის წლისა, თუ ვი იმათ ყოველ ნაკლულევანებას ჩვენ სამეურნეო სფეროში უური უგდას და თვალი ადევნეს, დაწმუნებული ვარ, პირველი ისინი ნახვენ ჩვენი ქვეყნის ღარიბობის მიზეზს მეურნეობის დაცე

მასში, ზირველად ისინი დაიწეებენ მეურნეობის გაუმჯობესებ-  
 რად დასადაბლად და, უკველია, კიდევ მიაჭერენ მთელ  
 საზოგადოებას ყურადღებას ამ უმთავრეს ჩვენის ცხოვრების  
 ნაკლებობებს. ზოგიერთი სასოფლო შრომის მასწავ-  
 ლებელთაგანი იქნება კიდევ გულ-წრფელად და ნათლად  
 გმობდეს მთელ ჩვენი მეურნეობის უვარგისობას და მის  
 ესლანდელ დროსთან შეუფერებლობას, მაგრამ რა ჭქნას საწყალობა  
 ამისთანა დროში, როდესაც მას მართებს ბრძოლა მატრო-  
 თავის ამ საგანში უცოდინარობასთან კი არა, არამედ მთელ  
 საზოგადოებრივ უმცირესობასთან შესახებ ამ საგანისა. რა ჭქნას  
 ახალ-გაზდა მცოდნე კაცმა ამისთანა საზოგადოებაში, საცა  
 ყოველ მის სიტყვას, ყოველ მის მოქმედებას სამეურნეო  
 საქმეებში ისე დამცინი თვალთ შეუტევენ ისეთ სრიაკებს  
 უდებენ და ყოველის მსრით ენერჯიას უვარგვენ, რომ ერთდ-  
 ერთი შეცდომილება მის მეურნეულ — მოქმედებაში ჩვენი  
 მეურნეობისთვის საკმაოა, რომ ამ უვარგისებობა მტკიცე დასკვნა  
 გამოიყვანონ ჩვენ მხარეში ახალ მეურნეობის შემოღების  
 უვარგისობაზე. მკითხველო, ყოველი ახალ-გაზდა კაცის ხასი-  
 ათი ხოლო მასშინ იჩაგრება უფრო საშინლად, როდესაც მის  
 პატიოსან ლტოლვილებს ტალახში ავდებენ და ფეხით სჭყლე-  
 ტენ; როდესაც მის ცოდნას უმცირესობას ადარებენ. ერთი  
 ცნადი ფაქტი, რომელიც შესახებ ამ საგანისა მაგონდება,  
 არ შემოძლიან არა ვთქვა, მით უფრო რომ ჩვენ ახალ-გაზდას  
 საშინლად დიდი ზნეობითი ძალა, სიმხნე და დაუფრენებელი  
 შრომა სჭირდება, რომ მან გულ-გრილად და დაუშავებლად  
 თავის ხასიათისა ამ უმცირესობასთან ბრძოლა აიტანოს.

სასულდობრივ ვერ ვიტყვი, ვის ეკუთნის ეს ფაქტი,  
 მხოლოდ მოგახსენებთ, რომ ერთს ახალ-გაზდა მცოდნე

რამდენიმე სიტყვა ჩვენ მეურნეობაზე.

ყმაწვილ კაცს, რომელიც თავის მამულში დაუზოგავად თავს მეურნეობის გაუმჯობესობას სწინაგდა და თვისი მომავალი ბედი და სიცოცხლეს მეურნეობასვე უნდოდა დაემყარებინა, მისი ჰატრონი ისეთი უნდობი თვალთ უცქეროდ რომ თავისი შვილი საუკუნოდ დაღუპული ეკონა. მას ძალ-ძალ დასტინოდნენ და ყველის კეთებაში ჩვენ შემცხვარებს ამჯობინებდნენ; მაგრამ გაიარა დრომა, იგდო მან თავისი მამული, როგორც სრული ვუთვნილება, ხელში და ესლა მას სამაგალითოდ განაგებს.

დავანებოთ ესლა თავი ამისთანა ფაქტებს და დაუბრუნდეთ შემდეგ აზრს: სეირიანად მეურნეობის წაყვანა რამდენადაც ჰატრონის ცოდნაზე, იმდენად სეირიან მასხანდასედაც და ნაწარმოების გასაღებასვე არის დამოკიდებული. კარგი შემამულე რაც გინდ ცოდნით და ბეჯითად ექცეოდეს თავის საქმეს, რაც გინდ მაგარ ფესზედ ჰყვანდეს დაყენებული თავის მამულის მეურნეობა, მაინც კიდე იგი იმ გამორჩენას მეურნეობიდან ვერ დაინახავს, რომელიც მას კაი მასხანდის დროს შეჭფერის. აქედან წარმოხდება ის საზოგადოებრივი ჩვენი შემამულეების ჩივილი, რომელიც ყოველ-დღე ვიპყრება შესახებ მამულის გამორჩენლობისა. ეს ჩივილი, ვიმეორებ, მითი აიხსნება, რომ მამულის ნაწარმოებს წესიერი გასავალი არა აქვს, რომ გლეხის მამული ყოველ წლივ იყვლითება და იცარცვება. მამული იყვლითება და იცარცვება ყოველ შემთხვევაში, როდესაც მასზედ მოგროვილ ჭირნახულს ძიელ იაფ-ფასად ჰყიდიან. გარეგანი შესედელობით თითონ მამულის და ჭირნახულის ფასის შუა არა ვითარნი ვაჰშიარი არა სხანს, მაგრამ ავრიკულტურის მხრით კი ამ რჩს განს ენთი ერთმანეთსე ძალიან დიდი დამოკიდებულება

აქვსთ. ამ დამოკიდებულობის ძალით, ყოველი მამული იმ ფასიღვან, რომელიც მისი ჰატრონი მამულის ჭირნახულიდან იღებს, თხოულობს თავის შესავსებად და გასაკეთებად ჯერჯერობა ნაწილს. თუ მემამულე დანიშნულ ნაწილს ფასისას სკამად არ აძლევს მამულს და მისგან კი მომატებულ ჭირნახულს თხოულობს, უეჭველია, რომ იგი ამ შემთხვევაში თავის მამულს თითონვე ჭყვლეფს. მაგრამ საიდან შეუძლიან ისეთი მეურნეს, რომელიც მარტო მამულის შემოსავლით ცხოვრობს, თავის მამულის მოთხოვნილება დააკმაყოფილოს, თუ კი ის თავის სახლობის შესანახად ფასსაც მამულის ჭირნახულიდან ძლივ იღებს?! აქედან, ვგონებ, მკითხველი დაინახავს, რომ ერთი უმთავრესი მუწუკი ჩვენის მეურნულ ცხოვრებისა არის ისეთი ადგილის უქონლობა, სადა რომ ყოველ მემამულეს შეეძლოს ჭირნახულის რიგინად გასაღება.

ჩვენი მეურნეები თავის ჭირნახულს მომატებულ ნაწილად სომხებსვე ასაღებენ ისე და იმ რიგად, რომ ვაღს ამისთანა გასაღებაზე გული ეძვრება, რომელსაც ჭხედავს, წადიდი ნაწილი ჭირნახულისა უსარგებლოდ და ჰატრონის საზარადოდ იღუპება. თხუტმეტჯერ მივა სომეხი სინჯვი ღვინის ჰატრონთან ჭანჭანის გასაღებად და თხუტმეტჯერვე ისე ვამოთხრობა, რომ ჰატრონს ამისთანა მასწინძლობა თითქმის ერთ ჩაფხადინ უჯდება. შემდეგში, თუ ღვინო მოწონა, ურიგდება იგი ჰატრონს ფასში და დანიშნულ დღესე მიუსევს მის მარნისკენ ათიოდ მეურმეებს და მოჯანაგირეებს ღვინის ამოსაწვევლად. ამისთანა შემთხვევაში თითონაც იგიდის კაი სუგის სამწვადებს, ანუ ერთ ჰატრონს თავ შაქარს, თუ ღვინის მიმსუიდეკელი შინ ჩაის ხმარობს, და გვეძვრება ღვინის ჰატრონისკენ რომელთანაც ღვინო ამოსაწვევლი ეგულება. რამ წამს

ქვეყნის ღვინის ამოსაღებად აჭნდინს, ჯერ ერთი კარგა ის-  
 უმებენ ახლი ქვეყნის პირსედ და შემდეგ შეუდგებიან ამო-  
 წვეას. ამოწვევის შემდეგ, სირაჯი შატრონს უთავაზებს სხუ-  
 ქასს და შეესვენება მას, რომ, გაუიღულ ღვინის გარდა, მან  
 რამთენიმი ჩაფი კიდე დაუმატოს. შესასებ ამ დამატებისა დი-  
 დი ღაპარაკი ასტუდება ხოლმე, მაგრამ ბოლოს და ბოლოს  
 შატრონი იძულებულია, ორიოდ-სამიოდ ჩაფი კიდე მეტი  
 მისცეს თავის მოვაჭრეს, თუ არა და, იგი, წინააღმდეგ  
 შემთხვევაში, აწუღს ღვინოს ისევე ქვეყნში უშვებს და  
 სამუდამოდც ესაღება მას. ნასუიდი ღვინო ვაჭარს ქალაქს  
 ჩამაქვს და აქ თითქმის ერთი ორად ჭყიდის. პირველათვე ცუდი  
 ზედ-მოქმედობა ჩვენს მეურნეობაზე თითონ იმ შემთხვევას  
 აქვს, რომ მეურნეული ჭირნახული სოფლელებისა პირდაპირ  
 კი არა, არამედ სირაჯების საშუალებით მოქალაქეების ხელ-  
 ში გადადის. ყოველ იმისთანა შემთხვევაში, როდესაც სოფ-  
 ლელებ და მოქალაქეებშია მეურნეული ნაწარმოების გასასაღებ-  
 ლად მესამე პირნი იღებენ მონაწილეობას, მეურნეულ ჭირ-  
 ნახულს სოფლელებისთვის ფასი უვარდება და მოქალაქეების-  
 თვის კი ემატება; ამიტომაც მეურნეობა არც თითონ შატრონს  
 ანუ მწარმოებელს აძლევს გამორჩენას და არც აგრეთვე მოქალა-  
 ქესთვისაც ხდება სასარგებლო. რადგანაც კარგი ბაზარი, ანუ  
 გასასაღებელი ადგილი მეურნეული ჭირნახულისა შეადგენს  
 ერთ უმთავრეს მიზეზთაგანს მეურნეობის კეთილ დღეობისას,  
 ამიტომაც საჭიროა რომ ყოველმა სასოფლო საზოგადოებამ  
 ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს მას, თუ სად და როგორ  
 უნდა გასაღდეს მისი მეურნეული ჭირნახული.

პირველი პირობა სერიანად ჭირნახულის გასაღებისა  
 არის თითონ მეურნე-შატრონის დამოუკიდებლობა შუამავალ



პირებისაგან და, ჩვენდა საუბედუროდ, ამ პირობას ჩვენი მუ-  
ყუნე მომატებულ ნაწილად მოკლებულია. ამისთანა მდგომარე-  
ობისაგან გასანთავისუფლებლად სუყველასე კარგი იქმნებოდა,  
რომ ყველა სასოფლო საზოგადოებას თავის საკუთარი ზანა-  
რი, ანუ ღეშო ჭირნახულისა ჰქონდეს და თითონვე თავის  
საქმეს აწარმოებდეს.

\*\*\*

და-სხვა ნაირი თევზებით. რაღა აკლია საქართველოს, რომ ამას მდიდარი დაუძახოთ? არაფერი. ფუფს თუ იტყვიან, — ის არის მხოლოდ ნიშანი აღწერილის სიმდიდრისა და, სწორეთ უნდა ვსთქვათ, სხვა ქვეყნებზედ არც ამას არის მოკლებული ჩვენი ქვეყანა. ბევრს ისეთს ქართველს შესვდებოდათ, განსაკუთრებით, შეძგეგ წარსულის რმისა, რომელსაც ქალაქის ფუფით უბის ანუ შარულის ჯიბე გამობერილი ჰქონდა ხოლმე, და, თუ ახლა კვლავ შესვდებით, ეს იმიტომ, რომ დიდხანს ქართველის ჯიბეში დაწინა ფუფებს თითქო სასიარტსვილოთ მიანჩნათ და, როგორც ქვეყით დავინახავთ, მალე გაფრინდებიან ხოლმე...

ეს ამდენი სიმდიდრე წევს ჩვენს ქვეყანაში და ჩვენი ხალხი კი მოკლებულია მდიდრობას, ღარიბია. რა არის ამის მიზეზი? ანუ თუ მართლა ხალხის სიზარმაჯა, როგორც ბევრნი ამტკიცებენ, შინაურებიც და გარეულებიც? არა. სიზარმაჯე ჩვენ ხალხს არ ეტყობა. შეიძლება რამდენიმე რუხარობის, ან ზიარების, ან კიდევ რომელიმე ზატარა ადგილს მცხოვრებლების ნაკლებევაებას შეადგენდეს სიზარმაჯე, თორემ მართლათ საქართველო რომ ზვილოთ, ცხადათ დავინახავთ წინააღმდეგს. წელიწადსა აქვსათსი დრო: გაზაფხული ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი. რომელ ამ დროს ვინახავს, ან კიდევ ნახავს, რომ ქართველი გვერდზედ წამოწოლილიყოს და ცხოვრების ზრუნვისათვის თავი მიეხებებინოს? თუ ვინახავს ზოგიერთი თავად — აზნაურთავანი, რომლებიც „განა ადამიანი“ს ლუარსაბის და მის ცოლივით ჭამისა და სმის მეტზედ არაფერზედ ზრუნავდნენ, — გავიწყლებათ, რომ ესენი არ შეადგენენ მართლს საქართველოს ხალხს და არც არიან ღირსნი ეურადლებსა. ვის შეუძლიან გულზედ ხელი დაიდოს

და ისე სთქვას ეს ყველა ჩართველებზე? ჩვენ კი ვლანძარკობთ საზოგადოათ ჩართველებზე და სრულებით უყურადღებოთ ვსტრუქტურებთ ზემო აღნიშნულ წინაობით მასნივ ჰიკებს. დადგა გაზაფხული, დედა მიწამ გადისადა თეთრი სავანი. გაიხედეთ და დააგვირდით ჩართველ სალხს, თუ რას შერება ის. აქ აბიან გუთნები და ვაკები, ისმის «ჭორჩველას» და თან-და-თან შავდება დედა-მიწა; იქ ლულუნებენ „ჩარჩინამას“ და ჩეკენ სარებს, სხვლენ ვენახებს. აგერ „ჭოლუმაც“ დაიწვეს, ბარკენ ვენახებს, თახსიან სიმიანდებს. დადგება ზაფხული, იგივე „ჭოლუმაც“ „ჭორჩველას“ და ყანები წებებიან ძირს, კალკებზედ იღვწებებიან. ღამითაც არ მოგასვენებსთ, რომ ძალიანაც გინდოდესთ, მუშაობის სმაურობა: აქ ურძები მოჭრიალბენ, მოაქვსთ ძნები, იქ ღამის მესრეები ძღერინან, რომ არ დაეძინოსთ, და, თუ მთვარინი ღამეა, ნამგლებს გაუდისთ რახსა-რუხნი. ყანები გაიღვწა, სიმიანი მოიჭრას და გაიჩნას; მაგრამ ჩართველები კიდევ ვერ ისვენებენ. მოდის შემოდგომა. რას შერება ის ამ დროს ჩართველები? მანების ვარებები გაუღენ, ქვევრებში სარცხლებს გაუდით ფხაჭა-ფხუჭი; იქ დიდის სასიამოვნო სმაურობით ვენახებს ჭკრეფენ; აქ საწინახლებში რამდენიმე უმაწვილი ღონიერი ბიჭები, სელი-სელს გადასვეუნნი, სიმღერით ყურძენს ჭყლეტენ იგებებით და მშვენიერი, ტბილი ამის წვენი ჩარჩინისებს ქვევრებში; იქ გუთნები გაჭიმულან და საქეროთ, სასიმიანდოთ და საფეტკოთ მამულებს ხნამენ. მოიღრუბლას ცა, აცივდა საღამოთი და დილით სედავთ, რომ დედა მიწა გათეთრებულა, თოვლი მოსულა. გგონიათ რომ ახლა კი მოისვენებენ ჩართველები? საქონელს აბამენ ბოხლებში, სრულავენ, მაგრამ ცოტა ხანს: აქამდისინ მოცლას არა ჭქონდათ, რომ შეშა მოემზადებინათ, ჭინახული დაეფუკათ და

## ერთი ჩვენი სილარიზის მიზეზი.

რომ ჩვენი სამშობლო არის ერთი ბუნებით მდიდარ-  
თაგანი ქვეყანა—ამაში ეჭვი არ არის: მთა, ბარი, ტყე, ველი  
იმ ნაირათ შემკულნი არიან, იმ ნაირათ მოსაკლავნი, რომ  
ცხადათ ამტკიცებენ ბუნების ნამეტანს ძალას. შესჯდეთ მთებს  
და ჭალებს: იქ სჯდავთ მოუღუგველს ხე-ტყეს და სშირათ  
ამ სკებში ნაყოფიერს მცენარეებს, რომლებიც არ ითხოვენ  
ხალსისაგან არა ვითარ მოკლას, ოდონც კი იმან შეიძლოს  
იმათი ნაყოფით სარკებლობა. გადასჯდეთ მინდვრებს: აქ გა-  
აქვსთ ფუფუნის ჰურს, ქეკს, სიმინდს, ფეტვს, ბამბას, ღომს,  
ბრინჯს და სხვ. მთაზედაც და ბარზედაც სშირათ ნახავთ იმ  
ნაკურთხს ნაყოფსაც, რომლის წვენიც შეადგენს ჩვენი ქვეყ-  
ნის სიმდიდრის, თუ მეორედს და შესამედს არა, მეოთხედს  
ძაინც,—უურძენს. მთა და ბარი შემკულია არამც თუ ამ მარტო  
მცენარე არსებებით, არამედ სუფიერი, ცხოველი არსებები-  
თაც სავსეა: აქ სჯდავთ ცხვრის, თხის და ღორის ფარას; იქ  
ძროხის, ხარის და კამბეჩის ნახიროს. კიდევ თუ შორს გაიხე-  
დავთ, დაინახავთ კერეთვე ცხენის და სახედარის ჯოგებსაც.  
ეს ჩვენი სამშობლოს დედა-მიწის ზურგზედ. თვით ამ დედა-  
მიწაშიაც იმყოფება სავსე საუნჯე: ოქრო, ვერცხლი, სპილენ-  
ძი, თუჯი, ქვა-გუნდა, ქვის ნახშირი და სხვ. ვერც ჩვენი  
სამშობლოს წყლებს დავენდურებით,—ესენიც სავსე არიან სხვა-

აგერ ააბეს მარსილებმა სიარული ტყეებში და წისქვილებში; სჯდამითი, მხლელად სჯდამითი მოკლენ კაცები შინ, თოვლი საჯან წვერ-უღვანე გათეთრებულები და დანსვენებენ. იმათი ცოლ-შვილიც თავის საქმეს აკეთებს უოკელს დროს: ზოგი საჭმელს უკეთებს მუშა კაცებს, ზოგს მიაქვს ეს სამუშაოში, ზოგი ეხმარება შეძლებისდა გვარად თვით მუშაობაში. აქ არსად არა სხანს სიხარმადც, რომელიც შეუწამებიათ ჩვენს სჯდნისათვის, რომელიც ჩვენ ვიფიქრობთ, მხლელად იმიტომ, რომ ვერ მისვლერილან იმის სიღარიბის მიზეზს.

მაშ რა არის მიზეზი ქართველი ხალხის სიღარიბისა? ქართველი ხალხის სიღარიბის მიზეზები ბევრნი არიან, მაგრამ ზოგჯერ ღაპარაკი არ შეიძლება, ზოგჯერ უდროვან, ზოგჯერ კიდევ ძალიან საჩოთიროა. ჩვენ ამ დროებით შეგვიძლიან და გვინდა ვილაპარაკოთ მხლელად ერთს მიზეზზე, რომლის მოსაბრუნებლად შეუძლიან ქართველი ხალხი სიღარიბედგან სიძლიერისაკენ გამაბრუნონ. ეს მიზეზი არის უთანაბრობა, უზომო, შეუსაბამო, ტყუილი სარგვი ნათლობაზედ, ქორწილზედ, დღეობებზედ და მკვდრის დამარხვასზედ. თვით დახადებულგან კაცისა სიკვდილამდინ— იმის ცხოვრება ისე არის დაყენებული ჩვენს ქვეყანაში, რომ თითქო ეს ცხოვრება დამღუშავი ჩვეულებებისთვის არის გაჩენილი. კიდევ არაიერი იქნებოდა, რომ სხვისთვისაც არის ამ გვარს ჩვენი ცხოვრება სასარგებლო იყოს; მაგრამ ვაივალხანი ის არის, რომ არამც თუ მათთვის ეს სასარგებლო არ არის, არამედ სშიდათ სასარგებლოც არის ხალხი, რომელიც ამას ქვევით შევიტყობთ.

ბუნებამ თავისი ჭქნა: ცოლ-ქმარს დაებადა „შვილი, უხარბიანთ, აღტაცებაში არიან. მაგრამ ამ გვარს სიამოვნებას აუ-

ცილებლათ თან მოსდევს სოფელ სწუნვაც იმსუედ, თუ რა-  
 გორ გადაინადონ ნათლობა. შეიკრიბება სოფელ მთელი სას-  
 ლობა და აქვსთ მოლაპარაკება, თუ რაგორ განადონ სასა-  
 სსაგორთ თავანთი ბედნიერება. მოლაპარაკების დასკვნა თით-  
 ქმის ყოველთვის თავდება სოფელ იმით, რომ აირჩევენ ნათ-  
 ლობათ უფრო გათქმულს, მდიდარს და სასიამოვნო პირს.  
 ამ გვარს ნათლიას უნდა დაუპატიჟონ, რასაკვირველია, პატი-  
 ცემული პირებიც და ნათლობაც უნდა გადაინადონ რიგანს,  
 რომ არან დაძინდნ. ამ შემთხვევაში თვითვეული ნათლობის  
 გადამხდელი სტდილობს, თუ არ გადაამჯობინოს. არ დაუვარ-  
 დეს მანც თავის ნაცნობებს, მეგობრებს, ნათესავებს და, გან-  
 საკუთრებით, იმ ოჯახებს, რომლებთანაც უკმაყოფილება რამე  
 აქვს. ამ გვარ შესდულობას საქმესედ რა შედეგი მოაქვს—  
 ცხადია: დაიწება სოფელ ერთი ან რამეული მოპატიჟების სირ-  
 ბილი, ერთი ფაცა-ფურით მზადება სტუმრების დასასვენდნათ.  
 ყველამ დიდის კმაყოფილებით განაცხადეს ბედნიერი ოჯახის  
 თავანთი მისვლით უფრო გაბედნიერება. ბედნიერი მამა იღებს  
 ჯიბიდან ქისას და, რომ დაინახავს შიგ ცოტა ფულია, ან  
 სულ არაფერია, ადგება და გასწევს ბზრისაკენ. ამ გვარ შემ-  
 თხვევაში ურები და სომხები ძალიან დამხმარებლები არიან  
 გაჭირვებული კაცისათვის, განსაკუთრებით, თუ ამ გაჭირვე-  
 ბულს უძრავი მამული რამე ახადია. მსესხებელი გზასედ  
 ჭფიჭობს, თუ რომელს მისცეს უპირატესობა თავის თხო-  
 ნით: ამ გვარი ბედნიერი ან ისხვა განდება სომელ და ან  
 კიდევ აკოფა; ჩვენთვის კი სულ ერთია, ჩვენ გვინდა ვსთქვასთ,  
 რომ ის იღებს ვალს და თვეში თუძინსედ ათი შაურდამ მ-  
 ნეთამდის სარგებელს იწერს... ნათლობა გათავდა, თამაშობაც  
 ბევრი იყო, სმაც და ტამაც; მაგრამ ვალს კი გადახდა უნდა,—



და სშირად ამ გვარი მსესხებულები გამოეთხოვებიან ხოლმე ან თავის საზრდოს მომცემს მიწას, ან გენასს, ან ბელესს, ან ცხენს, ან კამბესს, ან საწს, ან კიდევ თვით სასლს. ამ გვარი ნათლობა სდება თავად-აზნაურობაშია, სამღვდელთაშია და გლეხობაშია. განსხვავება, რასაკვირველია, არის ხოლმე, მაგრამ ეს განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს ხოლმე, რომ გლეხობაში მამსახლისი, სასოფლო მსახურელები, სასოფლო მწერალი, მღვდელი და დიაკვნები თამაშობენ ხოლმე უმთავრეს როლებს, თავად-აზნაურობაში, ჩინოვნიკობაში, და სამღვდელთაში კი—მომრიგებელი მოსამართლე, გამომძიებელი; პრესტაჟები, მსწავლეულები, მწერლები და თავად-აზნაურები, რომ პირველებში უფრო ცოტა სარჯი არის ხოლმე, მინამ უკანასკნელებში, რომ ზოგს ბევრი ხალხი ჭყავს ხოლმე და ზოგს ცოტა. სულ უკანასკნელი რომ ვსთქვათ, თავად-აზნაურების, ჩინოვნიკების და სამღვდელთაების თითო ნათლობის გადასდა ჯდება, განსაკუთრებით, თუ მსედველობაში მივიღებთ შინაურ ხორაგეულობას, ახლანდელ სიძვირეს, ჭურჭლის მსხვრევას და საჭმელ-სასმლის ტყუილად ქცევას, რთს თუმნამდინ. რასაკვირველია, ზოგი ბევრს დასარჯამს ამასედ და ზოგი კიდევ ცოტას, მაგრამ, საშუალოთ რომ ვიანგარიშოთ, ამასედ ნაკლები არ დაჯდება, თუ არ მეტი. გლეხ-კაცობის ნათლობებიც არ დაჯდებათ ნაკლებ რთი თუმნისა თითო. ზედი-ზედ რომ ავიღოთ იმათიც და ამათიც ნათლობები, სულ უკანასკნელი თითო ნათლობა დაჯდება სამი თუმანი. ახლა სულ უკანასკნელი წამოგვიდგინოთ, რომ ამ გვარი ნათლობები მოხდებიან ხოლმე წელწადში 40,000, რადგანაც ვიდებთ 4% მრთლად ქართველების რიცხვისას, რომელიც მი-

— ზოგი ამათიც იმ მსესხებულებს უნდა აქვთ იმეტი

ლიონამდის არის. ეს რიცხვი გავამრავლოთ სამ თუმანზე და მივიღებთ ჯამს 120,000 თუმანს, ანუ 1200,000 მანეთს.

ეს წლიური ნათლობების ხარჯი. ეს რიცხვი დავიხსოვოთ კარგათ. ახლა გადავიდეთ ქორწილების ხარჯების ანგარიშზე.

ვაჟია, თუ ქალია ასაკს მოვიდა და მშობლები, ან ნათესავები ზრუნავენ შიშველისთვის ცოლის მოყვანას, მეორისთვის ქმრის შოვნას. ამ გვარ შემთხვევაში აუცილებელ შირათ ხნდება მაჰანკალი, ან კაცი, ან ქალი, უფრო უკანასკნელი. მკათელი მზითვისა ვაჟის მხრით, ანუ გარდაწყვეტილი ფასი, და არა ნაკლებ სამი თუმანისა თავად-ახსურობაში და ერთი თუმანისა გლეხობაში, ქალის მხრით, ამ ბედნიერი შირისა არის. ახლა ქორწილი უმადურათ ხომ არ იქნება, და, რამდენათაც საქორწილოები უფრო შეძლებულნი არიან, ან ხარისხოვანი, იმდენათ მეტი უნდა იყოს მადურების რიცხვიც; მაშასადამე იმდენათაც მეტს ხარჯს მოითხოვს გამთხოვებელის მხრითაც და მთხოვნელის მხრითაც. დაუმატოთ ამას ისიც, რომ ამ გვარ შემთხვევაში მთელი იმ სოფლების მცხოვრებლები, რომლებსაც ეკუთვნიან ნიუ-დედოფალი, ამ უკანასკნელების ნათესავები, ნაცნობები და მეგობრები, სადაც კი უნდა სცხოვრებდნენ, აუცილებელ სტუმრებს შეადგენენ ხოლმე, და მათინ ცხადათ დავინახავთ, თუ რა ხარჯი მოხდეს თვითვეულის ქორწილის გადახდას. აქაც, როგორც ნათლობაში, ყველა იმას სცდილობს, რომ ხვას გადაამჯობინოს და სშირად მოხდება ხოლმე, რომ ქალის გამთხოვებელი მზითვეის ტოლას კიდევ ზედ დაადებს და მთხოვნელი მზითვიდან ხელ-ცარიელი რჩება. მაგრამ ამ გვარი ბედნიერი შემთხვევა იშვიათად მოხდება ხოლმე ნეფისათვის: სშირათ იმას მზითვეშიაც ატყუებენ და

ხლომათ ვაღირ ედება სოფელ კისერსედ. როგორც ყველა-  
 იერში, ქორწილების გადასდაშიატი ბევრი განსხვავება არის  
 სოფელ, მაგრამ, რამდენათაც ეს საიდუმლო საზოგადოთ ბედ-  
 ნიერებათ ითვლება, იმდენათაც ყოველ შემთხვევაში ბევრს  
 სარჯს ითხოვს. ჩვენ შეგვიძლიან დამტკიცებით ვსთქვათ, რომ  
 თვითვეულ ქორწილსედ სარჯი, თუ არ გადაამეტებს ერთი  
 წლის მთელი ოჯახის სარჯს, ნაკლები არა დროს არ იქნება,  
 და, რადგანაც თავად-აზნაურების ოჯახებში უფრო ბევრი იხარ-  
 ვება წელიწადში, მინამ გლეხ-კაცებისაში, ქორწილსედან ვინ-  
 გელებს იმდენად ბევრი ესარჯებათ უკანასკნელებსედ. ეს ასეა,  
 მაგრამ მანინტ ესარჯებათ და მანინტა. ჩვენის თვითნათ საშუა-  
 ლა სარჯი თვითვეულ თავად-აზნაურების ქორწილსედ უნდა  
 ღირდეს არა ნაკლებ ოცის თუმნისა და სშირათ ერთი ორ-  
 თაც. ათ თუმანსედ ნაკლებ არც გლეხ-კაცების ქორწილი დაჯ-  
 დება. ამასედ ყველა დაწმუნდება, ვინც კი სასუში მიიღებს  
 იმ სოფლის და ჭურჭლის დაურზოგავობას, რომელიც ამისთან  
 შემთხვევაში აუცილებელია სოფელ: აქ სტაქნები იმტკრება,  
 იქ ლამბაქები; აქ ღვინო იტრება სოფელ, იქ შეჭამადი. ყველა  
 ამასი კი თუელი არის მიცემული, ან ვიდევ მისაცემი. ავიღოთ  
 ასლა საშუალო სარჯის რიცხვი იმათი და ამათი ქორწილები-  
 ს, — თვითვეულ ქორწილის გადასდას შესვლება თხუთმეტი თუ-  
 მანი. წარმოადგინეთ ასლა, რომ სულ უკანასკნელი ამისთან  
 ქორწილები წელიწადში ხდება 10,000, რადგანაც ვიღებთ  
 1<sup>0</sup>/<sub>6</sub>. ეს რიცხვიც გავამრავლოთ თხუთმეტ თუმანსედ და  
 მივიღებთ ჯამს 150,000 თუმანს, ანუ 1500,000 მანეთს.

გადავხედოთ ასლა ჩვენ დღეობების ანუ ჯვარობების  
 სარჯსაც. არა გვგონია, თუ ვიდევ არის ქვეყანასედ ისეთი  
 ხალხი რომელსაც ამდენი ჯვარობა ქმანდეს, რამდენიც ჩვენს

გვაქვს; ამათი რიცხვი კიდევ უფრო მრავლდება იმითი, რომ ერთი და იგივე დღეობა სშირათ რცხსა და რც-და-ათს სსვა-და-სსვა ლაგებში არის ხოლმე. ჯერ მარტო ამ დღეობების ჩამოთვლა გვიძნელდება და იმის ჩამოთვლა, თუ ერთი და იგივე დღეობა სადა და სად არის ხოლმე, რომ შეუძლებელათ მიგვაჩნის. ქართლში იცინან, მაგალითებრ, დღეობები: ამაღლება, მარობა, უსანეთობა, ელიაობა, გიორგობა, სვეტი-ცხოვლობა, ივანობა, ერთა-წმინდობა, გარეგნობა, კვირა-ცხოვლობა, გორათობა, გორი-ჯვარობა, ზღუდრობა, სამეობა, ზედა-წნობა, შიომღვიმობა, მთა-წმინდობა, ღვთაებობა და სსვ. იმერეთში ამაებს ზედ ემატებიან კიდევ: მოწამეთობა, გელათობა, კვირიაკობა და სსვ. სამეგრელოში—ხეტრე-ხავლობა, ბანძობა, ლიხანდრასობა, ხაგვაზეობა და სსვ., კახეთში—ლაკრდობა, ნინო-წმინდობა და სსვ. ზოგ ამ დღეობებს სწორებიცა აქვსთ, მაგალითებრ: მარობას, ამაღლებას, ზღუდრობას. რამდენათაც ბევრი არიან ეს ჯვარობაები, რასაკვირველთა, იმდენათ ბევრი ხარჯი უნდებათ. ჯვარობისათვის რამდენიმე დღის წინათ დაიწყებენ ხოლმე მზადებას, იმიტომ რომ ზოგს რიი-სამი დღის სავალი აქვს ხოლმე, ერთი დღის და ნასუვარის ხომ თითქმის სუუველას, ვინცა იმ სოფლის მცხოვრებლები არ არიან, სადაც დღეობას ხოლმე. აქ თარეები სურდებიან და ნაზუჭი, ზური და ლავაში ცხვების ხოლმე, იქ შინაური ცხოველები და ფრინველები ვეოდებიან; აქ ურმები მზადდებიან, იქ კვიზაეები და ცხენები. გეგანებათ ხალხი გადასახლებას აზირებს სადმეო.

აკერ აბეს კიდევ მგზავრობა გადაჩინდისებულმა ურმებმა, მიწველავენ ცხენები თავიანთ კონტათ ზედა-მჯდომების ქვეშ, მიწისწინობენ ძაეტონები წითელი ხელსახოცებით

მართული ცხენებით; ბევრი ფეხითაც მიხანჩალებს ჩქარის ნაბიჯით, თითქმის დაბარბუღლიან, და უეტკეულად ხურჯორინი მხარსედ ჭბიდას, თუ იმერელია და გუდას თავის საგძლით. რა ფერად-ფერადათ ჩაბმულ-დახურულ ქაღალსა და კაცს არ ნახავთ აქ და რა ასაკისას! ყველას ჰირის სახესედ რაღაც სიამოვნება არის გამოხსატული, რაღაც ცნობათ-მოყვარეობა, რაღაც იმედოვნება.

აი დღეობის წინ საღამოს შეგროვდა ყველა გუთხიდან ხალხი და დაებაჩაჯა ეკვლესიის გარშემო; ანთეს ცუცხლები, მიაბეს ურმებსედ ხარ-კამბეხი, ეკიზაყებსედ ცხენები; გადმოხსნეს ურმებიდან მათრახები, შესაწირავი ცხვრები და მამლები. საქონელს მისცეს საჭმელი და თავის მურღებისათვისაც დაიწყეს ზრუნვა: ზოგი სწვამს წვადს, ზოგი ალაგებს ხურჯინიდან საგძალს, ზოგი ასხამს ტიპტორიდან ღვინოს. შეუჯდათ თავში ღვინო, გაიმართა სიძღვრაც, მუზიკის კერა, არ განების ჭიჭვიანი, ცუკვა, შაირობა, ღანძლვა და გინება. ეს არის ეკვლესიის გარსედ დამის თევა! მეორე დღეს შუა-დღემდინ იგივეა და მეორე კი დაიფანტებიან. რა მშვენიერი «ლოცულობას!» რა ღვთის თაყვანისცემას! და აი ამ გვარ ჯვარობაებსედ ტყუილად ღუზავს ქართველი ხალხი მწარე ოფლით მონაგარს ქნებას ყოველ წელს! რატომ უფრო კიდევ ღარიბი არ არის ჩვენი ხალხი, გასაკვირველია! ჩვენი სამშობლოს მოსავლის უზგობა უნდა იყოს იმის მიზეზი, რომ ჩვენ შიშლით არ ვისრცებით, შეძვევ ამ ნაირი ქნების ოფანტვისა, და არა სხვა რამე.

ვისაც კი დაკვირვების თვალთ უჩურობია ჩვენსავით რამდენიმე ჩვენებურ ჯვარობებისათვის, ის ადვილად დაგვერწმუნება, რომ თვითვეული ჯვარობა არ დაჯდება ასა თუძინის

ნაკლები. რასაკვირველია, ზოგი ჯვარობა ასი კი არა, რამდენიმე ასი თუძანიც დაჟდება სოფლე, მაგალითებრ: მცხეთობა, დვთაუბობა, გერისთობა, ალავერდობა, სობობა, გელათობა, კვართისობა და სხვ.; მაგრამ ისეთი ჯვარობებიც არიან სოფლე, რომლებსედაც ას თუძანსედაც ნაკლები დაინარჯება, მაგალითებრ: გარეგნობა, ივანობა, ელიაობა, გორათობა და სხვ. ამისათვის ჩვენ ვიღებთ ხაშულ ხარჯს. წარმოადგინეთ, რომ სულ უქანასკნელი ჯვარობები წელიწადში ხდებათ ას ორმოცდაათი. ამ რიცხვსედაც გაკამრავლეთ ასი თუძანი და მივიღებთ კარგ საგრძნობელს ჯამს—15,000 თუძანს, ანუ 150,000 მანეთს.—დავისრამეთ ესეც.

ეს სულ ასე; ცოცხალი კაცი იმისათვის არის ცოცხალი, რომ დახარჯოს კიდევ და იმსიარულას კიდევ, თუძცა ასე უთავბოლოთ კი არა, როგორც ჩვენ ზეგით დავინახეთ. მაგრამ ჩვენი უბედურება ის არის, რომ ძველად უფრო ბევრი გვინდება, მინამ ცოცხალს. ეს ჩვეულება ჩვენის ხალხისა თითქმის აკვირვებებს ჩვენს სიღარიბეს.

ყველა სიკვდილის შვილები ვართ და ვკვდებით, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ ზოგი ადრე ვკვდებით, ზოგი გვიან. აი ძველად ვინმე ჩვენგანი; მოისმის იმ ოჯახიდან, რომელსაც ეს უბედური ეკუთვნის, ერთი უშვილებელი წივილი-გივილი, ხმა ძალდა ტირილი. სამწუხაროდ და საზრუნველათ, გვგონია, ეს შემთხვევაც უნდა სამყოფი იყოს გაუბედურებული ოჯახისათვის; მაგრამ არა, სხვა ნაირი ზრუნვა მოსდევს სოფლე ამ გვარ შემთხვევას და ეს ზრუნვა იმდენათ უფრო ძეცია სოფლე, რამდენათაც განსვენებული ანუ შემდეგით, ანუ ხარისხით, ანუ თანამდებობით, ანუ კათქმულაობით, ანუ კიდევ ხნით დიდი იყო. ძველად ვკვარ გავცოცხლებთ, ყვე-

ლამ იცის. მას რაღა ბეჭერი დავიდარაბა უნდა, ავიღოთ და  
 დავმარხოთ რიგისამებრ სარწმუნოებისა. მაგრამ ჩვენი ხალ-  
 ხისათვის სიტყვას „დავმარხოთ“ სხვა ნაირი მნიშვნელობა  
 აქვს. დამარხოვს ქართველი ხალხი აძლეოს იმ მნიშვნელობას,  
 რომ ყველა ნათესავნი, მეგობარნი, ნაცნობნი, მეზობელნი გას-  
 დნენ მოწამენი გაუბედურებული ოჯახის მწუხარებისა, რაც  
 შეიძლება კარგათ დალიონ, გამოძინენ და მოხდურნავი აჩავინ  
 წავიდეს; აბა როგორ იქნება სული არ უხსენონ?!... ჭირის-  
 უფალს სული ავიწყდება თავისი მკვდარი და იმას ფიქრობს,  
 რომ გამოჩენილათ დამარხოვს ის და მით გადახადოს თავისი  
 მოვალეობა. ჯერ მკვდარი არ არის სოლმე გაცვიკებული,  
 რომ ჭირისუფლები შეუდგებიან სოლმე იმ ნაირი მნიშვნე-  
 ლობით თავის მკვდრის დამარხოვს, როგორ მნიშვნელობასაც  
 ისინი აძლევენ ამ სიტყვას. თითქმის უოველთვის სიკვდილი  
 მოულოდნელად დაგვეცემა სოლმე თავს, და აქედამ ცხადათ  
 შეკვიძლიან დავინახოთ, თუ რა ნაირათ მოუმხადებელი დავსვდე-  
 ბით სოლმე ამ უწვალოს, მოუმხადებელი დამარხოვის გადახ-  
 დისთვის: სძირად მოხდება სოლმე, რომ შინ არა მოგვეკვარა-  
 და გარეთ; მაგრამ კვდარს დაუმარხოვს სომ ვერ დავტოვებთ?!  
 სადაც არის უნდა ვიმოგოთ და გადავინადოთ კი მკვდრის ვა-  
 ლი; ამის მეტს სომ აღარასა გვთხოვს განსვენებელიო, ფიქ-  
 რობენ სოლმე ჭირისუფლები ამ გვარ უბედურ შემთხვევაში  
 და არაფერს არა ზოგამენ; მასინ მოაგონდებათ სოლმე, თუ  
 რა უფრო ძიელ უკვარდა განსვენებულს, იმ ერთი ალია თა-  
 თარსედ და ფლავსედ ანდაზისა არ იყოს. ჭირისუფლებს,  
 რაღა თქმა ნდა, განკარგულებისათვის არ სცალიანთ სოლმე,—  
 იმათ მონუგეშეები უნდა მიიღონ და თვითვე უფს ცალ-ცალკე  
 მიუტიონ. ამისათვის განკარგულება ხარჯისათვის უკარდებათ

სოცლმე უძეტეს ნაწილათ ისეთს გამოქნილს ვაძვებს, რომლებიც თავის ჯიბისათვისაც იმდენათ ზრუნავენ სოცლმე, როგორათაც სტუდენტების მუცლებისათვის; ამას თან მოსდევს სოცლმე იგივე გაუფთხილებლობა სოციალისტებისა და ჭეშმარიტებისა, როგორც გაუფთხილებლობა არის სოცლმე იმათ შესახებ ნათლობებში, ქორწინებებში და დღეობებში. მივიღოთ სასჯელი ისიც, რომ ხშირათ მოუხდება ერთსა და იმავე ოჯახს წელიწადში ორი და სამი ამ გვარნი დამარცხების გადახდა, განსაკუთრებით ასლანდელ სიკვდილით მდიდარ ღრუბლებში, და მეტე წარმოვიდგინოთ, თუ რა ბეკრათ გვიჯდება ჩვენ ეს ახირებული ჩვეულება და რა გავლენა აქვს ამას ჩვენს მატერიალურს მდგომარეობაზედ. მკვლარნი დასაფლავებს, შენდობა უთხრეს, გაუბედურებულ ოჯახს უკანასკნელი ნუგეში მისცეს ჩვეულებრივის ფანსებით: „უკეთეს სიკვდილის შვილი ვართ, განსვენებულს კვლავნაფურს მოუძებნეთ, თქვენ თქვენს თავს გაუფთხილდით,“ გამოეთხოვონ ერთმანეთს და წავიდ-წამოვიდნენ. მაგრამ, როგორ იფიქრობთ, გათავდა ვითომც დამარცხა? არა, სრულიად არა. მკვლარს შვილის, თხოთმეტის, ორმოცის და წლის წირვები კიდევ აკლია. თუძღა ეს ორი პირველი არ ითხოვენ სოცლმე იმდენ ხარჯს, რამდენსაც ითხოვს დასაფლავება მკვლარისა, მაგრამ ორი უკანასკნელი ხარჯით იმას არ დაუგარდებიან სოცლმე, განსაკუთრებით სულ უკანასკნელი, რომელსაც ხშირათ თან დაერთობა მკვლარის დაბეჭდვაც, რასაც საფლავზედ ქვის დადებას უძახიან. ასლან როგორ ჭეშმარიტათ, რა უნდა ღირდეს ამ გვარნი მკვლარის დამარცხა? რა თქმა უნდა, რომ შეუძლებელ დაბალ ხალხში ეს უნდა ღირდეს უფრო მეტი, მინამ შეუძლებელ დაბალ ხალხში, მაგრამ ესეც კი უნდა ვიცოდეთ, რომ თვით შეუძლებელი ოჯახის მკვლარის დამარცხა არ

უნდა დაჟდეს ნაკლებ ერთად აღებული კარგი ოჯახის ნათლბის, ქორწილის და დღეობების წლიურ ხარჯსზედ; რაც კი შეესება შეძლებულ ოჯახს, აქ, ჩვენის აზრით, სძირად უნდა მოხდეს, რომ მკვდრის დამარხვა ერთი სამათ გადაემატოს ამ გვარ ხარჯს, ერთი ორათ სამ სულ ყოველთვის გადაემატება და გადაემატება. მასხადაძე შეძლებული და ხარისხოვანი კაცის დამარხვა უნდა დაჟდეს არა ნაკლებ ორმოცე თუმნისა და დაბალი შეუძლებელი კაცისა—არა ნაკლებ ამის ხანკურისა. თუ ეს რიცხვები ესლა ბევრათ გვეჩვენებინ და მკვდრის დამარხვის დროს ამას არა ვგრძნობთ,—ეს იმიტომ რომ მთელი წელიწადი ვმარხავთ ხოლმე მკვდარს და ცოტ-ცოტაობით ხარჯს ვერ ვიკებთ. ცოტა-ცოტაობისთვის და პატარა-პატარაობისთვის ამიტომ მიუცნიათ ჩვენს წინა-იჩებს დიდი მნიშვნელობა, რომ გაუგებრათ დიდი შედეგი აქვსთ ხოლმე. „ხელვა გოგზით დაილევია“, უთქვამთ, და „პატარა-პატარაობით“ კიდევ „პატარადაი დაუფსულდა“. აქ არ შეგვიძლიან არ დაუმატოთ, რომ ლინის მთას იქით მცხოვრებელ ქართველებს უფრო ძვირათ უჯდებათ ხოლმე მკვდრის დამარხვა, მინამ იმ მთას აქეთ მცხოვრებლებს. თუძცა იქ მკვდრის გადახურვა იცინან ფულით და ხორავით, მაგრამ ეს შესაწევია არამც თუ არაფერს არ ეუფლება ხოლმე დამარხვას, არამედ კიდევაც ხარჯს უმატებ ხოლმე, ამისათვის რომ მკვდრის ტირის-უფლებს თავისი ხარჯი, არ ასცილდებათ ხოლმე და ეს შესაწევია ნათესავების, მეგობრების და ნაცნობების მხრით ზედ ემატება ხოლმე, რადგანაც შემსწევარი დიდის ხალხით მივა ხოლმე. და ესრედ, საშუალო ხარჯი შეძლებული მკვდრისა და შეუძლებელისა ოც-და-ათს თუმნამდის ადის. ამასედ ნაკლები ჩვენ ვერც კი წარმოგვიდგენია, რადგანაც

ძალიან დაკვირვების თვალთ გვიტყუროს ამ გვარი შემთხვევებისთვის ცხრა წლის განმავლობაში, როგორც ლიხის მთას იქით, აგრეთვე აქეთ. წელიწადში კვდება 30,000 კაცი და ქალი, დიდი და პატარა. ვიღებთ 3<sup>0</sup>/<sub>100</sub>. იმათგან ჩავაგდოთ ისეთ მკვდრებად, რომლებისათვისაც აუცილებელ მოვალეობათ სდიან ხალხეუ ჭირის-უფლები ზემო აღწერილ დამარხვას, ე. ი. გაყ-კაცობიდან სიბერემდის, 15,000. ახლა ეს რიცხვი გავამრავლოთ ოც-და-ათ თუმიანედ, რომელიც ჩვენ საშუალო ხარჯათ მივიღეთ, და გამოგვიყვას ჯამი 450,000 თუმიანი, ანუ 4500,000 მანეთი.

სრულიად ნათლობებზედ, ქორწილებზედ, დღეობებზედ და ქვლეხებზედ გვესარჯება წელიწადში 735,000 თუმიანი, ანუ 7,350,000 მანეთი. თქვენმა მხემ, კარგი ფულია!..

ზეკით ვსთქვით, რომ ნათლობის და ქორწილის გადას-და, დღეობებზედ სიარული და მკვდრის თან გადაყოლა ჭირის-უფლების მხრით, არამც თუ სასარგებლო არ არის იმ პირებისათვის, რომლებიც სტუმრობას შეადგენენ ხალხე ამ შემთხვევაში, არამედ ძალიან საზარალოც არის; ვსთქვით და კიდევ გვინდა დავამტკიცოთ. ამის დამტკიცება ერთის მხრით დაანწმუნებს ყველას ზემოთ ნახვენებ ანგარიშების დახლადგებით სიძარტლეში და მეორეს მხრით გაუადვილებს იმ გზასედ ივენის შედგმას, რომელიც გვსურს უჩვენოთ მოსასპობლათ აღწერილის ჩვენი სიღარობის მიზეზისა.

ვისაც კი შემთხვევა ჭქონია ნათლობებზედ, დღეობებზედ, ქორწილებზედ და ქვლეხებზედ დასწრებისა (ან კი ვის არ ჭქონია ეს შემთხვევა?), ის ცხადათ დაინახავდა, თუ ზოგიერთი სტუმართაგანი რა ნაირის ჭმუნვარის სახით დაბრუ-

ნებულა სოლმე შინისაკენ წვეულობიდან. რა არის სოლმე ამის  
 მიზეზი? ქელებიდან ამ გვარი სახით დაბრუნება ვიდრე შე-  
 საძლეთ საფიქრებელია, თუმცა სამდვილად ვიცით, რომ  
 აწამც თუ ნაწნობები და მეგობრები, აწამედ თვით ნათესა-  
 ვებიც გაუბედურებულნი რჯანისა ქელებში ყოფნას აძლევენ  
 სოლმე „თვალ-წვადის დალეკინების“, „თვალის გახეღის“  
 მნიშვნელობას. რაც კი შეეხება ნათლობას, ქორწილს და  
 დღეობებს, — აქ კი სრულიად გაუგებელი დაჩნება შეწუხებუ-  
 ლი მდგომარეობისა ზოგიერთისა სახლისკენ გამგზავრების  
 დროს იმისთვის, ვინც კი არ იცის იმის მიზეზი. ამის მიზე-  
 ზები არიან სოლმე სხვა-და-სხვა ნაირი შემთხვევები თუ  
 გზაყად, თუ მასწინძლისას, თუ ვიდრე იმ ალაგს, სადაც  
 ყრბობაა სოლმე დღეობებისთვის. ძნელად მოხდება, რომ  
 ნათლობაში, ქორწილში, დღეობებზე და ქელებში, ან არა  
 გაუტყდეს რა ვისმე, ან არა დაკვარგოს — რა, ან ვინმემ  
 თვითონ არა იწყინოს — რა, ან მის საქმენელს არა ეწყინოს — რა.  
 ბევრჯერ გვინახავს ჩვენ, რომ მშვენიერი ცხენით მოსული  
 უძაწვილი ფეხით წახანჩალებულიყოს და ინგლისურს უნაგირ-  
 სედ თავ-მომწონეთ გვერდზედ მჯდომი კეკლეტი ქალი ქარ-  
 თულ უშნო და ძველ უნაგირსედ გადახანჩულიყოს; ეს  
 იმისთვის, რომ პირველის ცხენმა ფეხი მოიტუნა გაჭენებაში  
 და მეორეს მისი მშვენიერი უნაგირი ცხენმა სეზედ მისლით,  
 ანუ გადაგარებით დაუძინვრია. რა ნაირი სულის მდგომარე-  
 ობით უნდა დაბრუნდნენ ესენი სახლისკენ, როდესაც თვალ-  
 წინ უძღვისთ ამოტელა სარალი? ბევრჯერ გვინახავს ისიც,  
 რომ აღნიშნული წვეულობიდან წამოსულს, ქალებით დატვირ-  
 თულ, მეფე ერეკლეს კვიპაყს თვლები მინსვარეოდეს და მი-  
 სი პატრონი გულ-სელ დაკრეფილი შესტქეროდეს და არ იცო-

დეს რა მოახერხოს, ან კიდევ ურემი მთელი იყოს და ეკ-  
ვიპტელების დიქტობი კი — ხარები აღსადა. ბევრი რამ  
ამისთანაები გვინახავს ჩვენ და, გვგონია, ჩვენი მკითხველებიც  
ბევრს რასმეს ნახავდნენ. ეს ყველაფერი წარადა, რასაკვირუ-  
ლია, და ემატება იმ წარადას, რაც წარალი მოსდევს ხოლმე  
თვითკუთელ აღნიშნულ წვეულობას. დაუმატოთ ამას ისიც, თუ  
რა ახირობული ხარკვი ვიცით გზასედ სიარულის დროს და  
ცხადათ დაკინახავთ, თუ რა ძვირათ გვიჯდება ხოლმე, არამც  
თუ მასპინძლობა. სტუმრობაც. ვარცა კიდევ, რომ ამ გვარი  
წარალით თავდებოდეს სტუმრობის საქმე; მაგრამ არა, ამ წა-  
რადს კიდევ თან მოსდევს ხოლმე უფრო საგრძნობელი სხვა  
წარალი.

უმეტესი ნაწილი ჩვენის სისხლის სამართლის საქმეებისა  
აშენებული არის ხოლმე: ნათლობებზედ, ქორწილებზედ,  
დღეობებზედ და მიცვალებულების დამარხვასზედ. ამის დამტკი-  
ცებს ჩვენ საჭიროთ არა ვჩაბნით, იმიტომ რომ ვერ წარ-  
მოგვიდგენია ისეთი მკითხველი, რომელსაც ან თითონ არ  
გადასდენოდეს თავზედ ამ გვარი რამე, ან შესება არ ეჭანო-  
დეს ამისთანა საქმესთან, ან კიდევ სხვისგან არ დაწმუნებულ  
იყოს. თუ ვინმე კიდევ ეტკვი არის, იმას შეუძლიან თავალი  
გადავლოს მომრიგებელი სასამართლოების სისხლის სამართ-  
ლის ნაწილის საქმეებს და ცხადათ დაინახავს ჩვენს სამართ-  
ლეს. ჩვენ კი წინათვე შეგვიძლიან შევატურობინოთ დასაღრვე-  
ბით, თუ რა ნაირ ცნობებს ამოვიკითხავს ეს იმათში. „ამა  
და ამ კაცმა ამა და ამ კაცს, ამა და ამ კაცის ქორწილში,  
ღვინით სავსე დოქი მოუდერა თავში დასარტყმელათ, იმ  
განზრახვით რომ მოეკლა;“ ამან და ამან ესა და ეს, ამა  
და ამ კაცის ნათლობის წვეულობაში, სხვალით დასჩესა, იმი-

ტომ რომ იმან უარი სთქვა ჯიხვით ღვინის დაღვასჯედ“; ამანა და ამან ესა და ეს ქალი მოიტაცა ღამით ამღლებს დღეობიდან, როდესაც ჩვეულებრივი წვიმა მოვიდა და ხალხი აირია“; „ამანა და ამან ამა და ამ კაცს გეწისთობას ცხენი მოჰმანა“; ამა და ამ კაცმა ამა და ამ კაცის ცოლს მარიაბა დამეს, ღრმა ძილის დროს, თეხ-საცმელი გაძმრო“; „ამა და ამ კაცმა ბანძობას (სამეგრელოში) ესა და ეს კაცი მოკლა ბურთის დაუნებებლობისათვის“; „ამა და ამ მღუდელმა ამა და ამ ჰატი-ცემულ კაცს ნათლობაში, რომელიც მოხდა მარხვით, რამდენიმე უფასოს ბეწვი გამოაგლიჯა სახსნილას უტყველობისათვის“; „ამა და ამ კაცის ქვლებში, ამა და ამ კაცმა ამა და ამ კაცის ცოლს თვალი უფო და უნდოდა შეურაცხება მიეყენებინა, თუ ქმარს დროსჯდ არ გაეგო“. რაღა ბეჭი გავაჭიანუროთ, ნიძუშებათ ესენიც გმარან. ამ გვარი შემთხვევებით არიან სავსე მომრიგებელი სასამართლოების სისხლის სამართლის ნაწილის საქმეები—საჩივრები და პოლიციის პრეტორიუმები.

დამნაშავეებს, თქვენც იცით, ხშირათ ციშირი და ციხე მოკლისთ ხოლმე; ახლან რა ხარჯი, რა წარალი მოსდევსთ ხოლმე ამ გვარ საქმეებს. აქ პოლიციის პირებს ან უნდა მისცე რამე, ან კიდევ უნდა დაპირდე რასმე და აუსრულო კიდევ; იქ ადვოკატებს უნდა ჯიბე აუესო ორიოდ, ხანდისხან სულ უტემური და უაზრო, სიტყვისთვის; გზის თული უნდა დასაჯო და სსკ. ამ გვარი ხარჯებიც მიუმატოთ იმ ხარჯებს, რომლებიც აუცილებლათ დავინახეთ ზემოთ მასპინძლობისათვისაც და სტუმრობისათვისაც და მასინ ღდავტეიცდებით, რომ ჩვენგან ნახვენები ხარჯის დაახლოებით ანგარიში კიდევაც ძალიან ცოტა არის დანიშნული. ხარჯი ხარჯია, მაგრამ

რომ ბევრი თითონაც იღუპებიან, როგორც ზემოთ ვსთქვი, ეს კიდევ მეტია და მათ უფრო ძალე ითხოვენ აღწერილი ჩვენი ჩვეულებების მოსპობას. ამათი მოსპობა შეიძლება და-  
არც ისე ძნელია, როგორც ბევრნი ფიქრობენ.

ჩვენ ძალიან შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ამისთანა სასარგებლო საქმეში მივცეთ რამე მნიშვნელობა სამღაურო-  
ებსა და სოფლის მასწავლებლებს, რომლებსაც ამ გვარ საქმე-  
ებში დიდ მნიშვნელობას აძლევენ სოფელ ჩვეულებრივ ჩვენი  
მწერლები და ელადებიან, აცა როდის რა იქნება, „გაკა ვირი  
ხესჯდ თუ არა“. მღაურობები და სოფლის მასწავლებლები,  
როგორც აუცილებელი პირები ნათლობაში, ქორწილში,  
დღეობებში და ქელებში, კიდევ დიდ ხანს „ჭირიარაღის“  
იმასებენ ხალხთან და ჩვენ კი ტყავი გავკვძვრება. „სანამ პეტრე  
მოვიდა, პავლეს ტყავი გაძმეს“, ნათქვამია. სანამ ჩვენი  
ხალხი დასტურ იმისთანა მკვდლებს და მასწავლებლებს მიი-  
ღებდეს, რომლებსაც ნამდვილად შეეძლოსთ მისი წინამძღო-  
ლობა, მისი კეთილ საქმესჯდ დაუენება, ბევრი თავი განსმება  
და ბევრი კოკა წყალი ჩაივლის მტკვარში თუ რიონში\*). არც  
არავინ არის, სწორეთ მოგახსენოთ, საჭირო ჩვენი ხალხისა-  
თვის აღწერილი თავის მავნებელი ჩვეულებების მოსაშობლად,  
თუ კი მოინდომებს ამას. იმ ნაირათ არ არის ის დატემული,  
რომ არ მოიხრებოდნენ იმაში ისეთი პირები, რომლებსაც  
შეუძლიანთ გაარჩიონ კეთილი ბოროტისაგან და სასარგებლო  
საზარალოსაგან, რომლებიც წარუჩვენ ხალხის კეთილ მდგო-

\*) ჩვენ სამღვდლოებაზე და სოფლის შკოლების მასწავლებ-  
ლობაზე ცალკ-ცალკე გამოველაპარაკებთ მკითხველებს თავის დროზე.  
ახლა კი ეს ორიოდ სიტყვა იმათზედ გარემოებამ წარმოგვათქმევინა  
თითქმის უნებურად.



მარეობისთვის, რომლებიც დგანან სსკვსკედ ახლო ხალხთან და რომლებთანაც ხალხს არა აქვს არავითარი რევირიალური დამოკიდებულება და მით უფრო დიდი ნდობა აქვს. აი ამით, კაცნი არიან თუ ქალები—სულ ერთია, მხოლოდ ამით შეუძლიანთ მოსპონ ალწიერი ჩვენი დამღუპავი ჩვეულებები. იმ პირებმა, ვისაც ვი შემიძინებთ თვისებებში ცოტაც არის წილი აქვსთ, თვითვე ულ სამრეკლოში, ცალკე შეჭრას პირიბა ერთმანეთში, რომ არას რიგით ადარ შექმლასთ არც ნათლობის, არც ქაწილის, არც ქელესის გადახდა, არც ამ გვარ გადასხადებში და დღეობებსედე წასვლა. ამ პირიბას ისეთი დანიშნულება უნდა მიეცეს, რომ მის დამრეკვს გარდახდეს ვარაიბა იუფლათ, რამდენსაც დასდებენ, ადგილობრივის სასოფლო მკოლის სასარგებლოდ. ამ გვართ რნი კეთილი საქმე ერთად მიხრულდება და ჩვენს ცხოვრებას გაუმჯობესებს.

განსარ შეიძლება სხვაი რივ თანაგრძობის გამოცხადება იმ ბუნაიურებისთვის, ვისაც ნათლობა, ან ქაწილი აქვს, და იმ უბედურებისთვის, ვისაც ცხედარი წინ უძევსთ, თუ არ იმ გვარად, როგორც ამას ჩვენ ვჩვენებით ხოლომე ნათლობისთვის და ქაწილისთვის მისალოცი ადგილი არის ეკლესიის კარის ბჭე, მკვდრის ჭირისუფლებისთვის კიდევ ნუგემის მისაცემი—მით სასლი მკვდრის გამოსვენებამდის და მერმე ისევ ეკლესიის კარის ბჭე. ჩვენ დაწმუნებული ვართ, რომ დაბალი, გაუნათლებელი ხალხი, დანახავს თუ არა ცოტაც არის განათლებული თავის მოძმეების მაგალითს, მაშინვე იგრძნობს მათ ქრეს უზიარესობას და შეუერთდება იმთ. თუ ვი ჩვენი დამღუპველი ჩვეულებების დასრებაში და გავრძელებამი დაბალი ხალხი მისდევდა და მისდევს თავის მოწინა-

ვეებს, რაშია ეჭვი არ არის, ნუ თუ სასარგებლო საქმეში არ მიჭეკება? დახლი, გაუნათლებელი ხალხი, როგორც ბავშვი, მაგალითით სცნოვრებს, იმის გონიერება განსორცვილდება მიზანკვაში. თუ რომ ჩვენი ხალხის მაწინავე საზოგადოება შეუდგება თავის წმინდა მოვალეობას და დაუტყვეებს აღწერილ ჩვეულებებს, მაშინ, ეჭვი არ არის, ამ ჩვეულებებს ადრე თუ გვიან მოელებათ ბოლო დახლ ხალხშია. შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ამ გარემოებით რამდენიმე წლის განმავლობაში, თუ სრულიად არა, ზოგიერთი ჩვენი დამღუპველი ჩვეულებები მაინც მოიხშობიან, ან კიდევ შემცირდებიან, თუ მართლ საქართველოში არა, ზოგიერთს მის ადგილებში მაინც.

ვისურვებთ გულით და სულით ჩვენი ხალხის მაწინავე საზოგადოებისთვის ამ გვარ სასარგებლო საქმის შედგომას და ბედნიერად შესრულებას.

მისილი გურგენიძე.

Handwritten text in Georgian script, likely bleed-through from the reverse side of the page. It contains several lines of text, some of which are underlined. The text is dense and difficult to read due to the cursive style and overlapping lines.



და ასევე... ქართული იმედი იორე... ქართული იმედი იორე... ქართული იმედი იორე...

ქართული მწერლობა.

კაცმა ქირი მაღა,  
ქირმა თავი არ დამალა.  
(ანდაზა).

I.

დღეს ყოველი სულიერი და უსულო ქართველი, ცოტა-  
თი მაინც თუ გაკება რამე ჭკუენიერობისა, ხმა მძლავრ დღა-  
დებს, რომ ჩვენ, ქართველებს, არა გვაქვს ნამდვილი მწერლო-  
ბა, ისეთი მწერლობა, რომელიც შეადგენდეს უტყუარს სარ-  
კეს ჩვენი ცხოვრებისას, ნამდვილ ორგანს ჩვენი ჭკუენის მო-  
სახრებისას,—მწერლობა, რომელიც ეძისხურებოდეს და, შეძ-  
ლების გარეშად, აკმაყოფილებდეს რამე საღვთისმეტყველო მოთხოვ-  
ნილებს. მაშინ—როდესაც ყოველი მწერლობის დანიშნულება  
იმასში უნდა მდგომარეობდეს, რომ იგი თავალებ-გაფანტებულ  
ჩაიუფრებოდეს ცხოვრებაში, სულ-განახლებული ყურს უკადებდეს  
იმის ჩარხის ტრიალს, ეფაფრებოდეს და ესარჩლებოდეს ყვე-  
ლა საკეთილმო ფეხის გადადგმას; დაუღალავათ ებრძოდეს და  
წინლსა ჭკრამდეს ყოველ სიბოროტეს და მკენე შეცდომილე-  
ბას. მწერლობა, რომელიც დაუძინებელივ არა წინამძღვრობს  
ასეთი შესეფულობით თავის მოვალეობასევე, არის უმნიშვნე-  
ლო, თუ უჭი და ტიანი.

მართლაც, საუბედუროთ, ამისთანა სასულები არამც თუ დაიძისურა ჩვენმა მწერლობამ, არამედ კიდევ ორი-სამი ნაბიჯი გადასჭარბა. ჩვენ არამც თუ სიზმარშიაც არა ვგჩვენების ისეთი მწერლობა, რომელსაც ნამდვილათ გულის კოვზსუდა ჭკონოდა ჩვენი ცხოვრება მაგრათ მოჭიდებული, რომელიც სქელი ჭკვით გადაბმული ყოფილიყო მასთან, არამედ ყოველ ნაბიჯსუდა ვსუდამთ, რომ ამ მწერლობას სრულებით ოქსებსე ეკიდა ჩვენი ბუდიცა და უბედურებაცა. ათასი გარემოება ზოგი უსაბუდი, ზოგიც სრულ ისტორიულ კანონებსუდა დამყარებული, ბურთივით ატრიალებდა ჩვენ ქვეყანას, ხან ამ კუთხეს მიაჭასებდა, ხან იმ კუთხეს, ხან გვაცინებდა მწარეთ, ხან ცხარე ცრემლით გვაცინებდა; მაგრამ ყოველივე ამ გარემოებების დალი იძარსებოდა ხალხის გულში გამოუქვეყნებელივ, გაურჩევლათ. მწერლობას იმისთვის არც ერთხელ არ უთხრებია თავისი ყურადღება, არც გადუშლია ცხოვრების ფურცლები, არც ამოუკითხნია-რა იქიდგან, არ ჩაუხედნია ხალხის გულში და არც გაუშინჯნია მისი დაჭრილი ადგილები. ცხოვრება თავისთვის მიიხლანსებოდა უპატრონოთ და გაუგებრივ გულ-სულ დაკრეფილი, მწერლობა კიდევ ზურგ-შექცეული თავისთვის დათოხარებოდა ცხოვრების ველსუდა და უდარდელად დაჭსაროდა... რასა?— „სიამესა სოფლისასა“, ე. ი. ბროლის ღაბაბებს, თეთრ, სუტკავ თეთრ, ყელსა და მკერდებს, თურაშაული ვაშლივით ღოყებს, შავ თვალებს, დალაღ-კავებს, სულებს, ფეხებს „ჭკეროვანს“ და, როგორც ყოველი ამ სიმშენიერის დამაგვირგვინებულს... გავას. იქ ერთი გიწერამს (მურტალი ენით, რასაკვირველია!) სიყვარულის კანონებს, რომელიც მდგომარეობს ჩაკონებსში, სვევნა-გონანში და ნეტარების ცრემლის ღვრამში; აქ მერცე გასურებული მოგითხრობს

ფლანის სიყვარულს ფლანისადმი და ამ ფლანის გულ-გრილობას ჰირველ ფლანთან და სხვა ფლანის გაღმერთებებს; იქ მესამე ცდილობს, რომ თავის კალმით გადასჭარბოს ყველას და წარმოგიდგინოს ისეთი სურათი „სიყვარულის“ ვრცელი ისტორიიდან, რომ სულ ფესზე აგოყენოს თმა და გადინოს ცრემლი თავის გმირობის ბედ-იღბალზე. ერთი სიტყვით, სიყვარული, სიყვარული... კიდევ სიყვარული და სულ სიყვარული. ყველას ჰირსე ადგას სიყვარული, ყოველი მწერლის კალმის წვერზე დამკვდარს სიყვარული და, ცხნა უელს კამბეჩებს რომ განწეინო. ვერ მოაგდებინებ ამ სიყვარულს იქიდან. მაშინ—როდესაც სიყვარულისთვის ცხოვრებას არც ეცალა და ჯერ გვიანაც ვერ მოიხდიდა.

მე არა ვლანანაკობ ერთსა და ორსე. რასაკერადაც, იყვნენ და არიან კიდევ ისეთი გულ-კეთილი მკითხველები, რომლებიც დიდის სიამოვნებით ყურს უგდებენ ამ ფრიად შესანიშნავ საგანს, სიყვარულს, მსათ. არიან მუდამ დღობლი ჩამოყარონ, ოღონდ შენ კი ნუ დაიზარებ და უამბე მასზე რამე. გინდა სულ გადმოებრუნდეს იმისი ქვეყანა, გინდა მთელი ხალხი გასწუდეს ათასი შევიწროებით და შეწუხებით, ოღონდ თითონ კი ნირი არ შეეცვალოს და, ფესებზე ჭკილია, ის გინდა ათი „ქართლის ცხოვრების“ ოტელა წიგნს წაიკითხა მსგავრად, თუ კი შიგ არის აწერილი გოსტა ქალი, მშვენიერი და ლამაზი, რომელსაც მოუღერებია კველურათ ყელი და მცდურათ, მოსჯდომია გვერდში არა ნაკლებათ მშვენიერ ვაყსა და ჰიუშვერს საგონებელათ ხან ნახ ტუჩებსა და ხან ღოყებს... ამისთანაები ბევრი არიან და იყვნენ და ამძიმებდნენ ქვეყანას თავიანთი გვამით. მაგრამ სამწუხაროდ ის არის, რომ ჩვენ მწვრდობას მარტო ამისთანა მუქთა ხალხისთვის სტეილდა გუ-

ლი, მარტო ამათი მიწიერი მოთხოვნალებს ვაკეც და მარტო  
ამათ აკმაყოფილებდა. მთელი ის დასსი, რომელიც შეადგენს  
საღსსა, რომელიც აცხოვრებს ქვეყანას და უდგამს მას სულად,  
ეს დასსი კი სრულებით თავ-მინებებულად ეწოდება თავის მი-  
მე უღელს და ვერსად ვერა ზოგადობდა იოტის რტელა თა-  
ნაგრძობას, გულ-შემატვივრობას, აწავინ აწა თვიქრობდა მს-  
ზე, აწავინ იმას არ უდებდა ყურსა, აწავინ არ უხვევებდა  
გზასა და არ უმსუბუქებდა უღელსა.

გულ-მოსაკლავი და მომინებლავი ისეთი მოკლეა, სადაც  
აშკარათა ვხედავ, რომა საღსს არ ესმარება არამც თუ რომე-  
ლიმე საზოგადოებრივი დაწესებულება, ანუ პირ-და-პირი მთავ-  
რობა (ამათზე ვინ რას იტყვის!), არამედ სადაც თითონ მწერ-  
ლობასაც კი ყური მოუყრუებია და არავითარ დონი-მიებას  
არა ხმარობს, რომ ნამდვილ ცხოვრებას შესედას პირში, გა-  
უშინჯოს გილი და საქვეყნოთ ადვიაროს მისი ასაკ ანუ  
მცირე-წლოვნობა! სადაც მწერლობა არ აკვირდება ხალხის  
მოთხოვნალებს, მის პირ-და-პირ საჭიროებას და არ გამე-  
უხნდება ამ საჭიროებას დამცველათ და პატრონათ!

II.

მე მტკიცეთა ვარ დარწმუნებული და იმედოცა მაქვს, რომ  
ყოველი მკითხველი დამეთანხმება, რომ საზოგადოთ ჩვენში  
ჩამქრალია მწერლობის ღამეა და, მამსადაც, სხვათა შორის,  
ჩვენ საზოგადოებას აკლია ერთი უშველებელთაგანი დედა-ბო-  
დი ცხოვრების გაუმჯობესობისა; მამსადაც, ჩვენ ხალხში  
ჯერ არ არის გადვიძებული გონებითი შემოღობა; გვაკლია  
ბრძოლა ხნობით გაუმჯობესობისათვის; მოშორებულია



კართ იმ თვალ-სახინო იარაღს, რომელსაც შეუძლიან ხალხის ნამდვილი გაძლიერება, კეთილი სურვილის აღძვრა მასში, ხალხსნობის იდეალების გამორკვევა, შემუშავება და მუდმივით მიდრეკილება მათკენ. და ვისაცა სწამს ეს სამწუნარო სინამდვილე, აშკარა ჭეშმარიტება, ის არ გამოიჩენს იმორტულს სიჭიქტეს, რომ არ დამეთანხმოს აგრეთვე იმ აზრზედ, რომ ხალხი, რომელიც ასეთ წერტილზედა დგას, ეს ხალხი თავით ბოლომდის მიწასთან გასწორებულა. ათასი რომ გამჭიმო, ათასი მახო და მადიდო, ათი ათასჯერ ცაში აძვინო, თუ კი მე ცალი ფეხი სამარეში მიდგა, თუ კი ორივე თვალის ჩინი დამშრეტია და კერასა ესედამ, თუ კი ყური მე აღარ მიჭრის და არა გამეგება-რს არც ჩემი და არც შენი თავისა, ჩემის მხრით სასაცილო სისუფელე იქნება, რომ შენ ცბიერს და ტყუილ მიჭჭარვას დავერწმუნო, ან კიდევ დიდი უსინდისობა იქნება, რომ მე დაჯერებულე ვიყო, რომ შენ მიჭჭარვამ, ცბიერობ იმისთვის, რომ დამცინცლო რამე, დამტყუო, ერთი სიტყვით, გამომჩხე რასმეს, და არ ამოგდო ჰირში ლაგამი, არ დაგაჩუმო და საქვეყნოთ არ დაგასხა თავზე ლაფი მაგეთი უშვერი საქციელისთვის. ბიჭო, ჩვენ ყველამ კარგათ ვიცით, რომ ლეთისაგან განახენი ხელში არა გვიტარამს-რს, თუ როდისმე გვერნდა რამ, დროთა ბრუნვამ იმისაგანაც ცარიელი დაგვასხა; ყველანი დარწმუნებულეები ვართ, რომ სასხარი აღწასათა გვაჭკს და თვალე დასუტული მივინდობილვართ სოფლის მუსხანათობას, რომელიც, სურვილისამებრ თვისისა, ხან აქეთ მიგვიინარცებს თავსა და ხან იქით: მამ რაღა საჭიროა აქ ქება და დიდება ჩვენი თავისა, რომელიც ჭიან ჩირათაც არ გვიღირს არც ჩვენა და არცა-რს რამეფას გვაღებს სსვა ვინმე! გაცილებითა სჯობია შეგხედოთ

ტეშმარიტებსა ზიწი და ვაღვიაროთ იგი ხმა-მაღლა. აქ მოსატყუარნი ჩვენ არავინა გვეყვას და ჩვენი თავის მოტყუანება ვიდევ ხომ ვძარა და ვძარა. ერთი სიტყვით, დღეს ჩვენი ცხოვრების ბედი სრული და შიშველი უბედურებაა, ისეთი განუსაზღვრებელი უბედურება, რომ ჩვენ თავს უნდა დავტიროდეთ დიდიდამ მოკიდებული საღამომდის და საღამოდამ დიდიდის... მაგრამ, დავანებოთ ამ ტირილს თავი, სულ-მოკლეობაში არ ვინ ჩამოგვართვას, და შეუდგეთ ჩვენ საქმეს, ე. ი. მწერლობას.

აღნიშნული მდგომარეობა ჩვენი მწერლობისა, ჩემის არის, სულ უგანასკნელათ რომა ვთქვათ, იმის ღირსი ძანც არის, რომ ყოველმა კეთილ სინიდიანმა და გონიერმა ქართველმა ახლა ძანც ძიანც მიანჭიროს ყურადღება. მწერლობა არის თავი და ბოლო ყოველი ხალხის კეთილ-დღეობისა. გავიგოთ ეს ტეშმარიტება, დავათვასოთ იმისი მნიშვნელობა, ვასსენოთ ღმერთი და შეუდგეთ მის დადგენას ჩვენ საზოგადოებაში. ვიცო, ძალიანაც კარგათ ვიცო, რომ ეს საქმე მეტათ ძნელია, მაგრამ ისიც ნაკლებათ არ ვიცო, რომ ძალა აღმართსა ჭსნამს. „ზატა, ზატა და ზატას—კვერი შიანა“, ამბობს ხოლმე ჩვენი ხალხი და მართალსაც ამბობს. დღეს ჩვენ ვიძუდევრებთ შეძლებისა და გვარათ, ხვალ ჩვენი მოძმეები, ზეგ ჩვენი შვილებიც წამოგვეწარებიან, წავა და გვიშველის ღმერთი...

მაგრამ აქ მე შემაყენებენ და მეტყვიან: თქვენ რომელი აღდგომის კვერცხები ხართ, რომ საქმე თქვენიდგან უნდა დაიწყოს? ჯერ თქვენი დედ-მამა ერთმანეთს არც კი იცნობდნენ, რომა თქვენზე ნიჭიერიცა და ხასწავლი ქართველები შეეჭიდნენ მწერლობას, —თუ კი იმათ აქამდის ვერა გააკეთეს-რას, თქვენი იმედი საიდგანდა უნდა გვეჩინდესო? მაგის-

თან სიტუაციები საქმდისაც ბევრი დაინახვას, მაგრამ ჩვენ ვერ  
ვინახეთ-რამ.

ამასე მე შემიძლიან ვთქვას შემდეგი: პირველათ, კაცი  
რომ საქმეს მოჭიდებს ხელსა, თუ თავის იმედი არ უღივის  
გულში, ისეთი კაცი ვერა-რას გააკეთებს. მასმასდამე, დაზვი-  
ნებეთ თავი და ამ იმედს მანც ნუ გამოგვაცლით ხელიდან.  
ჩვენ იმედი გვქონდეს, რომ თუ რიგინათ, გულს-მოდგინეთ  
შეუდევით საქმეს და თუ ათასნაირი გარემოება არ გადაგვიდ-  
გა გზაში, მწერლობას დაგამწესებთ და გზასე დავაყენებთ,  
მივცემთ ხელში იმ საქმეს, რომელიც მას შემკენის და რა-  
მელსაც ის ვერ უღალატებს. მეორეც ისა, რომ ჩვენ ესლავ  
ვადვიარებთ, რომ ჩვენ ძალიან შორსა ვდგევართ იმ პირები-  
საგან, რომლებიც თავიანთ ქერქში ვერა ტუყდნან, იჭიმებიან,  
იგრიხებიან და ბაქი-ბუქობენ, რომ ჩვენ ქვეყნის აშენებაც შე-  
გვიძლიან და დანგრევაც, ვისაც გვინდა „კაცტაცსლებთ და  
გამკვდარებთ“. ჩვენ მაგ მხრით დმერთმა გვიწყალა. ჩვენ მე-  
ტათ დაბლა უფურებთ ჩვენ თავსა. ჩვენ არც არავის ნიჭში  
გამოვეტოლებით, არცა არავის სწავლაში. ჩვენ თუ ჩვენი თა-  
ვის იმედი მომეტებულათ გვაქვს, ეგ სულ სხვა მიხეცია. და ამ  
მიხეცის „ამოკვლევეც დაგვანახვებს, რომ თუძვა ჩვენ ვერ  
არავინ გვიცინობს, მაგრამ/ჩვენსა და ჩვენ წინა-პრებ შუა ისე-  
თი განსხვავებაა, რომელიც უფრო ჩვენგან ილაშარავებს, ვიდ-  
რე ჩვენი წინა-პრებისგან. არც ნიჭის საქმეა საქა და არც სწავ-  
ლისა. ჩვენი იმედი დამყარებულა მხლელად ამ განსხვავებასედ.  
ზოგი პატარა ნიჭს და უფრო/მცირე ცოდნას ისე მოინძარს,  
რომ იმათგან გამოავაროს რამე, ზოგი კი თავის დიდი ნი-  
ჭითა და ცოდნით წვირსაც ვერ გადააბრუნებს.

III.

საბრძოლო რამ სანასხვია გალიაში მომწვედუელი ღომი, რომელიც სან აქეთა კუთხეს ეძგებება თავისი ღონიერი თესვებითა, სტემს, უზანხუნებს რკინის ბოძებს, ჩაყლებს მაგრათ კბილებს და, როდესაც დაწმუნდება თავის უძლეულებაში, მიგზარდება ასლა მეორე მხარეს, ებძვის, ეხსუება, მანამდის კი შესწევს მას ღონე, მერე დაღლილი და დაქანტული დაეცემა მიწს, რომ შესვენების უძალ ისევ შეუდგეს თავის უნაყოფო ბრძოლას. რასაკერაიდა, უფრო საბრძოლო და შესაბრალისია ესავე ღომი, როდესაც უძითა ვითარება მიუთითებს იმ სასოწარკვეთილებით ჭკმძაბიტებასე, რომ სრულებით ტყუილი და უჭმია მისგნით წინააღმდეგობა, რომ უფრო ჭკვასთან ახლოა დაწუნება, თავის მოხრა უღონიერესის წინ და ამ სასოწარკვეთილებაში ღოდინი თავის მოძაკალი გაუნაბებელი სიტრცხლისა, სადაც აღარ ეღირსება მას არც ერთი თავისუფალი ნახტომი, არც მტრის ზარის დატემა დაბურულ ტყეში და აღარც ერთი იმ მოძრაობათაგანი, რომელიც იმას აცნობებს თავის ღომობას.

სწორეთ ასეთსავე შთაბეჭდილებას ახდენს თქვენსედეკაცი, რომელიც ყველაფერში კაცსა ჭკავს თავით-თუხებადის, მაგრამ ცნობრებას ისეთი გარემოება შემოურტყამს იმისთვის უოველ მხრით, რომ იმან არ იცის, რას მოჭკიდოს ხელი, რა გააკეთოს, რის და ვის სამსახურში გაატაროს და დასაწყულს თავისი სიტრცხლე. საზოგადოთ მძიმე სანასხვია ასეთი კაცი, რომელიც უსაქმურად აღდებს დღესა და ათენებს დამეს სიზარმაცის გამო კი არა, — (არა, იმას გულის ერვოს,

დონეც მოზღვეს—) იმის გამო, რომ არ იცის, რა უყოს ან თავის დონეს, ან ხელსა და ან ფეხსა. უფრო ძნელი სანახავია ესავე კაცი, როდესაც იგი თავის უთაობით შესდგომია რომელსამე საზოგადო საქმის აღსრულებას. მაგრამ მაშინ ხომ მაყურებელს ენა ჩაჭყარდება, თვალბეჭე ხელს დაიფარებს, როდესაც ერთი და რამე კი არა, მთელი რამდენიმე თაობა ამისთანა ჰიროებისა შესდგომია საქვეყნო საქმეს, აი გინდა მწერლობას.

თუ მწერალს არა აქვს ნათლად გამოჩვეული მიზანი, ისეთი მიზანი, რომელიც მოხდება ძვალსა და რბილში, რომელსაც შეუძლიან სული ჩაუდგას როგორც თითონ მწერალს, აგრეთვე იმის მკითხველსაც, ისეთი მიზანი, რომელიც აგრძნობინებს კაცს თავის დანიშნულებას, აუსილებს თვალსა და მხასპეკინებს თავსე ხელსა, თუ ასეთი მიზანი არ ადუღებს კაცის გულსა და ტვინსა, იმან რომ თავის დღეში კალამს ხელი არ მოჭვიდოს, გაცილებით ურჩევნია.

ძალიან დიდი დაკვირვება არ მოგვიჩვენებს, რომ ჩვენ მწერლებსე საზოგადოთ წარმოვსთქვათ, რომ იმათ „არა უწყოდენ, რას იქმოდენ“, გარდა ძალიან იშვიათი შემთხვევისა. ჯერ ხომ იყო და, რამდამს ქართული ასოებით სიტყვების გამოსატყა მოახერხეს ჩვენმა მწერლებმა, მაშინვე ამოიჩიეს კერძათ დალაღ-კაკებისანი ქალები და აღმერთებდნენ, იყნთა მტრათ უხდებოდნენ და უმეკედნენ მათ საკმელსა, იყნენ განცვიფრებულნი და გამგელ-გამომგელსა ჭიბთსამდნენ: «ვარდი და მშვენიერი ქალი რომ ერთად დასვა, რომელი რომელსა ჭსუნამს—ვარდი ქალსა თუ ქალი ვარდასა»? როდესაც დაინახეს, რომ ამ ფრიად მდაღ ღირსებისანი კითხვის ასხნა ვერავინ მოახერხა და არც არავის სცხელადა მისთვის, ახლა

მოჭყენებ სამშობლოს გაწვიადებას და იმის ქებას, თავიანთი  
 ცარიელი სიტყვების რახი-რუხით გასურებულნი, ყველას პირ-  
 ში ახლიდნენ— „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე  
 ქვეყნისა?“— „ერთი გულადი, პურადი, მებრძოლი შავის ბედი-  
 სა“, მიჭყენებ ამ ღრმა შესედულობის გამოკვლევას, თუ რომ-  
 ძელ სიტყვას ამოიჩვენებს ქართველი გლეხი, რომდესაც ის მი-  
 უგორდება თავის საყვარელს— „ზოყოლუსტას“ თუ „გრემც  
 შენ კი გენაცვალები?“ და ერთ-ხმით ამტკიცებდნენ, რომ  
 ქართველი გლეხი ერთ „გრემც შენ კი გენაცვალების“ არ  
 გასცვლის ათას „ზოყოლუსტასე“. ნელ-ნელა, ღვთის მოწყა-  
 ლებით, გადავიდნენ აქედან იმსეად, რომ დაუწყეს დაცვა  
 ქართულ ჩვეულებებს, ქართულ ენას, დაფა-ზურხას, ჭიანურს  
 და სტირებს, თითქმის ქვეყნისაზე, გარდა ათასში ერთი მანინ-  
 ვებისა, მოიძებნებოდეს სალი კაცი, რომელსაც ან თავისი სამ-  
 შობლო არ უყვარდეს და იმისი ენა, ანუ კიდე თითქმის მოი-  
 ძებნებოდეს რომელიმე სულელი, რომელიც ჩვენ მოგვედავა-  
 ბოდა ან ენას და ან სხვა რამე ქართულს, ან გინდა მოძებნი-  
 ლიყოს ასეთი სულელი, თითქმის იმას შექმლოს, რომ წაგ-  
 ვართვას, გამოგვწუწონს ისა, რაც ჩვენ სსუელს შეუთვისებია  
 და ბუნებათ გადაქცეულა. ჩვენ სულ ყველამ კარგათ ვიცო-  
 დით, რომ რაც წასართმევი გვქმონდა, ყველაფერიდამ ცარიელ-  
 ზე გაგვსვა ისტორიამ და დაგვინაწრუნა ისა, რასაც სიკვდი-  
 ლის მეტი ვერავინ სელს ვერ ახლებს. ვიცოდით ესა და ვა-  
 განტურებდით თავებს— მართალსა ბძანებენ ჩვენი ბატონები—  
 ქართული ენა არ უნდა დავივიწყოთო. რომდესაც ჩვენი მწერ-  
 ლები დარწმუნდნენ, რომ თავიანთი უაზრო აზრების გაკრტე-  
 ლება სულ ტყუილი ყოფილა, რადგან ეს აზრები უიძათო-  
 თაც მაგრა ყოფილა გამჟღავნო სალსში, მაშინ... მაგრამ მაშინ

რად? მასინ დომსალივით აურიეს სიყვარული და სამშობლო ერთმანეთში და შეძვეს სრულებით განუძნენ. განუძნენ და ამ სინუქში უფრო უდგებდნენ ხალხსა—იქნება რომ არა ვთქვათ—რა, უფრო ჭკვიანებათ მიგვიჩნიონ და უფრო პატივი გვცენო. ჩემის აზრით, ამ უკანასკნელს გადაწვეპტილებაში ისინი არ შესცდნენ.../

მაგრამ გავაგრძელოთ ჩვენი მწერლობის ისტორია. წინანდელი ორი პერიოდი შეიცავდა ჩვენ თავადისშვილობას. იმათ კიდევ ეწაფათ მათთვის. ქალის ავან-ჩავანი, რასაკვირვლია, უფრო თავადისშვილის საქმე იყო. მეტადრე მასინ, როდესაც ისინი ყოვლად შემძლებლები ბძანდებოდნენ, მეტი რა საქმე ჭქონდათ?! მამულის სიყვარულსედაც თავადისშვილებმა იქადაგეს, რადგან გული ეხატებოდათ, რომ აღარა ჭქონდათ ნება განუსაზღვრელათ და დაუსკვლად ეწიწნათ და ეგლიჯნათ თავიანთი ქვეყანა, რადგან თავადი შაალ ველარ დაიძსებდა ქედზე კაცსა და ველარ გაელაშქებოდა თავადი ოთარის წინააღმდეგ, რომელმაც იმას, ბატონ შაალს, ღვინის სმაში აჯობა და ცოლიც შეუგინა. მოდი და გული ნუ მოგიკვდება, რომ აღარ შეგიძლიან „ჩვენებურათა, შეკლებურათა“ ხმალის ტრიალი, თოფის გრიალი, შენი ყმების გაყლტა და გამუსურა... რისთვის?—რისათვისა და იმის გულისთვის, რომ ოთარმა ათი ჯისვი დაღია და შენ კი, შენო ბრწყინვალევაკ, მხოლოდ ცხრა. მკათე რომ დაგისეს და კიდევ გადაცროდი!...

ჭო, როდესაც ჩვენი თავადისშვილები ერთხანათ განუძნენ, რა ნასეს, რომ მათი რასი-რუსი აზავის გვერდებში არ უჯდებოდა. იმის შემდეგ დაიძრა ჩვენი აზნაურობა. დაიძრა და კიდევ დაახნია თავისი თუბი და კვალი მწერლობასაც. უნ-

და მართალი თქვას ვაძემა, რომ ჩვენ სალსს ამ აზნაურებმა  
 უფრო სიკეთე უკვეს. ისინი უფრო სალს იდგნენ სალსთან  
 და ცოტათი მანტ უური მოეკრათ იმის მწუსარებისათვის.  
 თუნი ჯგუფი დაიბადებინ იმედი იმითი იმის იდეაში  
 - ამ დან ეიმდგნათ. ამდგე IV. თუნი ჯგონებდნენ. მანდემ  
 მცდათ მდგნათ. იმდგნათ მანდგნათ მანდგნათ  
 მკითხველთან დიდ ბოდიშს ვითხოვ, რომ ამ ხელათ მე  
 მარტო სასოგადოთ მინდა გადავკლავ თვალი ჩვენ მწერლო-  
 ბას და მის მიმართულებას. შემდეგში, რასაკვირველია, შირ-  
 და-შირ მოგატყობათ ვრცელ უკუელებე აქ გამოთქმული აზრი  
 კერძო მაგალითებითა და ცალ-ცალკე განუმარტო. მასთან,  
 თუმცა მე უფრო მომეტებულ მნიშვნელობას ვამდეგ უკანას-  
 კნელ შერიოდს, რომელსაც ვემსი „აზნაურების შერიოდს“  
 მაგრამ აქაც მოლოდ სასოგადო აზრის წამოთქმის მეტს  
 ვუკან ვიტყვი. მე მინდა, რომ მკითხველმა ესლავ დაინახოს  
 ჩვენი შესდგელობა ქართულ მწერლობასე და წინათვე იცო-  
 დეს შემდეგ ვისთან ექნება საქმე და ან რა უნდა მოითხოვოს  
 ჩვენგან.

✓ ჩემის აზრით, „აზნაურების შერიოდი“ ჩვენი მწერლო-  
 ბისა დაიწყო 1899 წლიდან, როდესაც მოსწავლე ქართვე-  
 ლობა შირის-შირ იდგა რუსეთის სალათ გამოფინობებისთან  
 და შესანიშნავი აზრისა და გონების ტრიალთან. და თუ ცო-  
 ტადენი შუჭი მიადინა ჩვენ ცხოვრებას, ეტენ იმიტომ რომ  
 მასზე განუსაზღვრებელი გავლენა იქონია რუსეთის მწერლო-  
 ბამ. მოსწავლე სალ-განდობამა ხნა, რომა, თუმცა ძალიან  
 ძვირფასი და სახატრელი რამ აზრის „ჯანგონი ნინო“, ანუ  
 „მიბნედილი თვალე“, თუმცა სამშობლოს სიყვარული სა-  
 თაველი და სამრასის გრძობათ არ ჩათვლებს. მაგრამ

კაცი ამით მანც არ უნდა კმაყოფილდებოდეს, იმან უნდა იფიქროს კიდევ ბევრს სსკა რამესე, ემიოს ცოტა რამ ამასე მომატებულა. ერთი სიტყვით, მე ის მინდა ვთქვა, რომ წინანდელი რაი პერიოდი ჩვენი მწერლობისა შეიცავდა ისეთ სავსეს, ემსახურებოდა ისეთ მოკლენათა, რომელნიც არა სსკირებდნენ თავადების დასმარებაში, რომელნიც ყველასთვის გასაკებნი და ნაცნობნი იყვნენ. მართლათაც და, სად მოიპუნება ისეთი ხალხი, რომელსაც დაკარგული ჭქონდეს მშვენიერ საქმეთა იდეალი და მისკენ ღტოლვას? ან კიდევ, განა არის სადმე ხალხი, რომელსაც განადგურებულა ჭქონდეს თავმოყვარეობა იქამდის, რომა სძაგდეს სამშობლო, ე. ი. თავისი თავი?! რადგანაც ჩვენი ხალხიც ემოწილება საზოგადო კანონებს, სხვებზევით აქვს სიყვარული ღამაში ქალებისადმი და არა სძაგს თავისი სამშობლო, ამიტომ, მე ვამბობ, რომ ჩვენი მწერლობის „თავადიშვილური პერიოდები“ გროშით არავის უღირდნენ, და ამიტომ მათ არა ჭქონდათ არავითარი გავლენა ჩვენი ხალხის ცხოვრებაზედ, რადგან ამ ხალხს არ აჩვენებდნენ ისეთ რამეს, რაც მას თითონ ნაკლებათ სცოდნოდა.

მხოლოდ „სწავრული პერიოდიდან“ იწყება ჩვენი მწერლობა, მაგრამ ამ მწერლობასაც ვაძლევთ რამე მნიშვნელობას მხოლოდ იმიტომ, რომ აქ კაცი ცნადათა ჭხედავს, თუ რამთენათ მნელია საქმის გაკეთება, როდესაც ნიჭიც დიდი გაქვს, სწავლაც საკმარისი მიგვიღია, მაგრამ ის კი არ იცა, საით უნდა მიაქცია შენი ნიჭი და ან შენი სწავლაცაი უმთავრესი თვისება ჩვენი მწერლობისა ბოლოს დროს. მაშინ, როდესაც ჩვენი თავადიშვილები ბოლოსა სცემდნენ თავიანთ კეკლურ ღექსებში სიყვარულისა და სამშობლოს ველ-

სედ, აზნაურები ეწაფებოდნენ მეცნიერების ნაკადულსა და იკლავდნენ სწავლა-განათლების წყურვილს, აკმაყოფილებდნენ გონიერ ცნობის მოყვარებას, რომელსაც ეპარებოდა თავადიღვან ევროპის მოძრაობა თუ პალიტიკაში, თუ ლიტერატურაში. მიიღეს და შეითვისეს ათასნაირი ჭანგები უკეთესი მწერლებისა, სწავლობდნენ და ირეკვებდნენ მათ აზრებს. ამ დღისებდასთან იმათა ჭქმნდათ აგრეთვე ის ძვირ-ფასი თვისებაცა, რომ თავიანთ მკითხველებშიაც ავრცელებდნენ და აღვიძებდნენ ამავე ღტოლვილებს. მაგრამ მათი დიდი ნაკლულებს იმაში მდგომარეობდა, რომ თავიანთ ნიჭიერებასთან და სწავლასთან სრულებით ავიწყდებოდათ დროება, გარემოება და ადგილი. აი იმათი უშუკლებელი ავანტიურაობა, რომელსაც არ გამოხეჩენია ექიმი. ქართველი საზოგადოება, მთელი ხალხი, სწყდებოდა შიმშილითა და უმოსავლობით, ამ დროს ჩვენი მწერლები გაცხარებული ბასობდნენ ტიერზე და გიზოზე; ხალხს ავიწროებდა და სტანჯამდა ათასნაირი უსამართლობა მოსამართლეებისაგან, მწერლები აღტაცებულნი მოგითხრობდნენ ლუი ბლანზეზე, რომეოებზე და გამბეტაზე; ხალხი იწკებოდა და იღაგებოდა უთვალავი ხარჯისა და ბეგარებისაგან, მწერლები კი ბოკლისა და დარვინის ტეორიების მეტს ვერასა ჭებოდნენ საღაპაროთ; ხალხს უჭირდა დაწყებითი სწავლის მიღება, ჩვენ მწერლებს კი სრულებით დაჭვიწყებოდათ ესა და ელანარაკებოდნენ ქართველ მკითხველებს მეცნიერებისა და ცნობების უგანასკნელ სიტუვასზე. რამეთუთაც ეს მოკლენა სასაცილოა, ათი იმდენი სამწუხაროა. ეს მოკლენა იმდენათ სასაცილოებს თავის გმირებს, რამდენათაც სასაცილონი იყვნენ და დღესაც არიან ის ცრუ-შენტელა და ქარაფ-შუტა ქართველები, რომლებიც ისწავლიან ხალხე ცრუ-მანტა

ანა დავარდნილი, ჯანდაგი, საცოდავი და უმეტრებისაგან და-  
 ხაგრული ქართველიო. ვინ არ იტყვის, რომ ეს დიდი და უმ-  
 კვლბული შეცდომილებაა?

მწერლობა არის ექიმობა მთელი ხალხის ვათმეოფეობი-  
 სს, როგორც მედიცინა კაცის ვათმეოფეობისა. მე რომ ფე-  
 ხები მტკიოდეს და დოხტორმა თვალზე დამადოს წამალი,  
 მე ამისთანა დოხტორს ზედაც არ შეგხედამ. აგრეთვე ხალხი  
 რომ შიგ გულში იყოს დაჭრილი, სანჯვლის წვეკს გულში  
 გვეკლას, მასშინ მწერალს თავ-ბედისა არ გვებება, თუ ის აი-  
 ლებს და ძალადოს ზედ კენხსაზე დაადებს. ამისთანა ექიმ-მწე-  
 რალს, რასაკვარველია, ხალხი ზურგს შეუქცევს. აი, სწორეთ  
 ამ ნაირი ზურგი ახვენეს ჩვენ მწერლებს ქართველმა მკითხვე-  
 ლებმა. ზურგის ჩვენება ვის იამება? სწორეთ, რომ არავის.  
 არ იამა აგრეთვე ჩვენ მწერლებსაც. მაგრამ ამ ზურგის შექ-  
 ცვეის საწუენი მხარე მწერლებმა ისე ახსნეს, რომ თითონ  
 თავი გამოიძარტლეს და სიმტყუნე ჩამოაბრალეს ისევე ვეკლას-  
 ფერში გამტყუნებულს და დახაგრულს ქართველ მკითხველს:  
 «ჩვენი ხალხი ისეთი გაუნათლებელია, რომ იმისთან ნასწავლ  
 კაცს არ შეუძლიან დახარაკიო. ქართულ ენაზე არ შეიძლება  
 მწერალმა თავი გამოიჩინოს ან გააკეთოს რამე სასარგებლო-  
 ვო. უუნალი და გაზეთი წარმოუდგენელიაო, რადგან ნას-  
 წავლები რუსულ ენაზე უფრო უკეთესებს წაიკითხავენო და  
 ამიტომ ისინი ზედაც არ შეხედვენ ამ უუნალ-გაზეთებსაო,  
 უსწავლელები ვერას გაიგებენ და ამიტომ იმათთვის არ შეად-  
 გენს არავითარ საჭიროებასაო. ვისაც გინდათ ქართულ ენა-  
 ზე წერა, ანდაჩაუბსა და ჯდაზრებს ზევით ვერ წასვალთო».  
 აუგეს, შემდეგ ოცი წლის შრომისა, ჩვენმა აწინაურებმა ქარ-  
 თველ მკითხველებს ანდერძი, აიტრუეს გული და მიანებეს

მწერლობას თავი. თავიანთი უთავ-ბოლოობა და გამოუცდე-  
 ლობა მიანბნალებს ხალხსა, თავ-მოყვარეობამ არ მისცა მათ  
 ნებას საკუთარი ნაკლულეკვანების დანახვისა, და მთელი თავიან-  
 თი და წინა-პრების შრომა თვითონვე აღვიარეს სრულებით უსარ-  
 გებლო და უნაყოფო დროების დაკარგვით. თუმცა თითონ  
 შრომის დროს კი ისეთი გაცხადებულები და ანთებულები იყ-  
 ვნენ, რომ ერთმანეთს სულ პირს აკაწრიდნენ კატევივით და  
 ვინაღამ არ ამოწვივებდნენ ერთიანათ.

## V.

მეტყვიან—თუ მწერლობაში არ მისცემთ ადგილს არც  
 სიყვარულს, არც სამშობლოს და არც ევროპიულ მეცნიერება-  
 სსა და ცხოვრებას, მაშინ თქვენ უფრო ამოგობუებენ ქართვე-  
 ლი მკითხველები და თქვენგან განკიცხულ თავად-აწინაურებზე  
 უარესათ ჩაგომწარებენ დღესაჲ.

თუ ასე მოვიქცებით, რასაკვირელია, დიწხნიც ვიქნებით ამ  
 სასჯელისა. მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ჩვენ არც სიყვარულს  
 განვსდევნივთ, რამეთუ კაცნი ვართ; არც სამშობლოს უჩვენებთ  
 კაცსა, რადგანაც გვიყვარს იგი და ჩვენც ვეუთვნით იმას მთე-  
 ლი ჩვენი არსებით; არც ევროპიულ მეცნიერებასუდ და ცხოვ-  
 რებასუდ ავიღებთ ხელსა, რადგანაც მხოლოდ მასში ვსედავთ  
 კაცობრიობის გაუმჯობესობის და ძალა ამწვევის ძალას,  
 მხოლოდ იმაზე გვაქვს დამყარებული იმედი ჩვენი ძალე-უძალე-  
 ლო ცხოვრების განათლებისა და ამაღლებისა.

მაშ ამთენი რიდასთვის იუბედე და მოგვარწინე თავი,  
 თუ კი შენისაკე პირით აღვიარებ მცნებათა და სახარებათ იმა-  
 კე საგნებს, რომელსაც ემსახურებოდნენ შენი წინა-პრებიო?  
 მკითხავს დატინვით მკითხველი.

— იმისთვის, ჩემო გულ-ფიცსო და ბრახიანო მკითხველო, რომა სამსახურიც არის და სამსახურიც. სიყვარული წმინდა გრძნობას; მწერალმა უნდა აამაღლოს მკითხველის თვალში ეს გრძნობა და არ უუფრებდეს მას ხალხის თვალით, როგორც ჩვენი წინა-პრები შვრებოდნენ. სამშობლოს სიყვარული „ქლი“ და „კუი“-თ კი არ უნდა გააცხადო, არამედ ჩაისუფლო მის გულში, ათასი ქარ-ცეცხლი გამოიარო, იბოვნო მისი იარები და მოუძებნო მას შესავერი ძალაძო, რასაც კეთილ-შობილურათ იცნებდნენ თავიდაც ჩვენი წინა-პრები და უუფრებდნენ საქართველოს დამშუული მელის თვალთ. მხლელად რაც შეეხება ევროპიულ მეცნიერებას და ცხოვრებას, აქ უნდა უფრო თხილდე, რომ ძამიუნისით სათვალეები კი არ გაიკეთო, არამედ ამოიღო იქიდაცნო ყოველი ის სასიკეთო მხარეები, რომელიც მოუხდება და შეესაბამება შენ ჭკვიანსა. საქმე ბოლოდამ არ დაიწყება. «კერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილოვო.» მუდამ სახეში იქონიო შენი ხალხის მდგომარეობა, მისი მოთხოვნილება და იმათ-და გვართათ მოსძებნო ევროპიულ მეცნიერებაში და ცხოვრებაში ისეთი იარაღი, რომელიც დაგეხმარება გარემოების გაუმჯობესებაში და მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში. აი, რაზე არის დამყარებული ჩვენი იმედი ჩვენ თავზე. მასთან, თუ მწერლობას ასეთი მიმართულება შეეკვა, მაშინ ნასწავლიცა და უსწავლელიც ყოველთვის დაინახავს მწერლობის სარგებლობას, რადგან უსწავლელს თვალს უხილავს თავის ბედ-იღბალზე და ნასწავლს კიდე აცნობებს თავის სამშობლოს მდგომარეობას, რაზედაც ვერც ერთი ევროპის წიგნი ვერ მისცემს მას ახვარისს.

სტ. ქრ.— შვილი.

1111  
 1111 1111 1111 1111 1111 1111  
 1111 1111 1111 1111 1111 1111

## ბიბლიოგრაფია.

«ივერიის» შარშანდელი მე-IV და ამ წლის I წიგნები.

ვინ არ იცის, ან ვის არ გაუგონია, რა განსაცდელსა და ტანჯვასა ჭკრძნობს საბრძოლო მოგზაური თვალ-უწოდებელს და უნაყოფო უდაბნოში? შიშველით გამწარებულნი ანა თუ ზუგს, ბალახსაც ვერსად შოიბს, რომ მით ძინც ფერდი ამოიძოს; წუწრვილი აღწიბს და ყელის გასასველებლად წვეთ წყალსაც ვერსად ჭჭობს; მსურვალე მზის სხივები და ცხელი ქარი სულს უსუთვენ, ჯანს უსუთქენ, სისხლს უშრბენ, და საცოდავი ამოდ ეძებს წყლიან და მტენართან ადგილს (ოაზისი). მაგრამ, ბოლოს, თითქო განგებსა შეებრალა ეს საცოდავი ტანჯული და თვისი საღვათი მიანიჭა, იმედ გაწვევტილი მოგზავრი უეცრად თვალს მოჭკრავს ამისთანა ადგილს. დაქანცული და ილაჯ-გაწვევტილი მიანსურებს, რაც ძალი და ღონე აქვს, ამ სამოთხეს; საბრძოლო სისარულით ფესხედ აღარა დვას; ნეტარებით მოელის იმ წუთს, როცა მშკენიერ ცივ წყალს დაქაფება, მერე ხილსა სჭამს და იქვე ჩრდილში მოისვენებს. ბოლოს მიანა... მაგრამ უბედურს თვალ-წინ რჩება ედემის მაგიერ ჯოჯოხეთის მგვანე ადგილი, „ცხოვრების სის“ ნაც-

ბიბლიოგრაფია.

ვლად ეკლიანი ჯანები და ცივ ნაკადულის წილ ტალახისანი გუბე! რაღა ჯანია, მგზავრი გუბეს ეწათება.

სწორეთ ამ ნაირივე უნაყოფო უდაბნოა დღეს ჩვენ (ქართვლეთ) გონების გასწინის მდგომარეობა, და ამისთანა ტანჯვასა სტდის უოკელი პირი, რომელიც ამ უდაბნოში თვის ჭკუა-გონების და სულისა და გულის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას მოისურვებს. ასობით და ათასობით ჩნდებიან და იბადებიან კითხვანი: რა არის ცა, რომელიც ქუდად გვახურავს და დედა-მიწა, რომელიც ქლამნათა გვაქვს? ვინ არის ამ დედა-მიწის ბატონი და პატრონი და ვინ შემოსწრებული, დაუპატიუბელი სტუმარი? როგორია ის ცხოველი, რომელსაც ადამიანი ჭკვია, უდგია თუ არა სული, უღელავს თუ არა სისხლი, უძგერს თუ არა გული,—მერე ეკვლას თუ ზოგიერთს? რა არის სუნიდისი, პატიოსნება, ბოროტი და კეთილი? რა დანიშნულება აქვს საზოგადოებას და როგორი გავშირი უნდა იყოს მის და მის მწვერთა შორის? როგორი უნდა იყოს ოჯახი? გვერდის ნეკია დედა-კაცი, თუ ისიც ადამიანია?... პასუხი კი არსაიღამ ისმის. ამ კითხვებზე ჩვენი ესლანდელი ლიტერატურა დიმილით გვიპასუხებს: ეგები სულ სხვა-და-სხვა მცნებების საქმეა, და საზოგადოად მაგათ გამოკვლევას არც უნდა შეუდგეთო. ჩვენ სხვებს რას დავეკებთ, შინ რომ ბავშებს შიოდესთ, ვარეთ ტაბლას რა უნდაო; ჩვენ უნდა მხოლოდ ჩვენს პაწაწა კუთხეს მოვუაროთო. ვარკი და პატიოსანი! კერძო და, განსაკუთრებით, საზოგადო უკეთურება და ბოროტება გუნდათ ვარს გვასეკია, და აბა რომელი მათგანი, დაუთრგუნავს კი არა, დაუსასკელებია მაინც ასლანდელს ჩვენს ლიტერატურას, ვარდა იმ კოდო-ბუზებისა, რომელთა ყლეტა იმას ომიად მიაჩნია? დღეს ეკვლას თვალ-ხილულისათვის, რომ-

მელიც განგებ თვალს არ აისკვეს, ცხადია, რომ მოძავალში ჩვენი ქვეყნის საშინელი სულის ამომსდელი მტერი იგივეა, რამაც თითქმის მთელს ევროპაში დაბალი ხალხი დაიმონავა და პირუტყვს დაამსგავსა; ცხადია, რომ მეცნიერებით დაიარაღებული კაპიტალი, რომელმანც ხალხს ხელიდამ გამოაცალა მიწა და ხელ-ფეხის მეტი არა დაუგდო რა, დღეს თუ სვალ ჩვენს გვესტუმრება, და ახა რას გვიჩვენებს ჩვენი ლიტერატურა? — ხმასაც არ იღებს, ყურსაც არ ანძრევს.

აწმყო კიდევ უარესია. გლეხს თოკი აქვს ყელში მოჭრილებული, და ჩვენი ლიტერატურა მას ბედნიერად რაცხს, თუმიც არწმუნებს, რომ მასინ კიდევ უბედნიერესი იყო, როცა ხელ-ფეხში ბორკილიც გაურღია ქჭონდა, როცა „სულის მეტი“ მას საკუთრება არა გააჩნდა-რა, როცა მისი მოკვლავ ძაღლის მოკვლავსე უფრო იათად დაუჯდებოდა ყოველ „დიდ კაცს“ და როცა წინიდგან დასათხრელ თვალებს მას უკანიდგანა სთხრიდენ. ყველა ამგების დამტკიცება ბიბლიოგრაფიულ სტატიაში შეუძლებელი საქმეა; მოკვიყვან მსოფლოდ ერთ მაგალითს. თითქმის ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდგან იწერებიან სიღარიბეს და სიღატაკეს გლეხისას, რომელიც ღმერთს თაყვანსა სცემს თუ კი დღიური ლუკმა პური არ შემოაკლდა, ტანსე ძველი შალის ჩოხა და ფეხსე ქალამანი მანც არ შემოაცვდა, და თვითონაც კარგათ ვიცით, რომ ზოგიერთ ქვეყანაში გლეხის ბოსელი სასახლედ გამოჩნდება ჩვენებური გლეხის სახლთან, რომელსაც არც ბუნარი აბადია, არც თანჯრები და არც იატაკი. ყოველივე ესე კარგათ ვიცით და ვხედავთ, რომ მებატონის გადასახადს გარდა ჩვენ გლეხს საზოგადო და სახელმწიფო გადასახადიც არ აკლია; მაგრამ ჩვენი ახლანდელი ლიტერატურა, ნაცვლათ მისა, რომ საზოგადოებისთვი-

საც და მართებლობისთვისაც გლეხობის ნამდვილი ეკონომიური მდგომარეობა დაენახებინა, გვარწმუნებს, რომ ჩვენებური გლეხი ბევრად უფრო მდიდრათა სტრუქტურას, ვინამ გონიათ.

რომ ეს ჩემი სიტყვები მკითხველმა ცილის-წამებათ ან მიიღოს, უმოწილესად ვსთხოვ, გადავალს თავი „ივერიის“ 1877 წლის პირველ ნომერში დაბეჭდილ სტატიას: „საქართველოს მატანე.“ აი რას ამბობს ეს ყურნალი, გამოსვლისათსავე, წინასიტყვაობის შემდეგ: „ტფილისის გუბერნიის გლეხობას წელიწადში მოსდის ღვინო“ (სტატისტიკის წინასჯედს გარდა) „94,837 საშალე და ცოტა მეტი... სულზე ოც-და-ორს თუნგზე ცოტა ნაკლები.“

„სულ ტფილისის გუბერნიის გლეხობის სულადის მოსავალი სწწყავისა და ურწყავისა ერთად“ (სათესლეს და წინასჯედს გარდა) „შეადგენს 5517,677 კოდს“... სულზედ რვა კოდს და ორს ფუთზე ცოტა მეტს.“

„1877 წლის რუსულ კავკასიის კალენდარში მოხსენებულა, რომ მთელის გუბერნიის მოსავალს (მამსსადამე ანამც თუ გლეხობისას, ანამედ თავად-აზნაურობისასაც) შეადგენს ღვინო 2297,800 კოდრას,“ სულზე ათ თუნგ ნახევარს, სულადი (სათესლეს გარდა)—1574,846 კოდს და სულზე სამ კოდს და ერთს ფუთს.“

შემდეგ განავრძობს ეს პატივ-ცემული და პატიოსანი ყურნალი: „ამას რომ დაუჯეროთ გამოკა, რომ ჩვენი გუბერნიის ხალხი, თუ წუურვილით არა, შიმშილით მინც აქამდინ უნდა ამწუვეტილიყო, ან არა და ღვინოც და პურიც სსვიდან უნდა ეზიდნა ყოველ წელიც. ეს დაუჯერებელია, იმიტომ რომ სსვიდამ მოტანილს სასყიდელი უნდა, და ჩვენს“

გუბერნიას, თუ ღვინო და ზური სსვიდამ უნდა ზიდას, სხვა რა აქვს, რომ ის გაყიდოს და მის ფასით ზურის და ღვინის აუცილებელი საჭიროება მოაკლას.“

ახლა სომ ქსედავთ, მკითხველო, ქართველი გლეხი კაცის სიღარიბეზე რა რიგ შესტვივა გული ამ სიტუეების დამწერ ლიტერატორს. დარწმუნებული ვარ, რომ ამის წაკითხვა გაგასვენებს თქვენ კატაკონის ლიტერატურულ მოქმედებას. განა ისიც ამასვე არ ამბობს რუსეთის გლეხებზე? რუსეთში ესაა ყველა ერთ-სმად იძისა: გლეხობა სიღარიბით დაცემული და წელში გაწვეკტილია, სიმშლი ბოქაულივით კარზე უდგას, სულს ამბობს, და შავვანი ეჭირვება; კატაკონს კი დაუყინა: რას ამბობთ? ჩვენებური გლეხი ღარიბი სრულებითაც არ არის და არც შიმშილის იცის-რა, ეგ სულ—თქვენი (ლიბერალური მწერლების) მოგონებაა: თქვენ გინდათ ხალხში შოფოთი და ამბობს ჩამოაგდოთო. აი ამასვე იმეორებს ჩვენი დღემდის ერთად-ერთი ყურნალი „ივერია“. კორრესპონდენტები დარწმუნებენ, რომ ჩვენებური გლეხობა მეტად ღარიბიაო, ესევე სჩანს 1877 წლის რუსული კალენდრისაგან. „ივერია“ კი, რაც ძალი და ღონე აქვს, სტდილობს დაგვარწმუნოს, რომ ჩვენი გლეხობა მეტად უკეთა სტსოვრობს, ვინემ გგონიათო. თუ კი ამისთანა ლიტერატურის სმას გაუგონებდა, განა არ შეეძლო მართებლობას ეთქვა ჩვენებური გლეხებისათვის: ჭო, რადგან მეტი შეგძლებაო, ვინემ მეგონა, მეტი გადასახადიც უნდა იძლიოთო. მაგრამ, მაღლობა ღმერთს, მართებლობას, მგონია, არ მიუქცევია ყურადღება ამ ჭანტაზიური ანგარიშისათვის და სასელმწიფო გადასახადის მომატებით (СЪ ОДНОГО ВОЛА ДВУХЪ ШКУРЪ НЕ ДЕРУТЬ) არ გაუმწარებია უმისრთაც გამწარებული სიტყვსლე ჩვენის გლეხი-კაცისათვის!

ბიბლიოგრაფია.

მე ჩვენი ლიტერატურის საზოგადოდ განსილვას არ შეე-  
დგომილვარ და მხოლოდ მისთვის მოვიხსენე ეს მიმართუ-  
ლება, რომ მკითხველები ბევრს არას მოელოდნენ იმ „იკე-  
რის“ რთი ნომრისაგან, რომელნიც შეერთებულმა რედაქციამ  
მიუძველია თავის ხელის მომწერლებს ბედნიერ დღეს—ასე  
წელიწადს. ერთობ მცირე სამკვლეოა და (დემთა ნუ ინე-  
ბოს.) ვაი თუ დაგვეკვებოს!

თუ რომ გვიან, ხოსიაო, მხალიც კარგი ხორციანო—ან-  
დაზა. ჩვენ ლიტერატორებს, ალბათ, ეს ანდაზა ჭქანებიათ  
სახეში, რადესაც შარშანდელი დეკემბერის ნომრისა და წლე-  
ვანდელი იანვრის სტატიები უწერიათ. თუმცა ეს მხალი თან  
ერთობ უმარლოც არის, რაღა გაეწყობა, უნდა განვიხილოთ,  
ურევია თუ არა შიგ, რაღა მანც, რამე ჭკუა-გონების მსაზრ-  
დებელი.

შარშანდელის წლის დეკემბრის ნომერში, სსკათა შორის,  
დაბეჭდილია რთი ნათარგმნი: ერთი მოთხრობა — „ფეოდალის  
აღზრდა“ სრულად და მეორე რომანი „იზას“ დასასრული.

„ფეოდალის აღზრდა“ (ნათარგ. რაზიკაშვილისა).

რადესაც (1789 წელს) საფრანგეთში მოხდა დიდი  
რევოლუციია, რომელმანც დაამხო იქაური ფეოდალური მო-  
ნება, საფრანგეთს თითქმის ყოველ დიდ კვრამიულ სახელ-  
მწიფოებში აღმოუჩნდნენ დაუძინებელი მტერნი. ერთი ამის-  
თანა მტერთაგანი და მონების ერთგულ მეგობართაგანი გან-  
ლავსთ „ფეოდალის აღზრდაში“ გამოყვანილის ზოგოფრდის  
მოხუცებული პაპა. ამ ბერ-კაცს გულს უკლავს ფეოდალური  
წყობილების დამოხდა, და, რადგან თვითონ ცალი ფეხი სამა-  
რში უდგია და კვლავ რას მოესწრობა, ყოველივე ღონისძი-

ებსა სძარბის ზოგეირდის ფრანცუზებთან მოძინადებისათვის. სასწავლებელში შეეყვანა მდის თვითონ ასწავლის შვილი-შვილს სხვა-და-სხვა საგნებს. სარწმუნოება ამ მოსუტს მარტო დაბალი ხალხისათვის მიანხია საჭიროდ; კეთილშობილი კი მარტო სხვის დასანახავად, განგებ, უნდა აღვიარებდეს რომელიმე სარწმუნოებასა.

ყოველივე, რაც კი საუკეთესო რამ არის ქრისტეს სწავლაში და რაც შეადგენს ამ სწავლის საძირკველს და ბურჯს, იმას არ მოწონს და უკრძალავს ზესტორს—ჩემს შვილი-შვილს სულ-გომელობაზე და სიყვარულზე არა უთნარ-რათ. ეს ქველის მოქმედებანი იმას მიანხია საჭიროდ შავი ხალხისათვის, რომელიც მოთმინებაში და მოხებაში უნდა აღიზარდოს და არა მისთანა კეთილშობილისათვის, როგორც ზოგეირდი იყო. მაგრამ განა სულ-გომელებად არა კმარა, რომ ეს მოსუტებუღი კეთილშობილებს სააქაოს აკვრებს და საიქიო მთლად დაბალი ხალხისთვის დაუთმია?!

უტხო ენების შესწავლა და განსაკუთრებით ფრანცუზული ენის ძლიერ საჭიროდ მიანხია თავის შვილის-შვილისათვის. ურჩევს ისე შეეხვიე ფრანცუზულად ლაპარაკს, რომ ფრანცუზებს მათი მამულის შვილი, ნამდვილი ფრანცუზი ეგონათ და ნემცად, მტრად ვერ გიცნან; მაშინ შენი მტრის, ფრანცუზების ყოველივე ასაკვლ-დასაკვლს გაიგებო და მათი დამარცხება გაგიადვილდება. მოსუტებულის ფეოდალის სიკვდილის უკან ზოგეირდი გაელაშქრა საფრანგეთში 1848 წლის რევოლუციის გასულეტად. იქიდგან დაბრუნებული მუდამ იმას სწუხდა და სჩიოდა, რომ საფრანგეთი ზოლმასაკვებ არ გაუნაწილეს მოსამხლვრე სახელმწიფოებს: იტალიას, პრუსიას და შვეიცარიას.

მოკლედ გამოთქმული შინაარსი ამ მოთხრობისა ამით თაკდება. აქედან მკითხველი ადვილად დაინახავდა, რომ ზოგ-ფიორდის აღზრდა შესაზარებელი ყოფილა; ცხადია, რომ ამ-აზრებით აღზრდილი ზოგფიორდი, ცუდი მამულის შვილიც გამოვიდოდა და კიდევ უარესი ადამიანი და ქრისტიანი. ამ მხრით ეს მოთხრობა მოსაწყონია. მაგრამ ახა ერთი მიბძანეთ, რა იცის ჩვენმა მკითხველმა, ან ბებულები ვინ იყვნენ (რო-მელნიც ძლიერ ხშირად იხსენებინ ამ მოთხრობაში), ან რა მტრობა სჭირდათ შროსიელებს ფრანცუზებისა, ან ფეოდალუ-რი მონება რით ან ვისგან დამარცხდა. ყველა ესეები სრუ-ლებით გაუგებარია ჩვენებური მკითხველისათვის. მასთანავე ამ მოთხრობის ნათარგმნის ენაც ვაკრიანი მიძიქა, რომ მკით-სველი მიხვდეს მანაც რასაც კარგათ ვერ გაიგებს. ვაი თუ კეთილის ძაგეორად ბოროტი შედეგიც ექნეს ჩვენში ამ მოთხრობას. იქნება ზოგიერთმა ჩვენმა კეთილშობილებმა, რომელთაც ბევ-რი ფეოდალური თვისებები აქვსთ, კიდევ იფიქრონ, რომ ქრისტიანობრივი მოყვასთ მოყვარობის სწავლა და სხვანი მათთვის საჭირა არ არიან, და იმავე გზას დაადგენ, რა გზაზედაც მოხუცმა ფეოდალმა თავისი შვილის-შვილი ზოგ-ფიორდი დააყენა.

„ი. შ. ა.“

ამ ნათარგმნის შინაარსით არ შეგავწყნებთ, მკითხველთ, ნუ შეშინდებით. რომ არ ვაქო ვი არ შემიძლიან. ნასადილევის მხარ-თეძო წამოწოლილის, უსაქმო ემაწვილი ქალ-ბატონისათ-ვის საკითხავად სწორედ რომ ჩინებულა. ფანტაზიით არა-ბულს ზღაპრებს მოგაგონებსთ. თუმცა ამ რომანს „ისა“ ჰქვია, მაგრამ რომანი თითქმის მთლად ერთი ქალ-ვაჟის, მო-

რისისა და სესილას აშოკობას. ეს კიდევ არაფერი; მაგრამ ერთი შესანიშნავი ხასიათიც აქვს, ამ რომანს, რომელზედაც უნდა ვსთქვა რამდენიმე სიტყვა. არიან იმისთანა მწერლები, რომელთაც ჭგონიათ, რომ თუ ადამიანი კარგია და რამე საქმეში კეთილი და პატიოსანია, ყოველთვის და ყოველისფერში, უეჭველად ამისთანა იქნებაო, და არავითარი ნაკლებებას იმას არ ექნებაო; ერთი სიტყვით, კაცობრიობის ერთი ნაწილი მიანიხილავს ანგელოზებად, სხვები კი წყუელ-ემძაკებად. რასაკვირველია მეტად დიდი შეცდომილებას. ადამიანს გარემოება ბურთავით ატრიალებს, მაგ. სადაც კაცს მართლის თქმისათვის ენასა სჭრიათ, იქ გასაკვირველი არ არის, რომ სიმატლეთ ვერ გამოხატავს, და ერთხელ მაინც უგუდმა გაწირვინონ; ამას გარდა რაც უნდა ჩინებულ კაცი იყოს, ყოველთვის იზოგნის იმის მოქმედებაში რამე შეცდომას რამე ცუდს—შეუცოდებელი მარტო მადლს დემოთია, დედა-მიწაზე კი არავინ.

ეს რომანი ნამდვილ პარიზის ცხოვრებას და ცოცხლად ადამიანებს კი არ გვიხატავს; არა, სწორეთ როგორც ზეკითა ვსთქვა, ანგელოზებს და ბოროტ-სულებს. ბოროტ სულად გარეუნილად, მოღალატედ, ანგარებით კაცის მკვლელად გამოყვანილია თვით იზა და შემდეგ მისა მისი სავსარელი გუდარი. ანგელოზების თვისებისანი არიან: მორისი და მისი საყვარელი და შემდეგში ცოლი სესილა და ერთიც პოლიციის მხსრეკავი, მზგვრავი. გიურე. არა, ეს მარტო მიჯრველ ანგელოზათ კი არა, მთავარ-ანგელოზათ არის სწორედ გამოხატული. ყოველს ბოროტს, რაც კი ხდება რომანში, ისა სთრგუნავს და ყოველი კეთილის ხელის შემწყობი და მალამოის არის. ნეტარ სსენებულის შესამე განყოფილების ამის

მცოდნე ადვილად წარმოიდგენს რა სიკეთისა და სინათლის მოფენას შეუძლიან ამ მსვერავებს. აგრეთვე საფრანგეთში, ნაპოლეონ მესამის მართებლობამ გუნდათ დასსია საფრანგეთს მსვერავები; ისინი მართებლობას თვალვით და უურბათ გამეხსნენ, მართებლობის ყოველივე წინააღმდეგი სიტყვის გაგონებისა სტდილობდნენ, მართებლობის მძლავრობის და ბორბობის ყოველ დამამარცხებელ მოქმედებას რვერავდნენ და მთავრობას ატყობინებდნენ. არა თუ საზოგადო მოქმედი პირი, კერძო გაცივ კერ გადურჩებოდა ხოლმე მათ დამით ნამდევად წვევას. ყველანე ეჭვი ქქენდათ, თათქო მთელი საფრანგეთი საფრანგეთისავე მოღალატე გამსდარიოეს, ყველას თვალ-ყურს ადევნებდნენ და გულში უძვრებოდნენ. თუმცა დაფარული დანაშაულობისა და ბორბობის აღმოსახენად ივეგენ დანიშნულნი, მაგრამ ბორბობას თვით სთესავდნენ ყველგან, სადაც კი ფესს შეადგამდნენ. ამისთანა მოქმედებისათვის ფრანგურებმა ყამივით შეიძულეს ეს მსვერავები და დღეს დიდის სიმძულვარით და ზინლით მოიხსენებენ იმ დროს, რაცა იმთში ადამიანის ღირსების ამ ნაირი დამამცირებელი წყობილობა მოქმედებდა. მსვერავობა არ გაიტანს არც ნათესობას, არც ნაცნობობას, არც მეგობრობას, სულ-გრძელება და სიბრალული ბოკშობათ მიანნია; ძლიერს და სურსტს, ვაყ-გაცს და დედა-გაცს, ღრმა მოხუცებულს და ხორწ ყმაწვილს, დედ-მამას, ღვიძლზე ნადებ და-ძმას და ვიგინდაჩა .. უცნობს—ერთნაირივე უსულ-უგულობით აძლევს სასტიკს და უწყალთ საიდუმლო მსაჯულებას. და რასაკვირველია ყოველი პატრიოსანი პუბლიცისტი ამ უცნაური სენის დათრგუნვის მოკალეა, რითიც კი შეუძლიან—სიტყვით თუ საქმით. მის მაგიერ, რომ ჩვენს ღიტყვარტურას დაენახებია თავის მკითხველებისათვის

ეს საზინდარი სენი, „ივერია“ თარგმნის იმისთანა საძაგელ  
 რომანს, რომელსაც საფრანგეთში ბონაპარტის მომხრეების  
 და კლერვიკალების მეტი ხელს აწავენ მოჭკიდებს და რომელშიაც  
 პოლიციის მოხვეწავი გიურე გამოყვანილია უძანკო ტრედად.  
 ამისთანა კაცზე გვითითებს „ივერია“, და თითქმის გვეუბნე-  
 ბა: „აჭა კაცი“ მას წაბაძეთო! ნეტავი თუ იზრინანოს ღმერთმა,  
 რომ ჩვენი მოწიგნობაწნი და ფ... ფილმოსოფოსნი რდესმე  
 გონს მოვიდნენ და კარგისა ავისაგან გარჩევას შეიძლონ!

„არის აღგილი“ (ვ. რ.).

ჩინებულნი პოეტის ჩინებულნი ლექსი გასლავსთ, იმავე  
 „ივერიის“ წიგნში დაბუკდილი და იმერთა ნამღვნევი. იმერ-  
 ნი ძღვნისათვის აუარებულ მადლობას სწირვენ უფ. ვ. რ.;  
 მაგრამ ევედრებიან ერთი თხროვნა აკვისოფულეთო. თუ  
 შეიძლებოდეს გვიანგარიშეთ: 1) რამდენ რქროთ ელი-  
 რება ის „აღგილი“ და რაც იქ განძიას, 2) ვისი და რამდენ-  
 ნი კაცის ხელთ არის ყოველივე ეს საუნჯე შექნილი, 3)  
 რამდენი ჩათვი რთული დაღვრილს ამ განძის მოპოებაში და 4)  
 რამდენი დღიური მოიწყურდა იმ რთულითო.

„აღვოკატები“ (თს. რაფაელ ერისთავის).

აჩა მგონია, უწინდელ ჩვენ მდივან-ბეგებს და უხასტკის  
 უფროსებს (УЧАСТ. НАЧ.) იმოდენათ ევენოსთ ხალხისათვის და  
 კერძოდ გლეხები იმოდენათ შევეიწროებიანოსთ, რეგორც  
 ახლანდელ ადვოკატებს.

მდივან-ბეგს ან პურით შეიჯერებდი, ან ღვინით, ან  
 რ-ოგესი და ან რთს-ოგესი ცხრკულით; ან სვეწნა გაგივიდო-  
 და, ან მუჭარა. ადვოკატის მასეში თუ გაები, რეგორც მო-

გეხსენებთ, აღარც ერთი ეს საშუალება არ გამოგადგება: სანამ იფუღს არ დაგინახამს, გზა-დაბნეული რომ განახოს, ადვოკატი გზასაც არ გასწავლის, წყალში რომ იღრჩობოდეთ, თოკსაც არ მოგაწოდებს. და საწყალ ჩვენ გლესს ქესა ან სულ არ გააჩნია, ან არა და ბეჭი, ბეჭი, თუ ობოლი მანეთი შიგ უგდია. ეს კიდევ იქით იყოს. ადვოკატებმა ნამუსი და პირის წყალი სულ დაუმხვეს ჩვენს გაუნათლებელს ხალხს. ძმა ძმას აუჩივლეს, შვილი დედ-მამას და დედ-მამა შვილს. სიმართლეს სისულელე დაარქვეს, სიცრუე და ფიცის-გატყეს ხალხის თვასად გახადეს. მაშასადამე ლიტერატურის ვალი იყო ემხილა ყოველივე ესე ადვოკატებისათვის, ეჩვენებინა ნამდვილი მათი დანიშნულება და ხალხისათვისაც დაენახებინა ადვოკატების ნაკლულეკანება. ამისთანა მიმართულებისა არის სწორედ რ. ერისთავის კომედია „ადვოკატები“ და ამ მიმართულებით მოსაწონიც არის. ნათურძალი სოლომონი უკანს-კნელ სუთ მანეთს ართმევს საწყალ გლესს და უწერს არძას, რომელსაც ეშმაკიც ვერას გაუგებს, და რომელიდგანაც, რასაკვირველია, არათეორი არა გამოვა-რა. მეორედ იღებს ერთი თავადიშვილის საქმეს, შემდეგში იმის მოწინააღმდეგესაც ართმევს იფუღს და საქმესაც იმას მოაკვებინებს. როგორც საზოგადო პირისა ამის მეტი ნაკლულეკანება არა არის-რა გამოუკანალი სოლომონის ხსათათს აღწერაში. სოლომონისა და მისი ამხანაგისაგან ერთმანეთის გინება, ცოლის შერთვა-ზე სოლომონის საცადი და სხვა—მათ შინაგან ცხოვრებას შეესება და არა საზოგადოებას. მიმართულებას გარდა ეს პიესა ძლიერ ნაკლებია: სამივე მოქმედება ისე ძალით არიან ერთი ერთმანეთზე მიკერებული, რომ თითქმის არავითარი კავშირი არა აქვსთ. მთელი პიესა იმ უწინდელ საბანსა ჭკავს,

რომელსაც სხვა-და-სხვა იუერი ჩითის ნაჭრებისაგან ჰქვამდნენ  
ხელე უწინ ჩვენში. ერთი სიტყვით, ამ თხზულებას, რო-  
გორც ზიესას, შეშენის რუსული ანდაზა: **ни Божу свѣчка,  
ни чѣрту кочерга!**

„განათლება და ვაჭრობა“ (ი. როსტომიშვილისა).

...განათლება და ვაჭრობა! „იუერის“ მეოთხე ნომრის გან-  
ხილვა კინაღამ არ გავათავებ! კინაღამ არ დამავიწყდა მიმესაჩუბი-  
ნა! მეოთხელებისათვის, რა საკვირველი წამალი გამოუგონია  
როსტომიშვილს. ამ უკვდავების წყალს ჰქვამს სახელად ერთად  
ვაჭრობა და აწერილია უ. როსტომიშვილის „განათლება და  
ვაჭრობაში.“ აი რა თვისების არის ეს წამალი: უსთქვამთ,  
ჩვენ გვეუბნება ერთი „დაცემული და გავყრანებული ქვეყანა.“  
ამ ქვეყნის მცხოვრებნი დგანან ან აქა-იქ გაფანტულ ქაზებში,  
ან მიწურებში, რომლებშიაც მთელის წლის განმავლობაში არ  
იწყებენ დამზადი და აყრადნებული ჰქვამს; საწოლათ მათში  
მცხოვრებლებს „ცარიელი სუკელი დედა-მინა აქვსთ, უფიცროთ,  
უტანტოთ; ქვეშ-საგები ასეთი გაქონილი და დაფუთილი,  
რომ ვერც ვი გავაჩნევთ, ახლობის დროს რა იუერისა უნდა  
ყოფილიყო... — და მოკინდომეთ ამისთანა ქვეყნის „უკესზე  
წამოყენება და აყვავება“, ამისათვის საჭიროა მხოლოდ, რომ  
არა დაგროვოთ-რა და რაც შეიძლება მალე შეუდგეთ ამ და-  
ცემული სახლის წამლობას! ამ წამლობას არ უჭირვებს არავინ-  
თარე განსაკუთრებითი საშუალება, თვით ჩვენვე უსწავლელათ  
მოკავსებებში...“

...ამ სასოგადოების სენის განკურნებას ასე უკვირებს უ.  
როსტომიშვილი. ნაცვლად მისა რომ თვითვე უფრო სოფლები  
ცალკე უიღუფლობდეს, რაც რამე მისთვის საჭიროა, მთელი

ბიბლიოგრაფია.

სოფელი ერთად უნდა შედგეს და საზოგადოდ მოიტანოს სავაჭრო: ჩითები, ჭურჭელი, მიწის სამუშაო იარაღი და სხვები, რომ კერძო ვაჭრებს თავი არ განცანცვინონ. კარგი და პატიოსანი! მაგრამ ამითი შევიძლიანთ უ. რუსტომიშვილს, ღატაგი და „გვერანებული“ საქართველო აღადგინოთ! გთხოვთ აბა მოინსუნეთ ჩემი ანგარიში. პატივცემულის „იკონიის“ (1877 წლის № 1) ანგარიშით ავ-კარგათ თვითთა ქართველ გლეხს მოსდის წელიწადში სულზე სულადი (პური, ქერი, ფეტვი და სხვ.) 8 კოდი და 2 ფუთი, ღვინო — 22 თუნგი. გამოდით ამ ანგარიშიდგან საბატონო გარდასასადს მხლელად 2 კოდ სულადს და 5 თუნგ ღვინოს — დაჩება 6 კოდი და 2 ფუთი სულადი და 17 თუნგი ღვინო. წარმოადგინეთ, რომ ჩვენმა გლეხმა წელიწადში სარჯად მარტო 3 კოდი და 2 ფუთი სულადი იქმაროს, ღვინო კი წლიდგან წლობადის წკეთიდ არ დალიოს. დაჩება, როგორც მოგესსენებათ 3 კოდი სულადი და მთლად 17 თუნგი ღვინო. ფეტვი და სხვა რამ ბალახურდო სულ სობობად (პურათ) ჩაგდეთ და ანგარიშეთ კოდი პური სამ-სამ მანეთად (სულ ომიანობა სომ არ იქნება, რომ მეტათ ეღიროს) და თუნგი ღვინო ათ შაურათ. გამოვან რომ ჩვენი გლეხის წელიწადში სულზე ნაღდი შემოსავალი 17 მანეთ ნასკვარი უოფილა. გამოდით ამ ფულიდგან ტყისა და უხოს იჯარათ, მღვდლის და სხვა საზოგადო გარდასასადათ მარტო 2 მანეთ ნასკვარი; დაგრებათ 15 მან. ასლან წარმოადგინეთ, რომ გლეხი ვაჭრის შვილმან, რომლის მაგიერათაც, ვსთქვათ, მისი შინაურები მუშაობენ, მოინდომან განათლების მიღება (თუ გლეხებისათვის ანა-ბანას მეტი სხვა სწავლა საჭირო არ არის?). თქვენ, რასაკვირველია, გგონიათ, რომ წელიწადში თხუთმეტი მანეთი

(პურს გარდა) მოსწავლეს თბილისში ვი არა პეტერბურდშიაც  
 ეყოფა. გგონიათ, უეჭველია, რომ ეს ფული (15 მანეთი)  
 უმადოდ სსშ-ის სსსწავლებელში ვი არა უნივერსიტეტშიაც  
 შესარულებინებს სწავლას. მაგრამ სწავლისა და განათლების  
 მაგიერ თქვენ იქნება იმ პრინციპით გნებავდეთ „ააფუ-  
 ვით“ ქვეყნის, რომელიც საგარეჯოში თურმე აღაბი სამ შა-  
 ურათ იყიდება?!...

არა, ბატონო რომელიმე! თქვენ თურმე ხალხთან  
 ძლიერ დასწავლებული ბმანდებით, კარგათ იცით მისი მდგო-  
 მარეობა და დამიჯერებ, რომ ზემო მოყვანილი ანგარიში  
 კიდევ მეტია. ჩვენებური გლეხის წლიური შემოსავალი იმასე  
 ბევრათ ნაკლებია, და არაკითარ შეერთებულ ვაჭრობას ამ  
 ხალხის ფეხზე დაყენება არ შეუძლიან, თუ გინდ უოკელიც  
 გარდასასადისგანაც რომ განთავისუფლდეს. ბეგრისგან ბეგრი  
 შედგება—ეგ უეჭველია, მაგრამ ბეგრს დაკმაყოფილებაც მეტი  
 დასჭირდება. მილიონი აბაზი, რასაკვირველია, კარგა ძალ  
 ფულს შეადგენს; მაგრამ, რაც უნდა იათად იყიდეთ, მილიონ  
 ჩონას ვი არაკითარ მოგცემთ ამ ფასად და თუ თქვენ „ამსა-  
 ნაგობას“ მილიონი ჩონა სჭირდება და გლეხი ჩონისთვის  
 აბაზის მეტს ვერ შეაღება,—უეჭველია ვინმე შიშველი დაგრ-  
 ხებათ.

ჩვენი ხალხის მდგომარეობა თუ ახლავ იმისთანა არის,  
 რომლისაც თქვენც სწერთ თქვენ სტატიაში, აბა მასინ რომო-  
 რილა შეიქნება, რომელსაც გლეხის ოჯახი იმდენად გადიდებ-  
 ბა, რომ სულზე თვითონ წკადი მიწის მეტი აღარ გასვდება?  
 და ან რა უნდა უშველოს იმას მასინ თქვენმა შეერთებულმა  
 ვაჭრობაში.

ბიბლიოგრაფია.

აგრე სასწაულთ მოქმედი და ხალხის ცხოვრების წინ  
 წამწვეკელი რომ იყოს ეს შეერთებული ვაჭრობა ანუ, უკეთა =  
 ვთქვათ, потребительная ассоциация, განა სხვა ქვეყანაში  
 ვერ მოახერხებდნენ იმის დაარსებას: განსაკუთრებით რუსეთს  
 და ბერეს სხვა ევროპის სახელმწიფოებს, როგორც უკვე  
 ღია გაგვიჩვენებთ, ძლიერ აწუხებსთ დღეს დაბალი ხალხის  
 სიღარიბე, და აბა რომელ უბედისცისტს უთქვამს იქ შეერთ-  
 ბული ვაჭრობით მოკვამობთ სიღარიბესა? მართალია, სოფ დიდ  
 ქალაქებში, სადაც ქარხნები ათასობით და ათი ათასობით  
 ამუშავებენ ხალხს, ამისთანა შეერთებულმა ამხანაგებამ სარ-  
 გებლობა დაანახვა ყველას; მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ ქა-  
 ლაქისა და სოფლის ცხოვრება სულ სხვა-და-სხვა არის. მო-  
 ქალაქე, დიდი თუ პატარა, როგორც მდიდარი ისე ღარიბი,  
 წლიდგან წლობამდის ნაღდი ფულითა სცხოვრებს; იქ ყოველ  
 ცისმარე დღეს მუშა ხალხი ყოველივეს, რაც კი მისთვის სა-  
 ჭირია, ყიდულობს, — და, რასაკვირველია, რასაც უფრო ია-  
 ფად იყიდის, მით მეტი დაჩნება და უკეთაც იცხოვრებს.  
 სოფელი კი უმეტეს ნაწილად და თითქმის მხოლოდ თავის  
 ნაწარმოებითა სცხოვრებს, საყიდელი ძლიერ მცირე აქვს  
 (განსაკუთრებით ჩვენი) და, უკვეკვლია, სავაჭროს სიძვირე და  
 სიაფე ბერათ ვერ შესცვლის მის მდგომარეობას. სოფელე-  
 ლის, და განსაკუთრებით ჩვენი სოფელელის ცხოვრება, თით-  
 ქმის მთლად დამოკიდებულია მიწაზე: თუ გლეხს კარგი მი-  
 წა უჭირავს, და თან სახელმწიფო და საზოგადო ხარჯიც არ  
 აწუხებს, ის სულხადგომულია, „მდიდარია“, და თუ არა, ალა-  
 ბი ჩითი სემ შაურათ კი არა, გრამათაც რომ განადო და  
 აგრეთვე სხვა სავაჭროც განაიფო, უადგილ-მამულა გლეხი  
 მინც დატაკად დაჩნება.

ანა, ბატონო რესტორმანშიღო, რეგორც მაგ-მასტერი  
 ბელატს სუტუტ თმას ვერ ამოგვრის, ისე თქვენი წამლობა  
 საქართველოს სიღარიბეს ძინს ვერ ამოუხვრის! თქვენი წამ-  
 ლობით ზოგიერთს ცრუტა ესადავათება, ეგ უეჭველია; მაგ-  
 რამ სენი მანც სენად დაწება მანამდი, სანამ მეცნიერებას  
 არ დაუჯერებთ და სხვა წამლობას არ შეუდგებით. იქნება  
 მეცნიერებისაგან ნახევნები წამალი უფრო ძვირათაც დაგვიფ-  
 დეს და უმწარესიც იქმნეს, მაგრამ რა გაეწუება—სამი მთ-  
 გესსენებათ, ზოგიერთი სნეულება უაშეწყატიოთ არ განი-  
 კურსება!

ბალხისარაის შადრევანი“ (პუშკინიდაძე გადმოთარგმ. თ. მის.  
 ბირთვ. თუმანიშვილისაგან).

ჭკალდი სწორეთ რომ დაღვრვილია! მოთმინებაში  
 უღრება-ივერის, მკითხველებს არ დაუკარდება. „ივერის“  
 რედაქციამ ეს ძლიერ კარგათ იცის და რასაც ხელს მთავ-  
 ლებს, ბეჭდავს თავის ყურნალში. ახა ერთი მიბძანეთ, რის-  
 თვის და ვისთვის არის საჭირო ჩვენს დროში პუშკინიდაძე  
 ნათარგმნი და მთელს რც-და-რვა გვერდზე გალექსული ბაღ-  
 ხისარაის შადრევანი? მართალია, გიმნაზიის შავირდსაც გაუ-  
 გონია, რომ პუშკინი გამომჩენილი მწეწალი იყო რუსეთში,  
 გაუგონია და იცის, რომ იმდენი გაკლენა არც ერთს პოეტს  
 არა ჭკონების რუსის საზოგადოებაზე, მაგრამ ზოგიერთმა  
 შავირდმა ისიც კარგათ იცის, რომ ბეგრი და თითქმის  
 უმეტესი ნაწილი პუშკინის თსუელებისა თავისი მარგალიტის  
 ენით არის შესანიშნავი და არა მართი გამომთქმული აზრებით,  
 იდეებით.

„ბაღისაჲრის შადრევანი“ ზუშკინის ერთი უსუსტესი თხზულებათაგანია. — ხანის ჭაჭამს, რომელშიდაც სხვათა შორის სცნოვრებს ერთი ქართველი ქალი ზარემი, მიემატა ერთი მშენიერი ზოღშელი ქალი მარია. ხანმა მალე აიყარა გული თავის უსაყვარლეს ზარემასე და შეიყვანა მარია. მოჰურნე და გულ-დაძვარი ზარემა ჰკლავს (ან სხვას აკვლევინებს) მარიას. ამ დანაშაულობისათვის თვითონ ზარემას წყალში ავლებენ. მოკვლად გამოთქმული შინაარსი ამ თხზულებისა ეს განლავსთ. მართალია, ბაღისაჲრი, ბაღები, შადრევანი და ბუნება მშენიერად არიან აღწერილნი ამ თხზულებასში, მაგრამ მოქმედება სრულებით არა სჩანს-რა. თვით მოქმედნი პირონი ძლიერ სუსტად არიან დახატულნი. დარჯჯის ხოჯას გარდა არც ერთი ხასიათი ხეირონათ არ არის გამოყვანილი. რაც შეეხება მარიას და ზარემას, მათ სახეს თითქმის სრულებით ვერ წარმოიდგენს მკითხველი. მარიაზე მხოლოდ ეს ვიცით, რომ ახლად მოყვანილი დიდს მწუნარებას ეძლევა და ღოჯულობს, და ზარემასე — რომ დედა მისი ქართულად ლაზარეობდა, თვითონ კი სამშობლო ენა დავიწყებია — სხვა არაფერი. თვითონ ზოგტი რომ არ ვგარწმუნებდეს, ვერც მარიას ზოღშელად და ვერც ზარემას ქართველად ვატი ვერ იცნობს. სახელიც ხომ რაღაც ახირებული ჰქვია ამ ქართველ ქალს — ზარემა. თუ შინაარსით ასე ღარიბია ეს თხზულება, ნეტავი ვინაა, რას დახარბებიან ჩვენი ლიტერატორები, რომ დაუბეჭდავთ უურნალში ამის ნათარგმნი? თუ რუსეთის მდგობარეობის გაცნობა ჰსურდა «ივერიას», განა ზუშკინის მეტს ველარჯის მიაგნო! მაგრამ «ივერიას» შემოღობი ინუგუმოს მით, რომ ეს თარგმანი მეტად ბევრს წაუ-

კითხავს. ეს ბეგრნი გახლავს: განსვენებული თვით მთარ-  
გმნელი, კორნეკტორი და მე, ტანჯული ბიბლიოგრაფი.

«სხვა-და-სხვა გვარი ქორწილი». (ე. გაბაშვილისა).

ეს ორიოდ სუკათი ჩვენის ცხოვრებიდგან თავისის  
მართალი და სელაგუნური აღწერილობით სწორედ აშვე-  
ნებს მთელს ამ ყურნალის ნომერს. თან ეკ. გაბაშვილს ენაც  
ჩინებული ჭკობებიან. შინაარსით კი ცოტა დაწინაა. ეს სუ-  
რათები თითქმის ერთი ხელის გაკვრით არიან დასატულნი  
და მსატკარი არ გარჯილა ცალ-ცალკე ნაწილების გამშენიე-  
რებისათვის. ამისთანა ენის მცოდნე მწერალს ცოტა უმეტე-  
სი კი მოეოსრეება; თან, ღვთის მადლით, დაკვირვების ნი-  
ჭიც არ ჭკობებიან და ძლიერ კარგსა იქმს, რომ შემდეგში ჩვენ  
ცხოვრებიდგან უფრო ერთიანს მოთხრობას ანუ რომანს და-  
გვიწერდეს ეკ. გაბაშვილისა.

„ეკეტილდის მღვდელი“ (რომანი ოლივერ გოდდსმიტისა).

ძლიერ ძვირია იმისთანა მოხუცებული, რომელსაც ერ-  
ჩიოს ახალი ძველს, აწმყო წასრულს. რაც უნდა თავ-ცემით  
და ვაგლახით გაეტარებინოს თავისი სიყმაწვილე და რაც უნ-  
და ნეტარებაში სცხოვრებდეს დღეს, ახლის გინებას და ძვე-  
ლის ქებას მინც არ მოიშლის. რა არის ამის მიზეზი, ეკ  
ჭიზიოლოგებსა ჭკითხეთ, მაგის ახსნა ჩემი საქმე არ არის.  
მიმართულებით და სულებით მოხუცებულსაც, სწორეთ ესკე  
ხსნათი სჭიჭს. აიღეთ მაგალითად „ივერია“. გინ არ იცის,  
რომ ამ ყურნალის მწერლები თითქმის ყველა ახალ-გაზდები  
არიან. მაგრამ ეს ახალ-გაზდობა სცხოვრებს ძველი ცხოვრე-  
ბითა, გმირებათ მინჩნია ძველები და ძველების,

სული უდგია! თუ რაღესმე ამ უდრეზოდ მოსუტებულმა ეძი-  
 ვილ-კაცობამ ბაირალი დაიჭირა ხელში, უეჭველია, რომ ამ  
 ბაირალზე მისი მიმართულების ემბლემათ გუბო უნდა იქნეს  
 დახატული. ამ გაკვირით გამართქმულ აზრს რაღესმე მკით-  
 ხველს ნათლად დაკანახებთ, და ჯერ-ჯერობით მოლოდ ეს  
 მაგალითი ვიკმაროთ. მთელს მეცხრამეტე საუკუნის ლიტერა-  
 ტურაში „ივერიას“ არ მოსწონებია არც დიკენსის, არც ტე-  
 გერი, არც დუროუ ელიოტის, არც ვალტერ-სკოტის, არც გი-  
 უგოსა და უორუ-ზანდის რომანები, რომ მათი წყალობით  
 ქართული მკითხველებისათვის გაეცნო ევროპული ცხოვრება  
 და გონება. მეთვრამეტე საუკუნის სამარეში დაუწყია ჩხრეკა  
 და მიუგნია გოლდსმიტისათვის. ალბათ ძლიერ მოსწონებია  
 ამ მიწვალეული მწერლის თავის კვინისი, რომ მეცხრამეტე საუ-  
 კუნის დამლეკს მის რომანს გვითარგმნის! რადგან ეს თარგმანი  
 ჯერ არ გათავებულა (ნეტავი არც დაწყებულყო!), ამისთვის  
 მისი განჩეკა რიგი არ იქმნებოდა ჩვენის მხრით; გავისხენოთ  
 მოლოდ, რასაც სწერდა განსვენებული ბელინსკი ამ რომა-  
 ნის რუსულ ენაზე გადმოთარგმნის შესახებ: „მარტო მთარ-  
 გმნელს ეცოდინება, რა საჭიროა ჩვენი დროისთვის გოლდს-  
 მიტის რომანის ახალი თარგმანი (ვეტილდის მღვდელი).  
 ეს რომანი სრულებით არ შეშვენის ახლანდელ ლტოლვილებს,  
 და ჩვენი საუკუნის ნამდვილ მიმართულებას... ახლა საჭიროა  
 ფხიზელი, მხნე და მოქმედი ადამიანი, რომელიც ყოველსავე  
 ნათლად უნდა ხედავდეს და უგვარდეს ჩვენი და ჩვენთა შო-  
 რეულთ შთანძოკავლთა სადგური დედა-მიწა. ახლა ჩვენ და-  
 წმუნებულნი ვართ, რომ შინ-მოთხეობა და შირუთვნელად  
 შეცდომილების მოყვარება ერთი და იგივეა; დაწმუნებულნი  
 ვართ, რომ განგებ ჭეშმარიტების წინააღმდეგობა და უნებუ-

რად მისი სდევნა ერთი და იგივე ბოროტებას. ეგვიპტის, ვინ იცის, რა უფრო აზნებს საზოგადოებას: ბოროტი ადამიანის მტკრება, თუ უდიდებობა, სიყრუე, ხელის გაუძმრება და თვალის ასეულობა ბუნებით კეთილის კაცისა, რომლისაგანაც არც ბანი გამოვა, და არც ნიხაბი. ვიძეოვრებ, რა საჭირო იყო მეთვრამეტე საუკუნეში გამოსული თხზულების ახალი თარგმანი? ეგვიპტის მთარგმნელსა ჭსურდეს გოლდსმიტის იდეალი ახლანდელ კაცობრიობას მისცეს მინუშად, წასაბაძვად. ღმერთმა დაგვიფაროს ამისთანა იდეალისაგან, და თუ თვითონ მთარგმნელს ეს იდეალი თავის ცნობრების განზრუნად დაუღვია, „ღმერთმა შეუხდოს შეცოდებანი მისნი, რამეთუ არა უწყის, რასა იქმს!“

ღმერთმა „იერიის“ რედაქციასაც შეუხდოს შეცოდებანი მისნი, თუ კი რომ აძენი შეცოდების შენდობა შესაძლოა!

აკაკის „ახალი წლის“ გამო.

ჭინჭველს რომ ფრთები გამოესხება, ღმერთიც მასინ გაუწყრება—ანდაზა. თვითისის წურომის ღრისხვისაგან ღმერთმა დაიფაროს აკაკი, მაგრამ მასუკან, რაც ის ფრთისანი ჭინჭველივით დედა-მიწას მოშორდა და ჭაკრში დაიწყო ფრენა, მისი ჩანგიც უწინდელ ხმას აღარა ჭსტმს. როცა ამ პოეტს დედა-მიწაზე ედგა ფეხი, მისი ჩანგი ხალხის კვებსა და ტანჯულის მოთქმა იყო, მასინ მისი გესლიანი ენა მომძლავრეთ და მჩაგვრელთ გულში ეკლათ ესობოდათ; მაგრამ ახლანდელ დღეს ეს ხმა ხან უშმაკების შარათ და ხან ალილუიათ მოისმის. ეს უწინდელი ჩვენი შავ-ბედის ჭირის-უფალო დღეს ან რადასაც, პლეშკევივით, თავისთვის წუწუნებს, ან და ხეზავ

ბუღბუღივით ვარდსა და იასა დამღერის. „ახალ წელში“ პოეტი ამბობს: ნუ მიღვრავთ ახალ წელსა, ბევრს ნადგვესა ვსვამ და მოძავალშიდაც უნდა ვსვათ. ეს ხმა რომ ძაღლს ჰკერიდგან არ ისმოდეს, ჩვენ დაგვეკითხებოდით — ვინ არის ეს საბრალლო ნადგელის მსმელი და სიცოცხლე გამწარებელი? იქნება ეს მწარედ მკვნესავი — საბრალლო ციტოვიჩია, რომელსაც თურმე ჯერ რაღაც შინაური დრამის გულს უთუთქავდა, შემდეგ გახეთები უწყალოდ ტყავს ამრობდნენ და დღეს, ყველასაგან მოძულებელი, სულაც მოძორების თავის მამულს! ან იქნება ეს მომთქმელი ის ვაჟ-ბატონი ბძანდებოდეს, რომელსაც, მსუკრლობის ნიჭით შეძგულს, მაგრამ თავისის უფროსისაგან დაჩაგრულს, მუდამ რაღაც უაწაწა ადგილი ეჭირა, ნეტარებით მოელოდა თვისის მხაგვრელის გამოცვლას; მაგრამ მისი სურვილის აღსრულებისათვისავე მესამე განუყოფილებაც მოისპო და გენიოსი მსუკრავი დაკვირჩა, როგორც თევზი რიყუსე.

მასინჯის, ბორცოს და სულელი დედა-კაცის ქმარი რაღა? განა ეს ტანჯული ვი ნიადგ ნადგვეს არა სვამს? იმან ხომ სიმდიდრისთვის შეირთო ეს სულით და ხორციით მასინჯი, და ამ გუდაისნ მზითვის მაგივრად თან ტან-მთელსაბაც ისეთი მოჭყელაია, რომ, მგონი, თვით როკაშიც გადაინცვალეს!

ამათაც ძალიან თამამად შეუძლიანთ სთქვან: „ჩვენი ტანჯვის მომთქმელად პოეტი გამოგვიჩინდა!“ გული არც ჩვენ გაბეჭვავებია; ჩვენც დიდად გვებრალება ყველა ტანჯული, მაგრამ თანაგრძობება ვი ყველა ტანჯულისა არც შეკვიძლიან და არც ვკსურს. ჩვენ მოგვკვრის მწარე ცრემლს მხოლოდ ის ტანჯული, რომლის კეთილ დტოლვილებას სულ-თვსში ბორკილი

უფროა, რომლის ღვთიური განებისთვისაც ღოდო დაუდევს  
 და რომლისთვისაც ხელიდან გამორუკლეჯიათ ხარციელი სა-  
 ტანის დამთრგუნველი ქრისტეს ჯვარი! გამოსთქვით, პოეტო,  
 ნათლად, ვის ეკუთვნის ახლა თქვენი გული: თქვენსაკე  
 წადოვან სურვილებს, კერძო ვისმეს, თუ ხალხს? დაწმუნდით,  
 რომ ხალხის ვაებით მკვნიესაც გუფს ყოველივე უბრალო ტან-  
 ჯული ბანს ეტყვის, თავ ჭირისუფალს მოტირლად დაუჭდე-  
 ბა, ან მხაკვრელებს თავის ადუღებულ სისხლს შეასსამს, მესს  
 დასტემს და სიკვდილს ანატრებს! მაგრამ ვისიც ხანგი ჩეგნი  
 ქვეყნის ცოცხლად მმარსკებს მოზარედ ეფოლებათ, ის ნუ-  
 რასოდეს ნუ მოელის ნამდვილ მამულის მოყვარეთ, გონიე-  
 ვრთ, მხნეთ და თავ-განწირულთა თანაგრძნობას!

„შარშანდელი ზუსეთი“ (გ. თ—მ.)

ვიდაცა ხუმრასს უთქვამს: რაც ხმელედზე ვაჯია, ყველა  
 ექიმიან: თუ ავათყოფი გნახეს ყველა სხვა-და-სხვა წამალს  
 გიჩნესო.

რუსეთზე ნამდვილ აღსრულდა ეს აზრი: როცა ეს ქვე-  
 ყანა შინაგანი არეულობით, შიფოთით და ამბოხებით სულ-  
 შეწუხებულად გახდა, დიდი და მატარა, ყოველი არა-მოითხე  
 მის მჩხეველი და მკურნალი შეიქმნა, გარდა იმ შირთა, რომ-  
 ელთაც სახელმწიფოს განკურნება მინდობილი ქქონდათ  
 და წამლის ნაცვლად საწამლავს ასმევედნენ. თუ კი ხმის ამო-  
 დება შეეძლო ან შეამდებინებდნენ, არავინ არ იშლიდა ამ  
 საგანზე თავის აზრის ან უზრლობის გამოთქმას. ბოლოს,  
 „იკვრამაც“ ხმა ამოიღო, მაგრამ ისე მოუვიდა, როგორც  
 რუსები იტყვიან: гора родила мышь.

თუმცა ეს პატივცემული ჟურნალი ნაკათმეოფარნი რუსეთისათვის რეცეპტს აღარ იძლევა, მაგრამ მოუნდომებისათვის მკითხველებისათვის შეეცდებიან, ასე საშინლად რამ დასანუელა ეს უშველებელი სასელმწიფო და რამ მოასდინა იქ ის შეფოთი და ამბოხი, რამელმანც დიდი და პატარა შესძინა და შეაძწუნა. „ივერიის“ აზრით, ამ ამბოხების მშობელი და აღმზრდელი დედა განლაგსთ მინისტრის ტოლსტოის სისტემა, — რომ ეს საშინელი ცხოველი (ამბოხება) დედის მუცელში გაისახა, იშვა და აღიზარდა გრ. ტოლსტოის მინისტრობაში, — რომ იმას არც ეკრძაული განათლების მუშე უწოვია და არც 1860 წლის ლიტერატურა გაძღვითა ჭეულებია, ხალხის სიღატაკეს და საშინელ შევიწროებას არც კი წაჭკარებია.

ამ ჟურნალის აზრით, ტოლსტოის სისტემით შეწესებულებმა სხვა-და-სხვა სასწავლებლის შავირდებმა ლათინურ და ბერძნულ ენებს საზერობილე და ციმბირი არჩიეს: ამისთვის სასწავლებლის თავ-დანებულები და გამორიცხული შეერივნენ ხალხს, რომ იგი „მართებლობასთან გადაგვიდებინათ“ — ერთი სიტყვით, პოლიტიკური წყობილების შეცვლა დააპირეს და (დიდება შენს სასწაულს ღმერთო!) ძლიერ მტრად გაუხდნენ მართებლობას. მტრის დამორჩილებაში სასოგადობა არ დაეხმარა მართებლობასო (განაგრძობს „ივერიის“), იმიტომ, რომ ეშინოდა (სახუქრებისა?) იმ პირებისა, რომელნიც იმას ცუდის თვალთ უტყვროდნენო.

ეს დაჩაგრული და მშვიერი ახალ-გაზდობა, რომელშიდაც, „ივერიის“ აზრით, ერთი სწავლული და მამლარიც არ არია, ფიქრობდა: „ამაზე უარესს ხომ ვერას მიზამენ, ისევე



სჯობია უფრო გადაკემტურ მართებლობას და მტარვლების დასრუტით (!) ხალხს შეუმსუბუქო შავ-ბედიო...“

„უნდაძმის უფროსი მეზენცოვი და ხარკვის გუბერნატორი კრავოტკინი მოჭკლეს, სელმწიფის მოკვდა სამჯერ განიზრახეს, მეზენცოვის მოადგილეს ორჯერ ესროლეს (რას!), უნდაძმის პოლეოვნიკი გეიკინგი დახესეს, პეტერბურღის გრადონახლნიკს ტრეპოვს დამბახა დასალებს“ და, როგორ გგონიათ, ვინ ჩაიდინა ყველა ესეები? სულ სასწავლებლებიღვან გამოსუღმა და გამორიცხსუღმა შავიბედიბა, სულ უწვერ-უღვაშო ბავშვებმა! —

— ხომ ასე, უფალხო „იკერიის“ თანამშრომლებო? ჭეშმარიტად, რომ ბავშები თქვენა ხართ და თქვენი პუბლიცისტობაც ბავშობაა!

დ. ა. აბუშელიშვილი.

P. S. „სხვებებს დაჯანახს,“ რომელიც ამ წლის № 1-ში ვათავდა, განვიხილავთ შემდეგ ნომრებში.



მიეტა გლეხს რამდენიმე. საჭირო იქნება რომელიმე სახელმწიფოსთან ბრძოლა, მართებლობას შეუძლიან ჩვენში თუ გინდ ქედზე კაცი გააღაშქროს. მსაჯულებს მართებლობა გვინიშნავს. განათლების საქმეც ხომ მის სელშია. საჭიროდ დაინახავს, და ჩვენს სასწავლებლებელში ძველ ენებს ექნებათ უზიარტესობა; თუ არა და სხვა რომელიმე საგნებს. არც ერთი სასწავლებლის გახსნა მართებლობის უთხოვნელად არ შეიძლება და სხვ. და სხვ. ამ მიზეზის გამო ჩვენებური შინაგანი ცხოვრების მიმოხილვა თითქმის მარტო მართებლობისაგან ცვლილების მოხდენის მიმოხილვა არის, ჩვენდა სამწუხაროდ, განსაკუთრებით, ამ უკანასკნელ წლებში, ჩვენს მართებლობას იმდენი უფრო მახლობელი გარეგანი და შინაგანი საქმეები აღმოუჩინებენ, რომ ჩვენთვის აღარ ეცალა და არც არა შესანიშნავი ცვლილება მოუხდენია ჩვენში. თუმცა ჩვენი განათლებული საზოგადოება გულთაღი მსურველია, რომ განსაკუთრებითი განხრები მოსპობილიყვნენ ჩვენში, ამოჩხეული მსაჯულები გველელდა და ერთბაშად მოგვეცოდა, როგორც ესლა რუსეთშია, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამ სურვილის აღსრულებასაც არ ვლიწსებოვართ.

ამასთანავე დღემდის არ მოსპობილა ჩვენს სასამართლოებში მსაჯულების უცხო ენაზე წარმოება, რომელიც მთლად ამხინჯებს ამ წიგნილებათა დანიშნულებას — მტყუანის გამტყუებას და მართლის გამართლებას. 2 თებერვალს პეტერბურგში ყოფილა იურიდიული საზოგადოების წლიური კრება, რომელსედაც გამოჩენილ ადვოკატს ვ. დ. სპასოვიჩს გონივრულად ულაზარავნია ამ საგანზე. რა მიზეზია, რომ მსაჯულებს მთელს სახელმწიფოში მარტო რუსულ ენაზე სწარმოებისა და სხვა-და-სხვა საღსებს თავიანთ სამშობლო ენაზე

აწა აქვთ მსაჯულებამ?—ჭკითხავს სწასლოვიჩი, —ყინიანობის საქმე უნდა იყოს, თუ რამე სხვა მიზეზისა? მეტე თვითონვე მიუგებს: რასაკვირველია, ძნელი წარმოსადგენია, რომ ყინიანობის საქმე იყოს; უეჭველია გარუსება ჭსურთ იმ ხალხებისა რომელთაც ჰათ სამშობლო ენაზე მსაჯულების წარმოების ნებას არ აძლევენ.

რომ განვიხილოთ, რა უფრო ძვირფასია და რა უნდა ჭქონდეს მსაჯულებას სასუში—გარუსება თუ სიმართლის, ჭეშმარიტების აღმოჩენა— უეჭველია, რომ ჭეშმარიტება უნდა ვიწიოთ, და ამისათვის მიუცილებელი საჭიროა, უოკელ ხალხს თავის სამშობლო ენაზე ჭქონდეს მსაჯულების წარმოება. სადაც მსაჯულს მოჩივრისა და მოჩივარს მსაჯულისა აწა ესმის—რა, მეტად ძნელია ჭეშმარიტების აღდგინება. თარჯიმნებიც, რასაკვირველია, საქმეს ვერას ეწვიან: თვით თარჯიმნებს თარჯიმნები ეჭირებთ. სწასლოვიჩს განსაკუთრებითი ურადლება მიუჭრია, თავის ბასში, ვარშავის მარცხისათვის და შემდეგ კავკასიის აქეთ-მხრისათვის. თუმცა ხალი აწა გამოუთქვამს—რა სწასლოვიჩს, მაგრამ მისი სატუვა ძვირფასია—ის გავლენის მექონია და იქნება ღმერთმა იწინახოს, გაუგონონ ვისდამიც ჭერ არს!

მართალია, რუსეთში სამი სამინისტროს მმართველობის გამოცვლას ცოტად თუ ბევრად ჩვენს შინაგან ცხოვრებაზე დაც გავლენა ექნება, მაგრამ ჭერ-ჭერობით ვი მარტო მოლოდინითა და იმედით ვსცხოვრებთ. ნეტარებით მოკვლით იმ დროს, როდესაც ჩვენს დახმულ არს კარი გაულება, თარდა ახედება და სპეტაკად გამობრწყინდება, რომ მოჭვიწიონ ჩვენს საბრლო ქვეყნას ჭეშმარიტების სინათლე და

სითბო! ეს სასატრელო დღე ბეჭდვის ცენტრისაგან განთავისუფლების დღე იქნება.

ამითანა სასატრელო დღეს შეადგენს აგრეთვე ის დღე, როდესაც ჩვენს სასწავლებლებს ლათინურისა და ბერძნული ენების მაგიერ ბუნებით, მატემატიკურს სავნებს, სამშობლო და სხვა ენებს ექნებათ ადგილი, და როდესაც მოხვებირე თუ თიუშების მაგიერ ჩვენი სასწავლებლიდგან გამოვა ტანით და სულით სრულად (ნორმალურად) აღზრდალი უმაწვილ-გაცნობა, რომელსაც კვძო და საზოგადო ცხოვრება ხეირიანად ესმოდეს და შეეძლოს მისი წინ წაწევა.

სანამ საფსის განათლების მინისტრად გრ. ტალსტოლი იყო, ახალ-გაზდობის აღზრდის საქმე უკან თუ დაიწეკდა, თორემ, რა საკვირეულია, წინ იფეს ვერ წასდგა და მინდელი სასწავლებლები კანტძებს უფრო გავდნენ, გიდრე სასწავლებლებს. ლათინურსა და ბერძნულ ენებს იმოდენი დრო უნდებოდა, საბრადო მავირდებს ისე მუყათათ ახევიბებიებდენ საშინლად ძნელ გასაგებ სიტყვებს და ძირაზებს, რომ ივიბრებდით, უფეკდ ღონისძიებსა სმარობენ გადაახვიონ უმაწვილები ივიბრსა და მოსახრებსა.

ამ ნაირი სისატმა თუ გონების მომეკლელი იყო რუსეთის სასწავლებლებში, ჩვენში ხომ ასწილათ უფრო ძნელი და ძავნებელი იქნებოდა. რუსული ენის უცოდინარ ჩვენებურ უმაწვილს პირველ გლასძივე ლათინურ გრამმატიკას აძლეკდნენ სელში და თუ ვერ დასძლეკდა, ერთსმად იძახდნენ—ქართველები უნიჭეები არიანო. ამასთანავე სუ დავივიწეებთ, რომ ჩვენმა სასწავლო მარის მზრუნველმა ნეკეროკმა (qui était plus royal pue le roi) მუყათობაში თვით ტალსტოლის გადაატარბა. ქართულ ენას ისე მოექცა, როგორც უწინდელი

შედაგოგები წარმაც შაგირდებს ექცეოდნენ. როგორც მოგესვენათ, უწინდელი სასწავლებლების მთავრობა უხეირო წარმაც შაგირდს სშირად დაბრუნებდა სოლმე უდაბლეს კლასში! თუცა მაგალითიც არა ყოფილა, რომ მეშვიდე კლასის შაგირდი მესუთე ან მეოთხე კლასში დაებრუნებინოსთ ოდესმე. ნევეროვმა კი მოახეწნა, რომ ქართული ენა მეშვიდე კლასიდან პირველ კლასში დაბრუნა და მისი მასწავლებელიც რაღაც ჯაგლავ მოქირავეთ განდა, რომელსაც დემდის ფაჩემის ჯამაგირზე ნაკლები ეძლევა, და რომლის გავკეთილზედან შაგირდს სრული ნება აქვს იაროს, ან არ იაროს. რასაკვირველია, ჩვენი ენის სასწავლებელში ასე დამცირება მართო ნევეროვის ბრალიც არ ყოფილა...

უწინაც ჩვენებური ეკონომიური გლესობის ეკონომიური მდგომარეობა ისეთი უბედური რამ იყო, რომ, გარდა სამღველყო წოდებისა, მეტად ძვირად იზოვიდით სასწავლებლებში გლესი კაცის შვილს. მოსამზადებელ კლასში მოუძნადებელი შაგირდების მიუღებლობით ნევეროვის დროს თავად-ანაურების შვილების რიცხვიც კი მეტად შემცირდა ჩვენს სასწავლებლებში, განსაკუთრებით თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში და რეალურ სასწავლებელში. ამ და ზოგიერთ სხვა მიზეზების გამო თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში ექვსას—შვიდას კაცში ასამდი, ან ცოტა მეტი. ქართველი თუ ერია სოლმე.

მეტად სამწუნარია, რომ ახალს სასწავლებლის მართის მსრუნველს ვერ ამ საგანზე ყურადღება არ მიუქცევია, თუცა სწავლა-განათლების საქმეში სხვებ დიდი მსრუნველობა გამოიჩინა. ახლა ამ მოკლე სტატიაში ვერ განვიხილავთ იმ კითხვას—რა ენაზე უნდა სასწავლიდენ საგნებს ჩვენებურ სახალხო შკოლებში, და როგორი ადგილი უნდა ექიროს მათ-

ში სასხელმწიფო ენას—რუსულს: ამასე მოლაშარაკება რო-  
 დისმე სხვიმის მოკვირდება. ახლა მოკლედ ვინსენებ მხოლოდ  
 იმას, რასედაც ახალმა მისრის მზრუნველმა უ. იანოვსკიმ მი-  
 აქცია უმეტესი თავისი ყურადღება. როგორც, უმეტესად, მკით-  
 ხველებსაც მოეხსენებათ უწინ ჩვენებურს სასწავლებლებში  
 მხოლოდ იმას ცდილობდენ, რომ დანიშნული გურსი გაე-  
 ვლათ, პროგრამმა შეესრულებინათ, და ბურს არას დასდევ-  
 დენ თუ მეტის ძალ-დატანებით შავირდი ფინიურათაც (ტა-  
 ნით) და გონებითაც დასწულებოდა. ვის არ უნახავს ჩე-  
 ნებური გაყვითლებული, ზეზეულთა ჩამომხმარი, კურდღელი-  
 ვით მიერთილი შავირდი! საზოგადოება ძლიერ კარგათა  
 გრძნობდა, რომ ეს უდროვით გამჭვანარი და მოხუცებულნი  
 შავირდები მომავალში ვერც თავის-თავს გამოადგებიან, ვერც  
 რჯასს და ვერც სამშობლოს და სასხელმწიფოს; გრძნობდა,  
 სწუხდა და სჩიოდა მაგრამ, არც არავის მისი გულის ტვივი-  
 ლი აწუხებდა, არც არავინ მის საჩივარს ისმენდა.

უ. იანოვსკიმ მიაქცია ამ საგანს ყურადღება. და თუმცა  
 პროგრამის შეცვლა მის ხელთ არ იყო, მაგრამ როგორც  
 ცირკულირებით, ისე სიტყვებით უჩვენებდა მასწავლებლებს მოს-  
 წავლე ბავშვი შოშიათ არ გადაექციათ, შეძლებისა გარდა შე-  
 ემსუბუქებიათ მისთვის შრომა, გაეხსნათ მისი გონება და  
 აღეზარდათ იგი საზოგადოების გონიერ და გამოსადეგ  
 წევრად.

ამას გარდა უ. იანოვსკის არ შეეძლო არ შეენიშნა ჩვენ-  
 ში ერთი მოკვინება, რომელიც სწორეთ სამაგალითო რამ  
 არის. სწავლის სურვილი ისეთი ძლიერია ჩვენში, რომ დარბ-  
 დატაკი კარის შეილება ასობით სოფლებიდან ქალაქებში მი-  
 დინ და იქ თითქმის ყოველ წიგნის მტოდნეს, ყოველ გა-

ნათლებულ კაცს მუსლსა სჭამენ, ოღონდ წერა-კითხვას გვასწავლეთ და ფარეშებით გვიმსახურეთ, არა-რას ვისამძინასებთო. რასაკვირველია, რომ სასწავლებლებში შესვლის მსურველიც, ამ მიზეზისა გამო, მეტად ბევრი არის ხოლმე. მაგრამ სასწავლებლები, როგორც თბილისში, ისე ქუთაისში, მთლად ავსილი არიან შავირდებით, მთხოვნელები კი ასობით მიადგებიან ხოლმე ყოველს აგვისტოში.

უ. იანოვსკი იხსენიებს ამ ბოლოს მოყვანილ გარემოებას და თავის მოხსენებაში, რომელიც წარუდგენია კავკასიის მთავარმართებლისათვის, ახალი საშუალო სასწავლებლების გახსნას სთხოვს მართებლობას. საცლადანი სახანჯი არიან მშობელნიც და მათი შვილებიც, როდესაც უადგილობრისა გამო საშუალო სასწავლებლებში მიღებასე უნარს ეუბნებიანო; თავის უმძყოფილებას ამისთანა მშობელნი ხშირად ამკარად აღიარებენ ხოლმეო — ამბობს უ. იანოვსკი თავის მოხსენებაში.

მესამე საგანი, რომელსედაც უ. იანოვსკიმ მიიტანა განსაკუთრებითი ყურადღება, განსაკუთრებით ჩვენს ქვეყანაში უმძლეესი სასწავლებლის გახსნა. უმძლეესი განათლების მისაღებად ჩვენი ყმაწვილ-კაცობა დღემდის რუსეთში მიდის. თავის სამშობლო ქვეყანასე და დედ-მამასე მეტად დამორებულს ამ ახალ-გაზდობას, რომელიც, უმეტეს ნაწილად ღარიბია, ხშირად ლეჟმა ჰური არ გააჩნია; მიმძილს და სიცივეს ეკლავ უძლებს, სწეულდება და ბევრი კიდევ ჰკვდება. ავთომყოფობისა და სიკვდილისაგან ხშირად სიმდიდრეც ვერ იხსნის ჩვენებურ ახალ-გაზდობას — იმდენათ განსხვავებული და მანკებული ჰქვია რუსეთში. ხი ხომ ამდრე უძლიერებულ ლეჟ-ლეჟობის ვიცი, ამდრე უძლიერობის მხედრებზე არტმის, ხშირებზე უძმის

სამუხალ სასწავლებლებში კუჩს შესრულებულთ უმეტესი ნაწილი, შეუძლებლობის გამო, რომ ჩვენსივე რჩება და რასაკვირველია, უ. იანოვსკის თხოვნა, რომ მართებლობას ჩვენში უმაღლესი სასწავლებელა გაეხსნა, მეტად შატვისანცემია. ეს ჩვენი მასწავლებლის მხრენიველი ითხოვდა უმაღლესი პოლიტიკური შკოლის გახსნას და აღმოსავლეთის ენების ფიგურალტეტის დაარსებას... მაგრამ გასაოცარი ის არის, რომ მაშინ, როდესაც ჩვენებური საზოგადოება და მასთან ყველა რუსული შატვისანი გახეთები კავკასიაში უნივერსიტეტის გახსნას ერთხმად თხოულობდენ, უ. იანოვსკი არც საზოგადოებისა და არც ლიტერატურის ხმას სრულებით ყურს არ უკვებდა და სთხოვდა მართებლობას თითქმის შეუძლებელ საქმეს—ჩვევში რჩი უმაღლესი სასწავლებლის ერთად გახსნას. ასე რომ უნებურად ჩვენ მოკვდის არი, თითქო უ. იანოვსკიმ ამისთანა სასურველი იმედებით განზრახ მიისყიდა ჩვენი გულითადი თანაგრძნობა, ბოლოს კი ჩვენებური სახსლსო შკოლების შესახები განკარგულებით ყველაფერი დაგკამწარა, და სინარულით აღუგებულს გრძნობას ცივი წყალი დასხს... მოკლე დასკვნა აქამდინ ნათქვამისა ეს არის: ამ უკანასკნელ წლებში ჩვენს გაცნობრობთ ნატვრითა და იმედითა, რომლის ცოტა რამ ნაწილი ვითომ გვისრულდება; უმეტესი ნაწილი ვიღვთის აღაღ-გვადობსკა დამოკიდებული. თუ ჩვენმა ბუდის-წერამ იზრინა, ჩვენებურ მატურიალურ და გონებით მდგომარეობას ესაღვანეთება, თუ არა და რაღა გაუწყობა, ჭირს გაძლება უნდა. ამით იმის თქმა კი არ გვინდა, რომ გულსელ დაკრეფილნი ცრას შესტკეროდეთ და მინხას მოკვლადეთ: გულსელ დაკრეფილად ყოფნა ხომ იმ სოფელსაც გვეუბრება, მანხაც ღმერთმა მარტო ებრაელებს მოუკლინა და ისიც მხო-

ღრად ერთხელ უდახნარში მოგზაურობის დროს;—ამით ჩვენ მხლად იმის თქმა გვინდა, რომ კენკსა-გოდებას და სულ-მოკლეობას თავი არ მივსცეთ და მხნეთ შეუდგეთ ჩვენი ცხოვრების გაუმჯობესებას. სადაც თვითოეული ყველანაირად ზრუნავს და ყველანი თითოეულზე, იქ თქვის წინ-წადგმად ბევრად უადვილესია, იქ ჭირიც ღვინია! ახლაც დაკვირდით, რა საცადა მიუღია ვისმეს ჩვენში ამ უკანასკნელ დროს, რომ მართებლობის უთაყვანებელი რამე სასარგებლო საქმე თქვენს დაეყენებინოს.

ზოგიერთ ჩვენებურ მწერლებს ჩვენი ხალხის გინება ერთობ უუკაცხო, ზოგნი კი იმისთანაინიც განსაჯავენ რომ მისი ქების მეტს არასა იქმენ. მაგინებულნი ამბობენ: ჩვენ ხალხს მტერი მოყვრათ მიაჩნია და მოყვარე მტრათ; წაღმა წასვლა რომ უჩინოა; უკუღმა წავალ, გულწრფელობას ვინმითნებობა უჩვენია, მართაღს სიცრუე—ერთის სიტყვით ღვთის წყალობა ღვთის რისხვით ესმისა. რასაკვირველია, ამისთანა აზრი ჩვენს ხალხზე მეტად დიდი შეცდომილებაა. რაც ისტორიას ახსოვს, ჯერ არც კი უცნობია დედა-მიწას ზურგზე იმისთანა ხალხს, რომელსაც ან მარტო კარგი თვისებები ქცეობადეს, ან მარტო ცუდი. ხალხს, რომელსაც თვითოეულ ადამიანსა უკვებია, ცუდი თვისებებიც აქვს და კარგიც. ქართველს და ლეკს, რუსს და ფრანგურს, იტალიანელს და ნეგრს—ერთი და იგივე გული აქვთ, ერთი და იგივე სული უდგიათ, ერთი და იგივე ბუნებითი მოთხოვნილებანი აქვთ, თუმცა დროთა კითხვებით რომელიმე თვისებებით ერთი მეორეზე წინ წასულია.

თუ კი სერიანია რამ რჩევა მიუღიათ ჩვენი ხალხისათვის—უოკუთვინის დიდის კმაყოფილებით მიუღია, და თუ კი



ვინმე სწორედ გზას უჩვენებს, გიჟი ხომ არ არის, მუუდგუნა ირჩიოს! ამ ორივედ წლის ჩვენი ცხოვრებიდან მაგალითებმა ნამდვილ უნდა დააჩქაროს ყოველი კაცი ამ აზრზე. რამდენიმე კაცის თაობა-ნობით და ჩვევით შესდგენ ჩვენში საზოგადოებანი: 1) ქართ-ველთ შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი. 2) თბილისის სათავად-ახნა-ურთ შეკლის შემწე, 3) თბილისის კლას-სიკური გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა შემწე, 4) სასუ-ლიერო სემინარიის ღარიბ მოსწავლეთა შემწე, 5) ქუთა-ისის ღარიბ მოსწავლეთა შემწე და 6) დრამატიკული საზო-გადოება.

უკვლახე უბეტესი გონიერება ჩვენმა საზოგადოებამ ჩვენს ქვეყანაში უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე გამიჩინა. ზოგიერთ რუსულ განუთებს, რომელთაც თავის მიზნად ხალხის უკან დაწევა დაუდევიათ და მომავლის ჩვენს უნივერსიტე-ტის დედის მუცელში გაქრობა ჭსურდათ, დაეყინათ, კავკასიის გიმნაზიებში იმოდენი უმაწვილი ვერ ასრულებს სწავლას, რომ მათი რიცხვი უნივერსიტეტისათვის საკმაო იქმნესო, ამასთანავე იქაური ხალხიც ისე მომზადებული არ არის, რომ უნივერსიტეტს საჭიროებდნესო. როგორ თბილისმა და თბი-ლისის გუბერნიის თავად-ახნა-ურთბამ, ისე განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიამ ერთ-ხმად უნივერსიტეტის გახსნის სურ-ვილის გამოცხადებით ნათლად დაანახვეს უკვლას, რომ ჩვენ-ში ამ უმაღლესი სასწავლებლის დაარსება სრულებით უდრო-ვო დაჩქარება არ იქნება. ქუთაისის თავად-ახნა-ურთბის კრება სწორედ სამაგალითოდ მოიქცა ამ შემთხვევაში. ბანკის მძარ-თველობისაგან მოხსენებული 20,000 მანეთის ნაცვლად ერთ-ხმად გადასწვეიტა ამ საქმისათვის 40,000 მან. შეწირვა.

იქ წაიკითხეთ ანდრეას თინჯავიძის მიერ დაწერილი წიგნი - მადო

### შინაური მიმოხილვა.

როგორც გაზვეთები გვატყობინებენ, რეალურ სასწავლებლებსა და სასულიერო სემინარიასში სწავლა შესრულებულთათვისაც მიუხედავად ახლა უნივერსიტეტში შესვლის ნება; მაშასადამე ჩვენებურ საშუალო სასწავლებლებს უოკეალთვის შეუძლიანთ უნივერსიტეტისთვის საკმაოდ რიცხვს შეასრულებინონ სწავლა.

მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენი მომავალი უნივერსიტეტი დედის სტომაქშივე ისე გაუფლავდეს, რომ ვაი თუ ან სულ გაჭქრეს, ან არა და შეკვდანი დაიბადოს!

შინაური მიმოხილვა. როგორც ვთქვამთ, სასწავლებლებსა და სასულიერო სემინარიასში სწავლა შესრულებულთათვისაც მიუხედავად ახლა უნივერსიტეტში შესვლის ნება; მაშასადამე ჩვენებურ საშუალო სასწავლებლებს უოკეალთვის შეუძლიანთ უნივერსიტეტისთვის საკმაოდ რიცხვს შეასრულებინონ სწავლა. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენი მომავალი უნივერსიტეტი დედის სტომაქშივე ისე გაუფლავდეს, რომ ვაი თუ ან სულ გაჭქრეს, ან არა და შეკვდანი დაიბადოს!



წყაროსთან. საფუძვლიანი მეცნიერები მეტყვიან, რომა  
 ვისაც ჩვენ ხალხთან თანა-მედროვე პოლიტიკაზე ლაპა-  
 რა კი ჰსურს, იმან უნდა ჯერ გეოგრაფიული ცნობები გა-  
 აერცელოს ხალხში, მერე ისტორიული და მხოლოდ ბო-  
 ლოს დაიწყოს ეხლანდელი სახელმწიფოების მდგომარე-  
 ობაზე წერაო, და თუ ჟურნალისთვის მოუხერხებელია  
 გეოგრაფიისა და ისტორიის გაკეთილები უკითხოს ხალ-  
 ხსა, მაშინ პოლიტიკაზე ლაპარაკი სრულებით მეტი,  
 უღროვო და უნაყოფო იქნებაო. ~~იმედით შეძინაო~~  
 ვინ ამბობს! რა თქმა უნდა, რომ დიდი ბედნიერე-  
 ბა იქნებოდა, თუ კი ჩვენი მკითხველი საზოგადოება  
 განვითარებული იქნებოდა ზემოხსენებულ საგნებში, რად-  
 ვან მაშინ უფრო ვრცლათა და ნათლად ექნებოდა წარ-  
 მოდგენილი კაცობრიობის მდგომარეობა და ჟურნალსაც  
 აღარ გაუჭირდებოდა, რომ ადვილად ეჩვენებინა ის  
 ცვლილებანი, რომელნიცა ხდებიან სხვა-და-სხვა სახელ-  
 მწიფოებში. თუ კი ეს ცოდნა ექნებოდა ჩვენს მკითხვე-  
 ლებს, მაგაზე უკეთესი რაღა იქნებოდა! მაგრამ საქმეც  
 იმაშია, რომ ჟურნალმა უნდა როგორმე მოახერხოს,  
 ბევრ ნაირი ვაი და ვაგლანი იკისროს, რომ ამისთანა გა-  
 უფებრობაშიაც ამოიღოს ხმა პოლიტიკაზე და იმოწინოს  
 ყურის-მგდებელი და გამგონე, რადგანაც პოლიტიკის  
 მსვლელობას აქვს მინიჭებული უდიდესი გავლენა ყველა  
 ხალხის ბედზედა და იღბალზედ. თუ ხალხმა იცის თავი-  
 სი გარემოება, ეყურება მისი ცუდი მხარეცა და ღირსე-  
 ბაც, მაშინ კიდევ შეუძლიან ამოიღოს ხმა თავის თავზე,  
 მოითხოვოს უკეთესი მდგომარეობა, უგდოს ყური თა-  
 ვის მმართველებს, გაამწინოს ისინი თავის თანაგრძნო-

ბით, როდესაც მათ ხელში საქმე კარგათა და სამართ-  
ლიანათ მიდის, და ჩამართვას ხელიდგან საქმე, როდესაც  
მათ არ შეუძლიანთ სამართლიანი მმართველობა, —  
ამ წმინდა დანიშნულებას ისინი ჰმურტლავენ სისაძაგ-  
ლით, უშვერობით, უსინდისობით და უსამართლობით.  
თუ ხალხს არა გაეგება-რა თავისი ბედისა და უბედურები-  
სა, თუ ყოველი ზიანი, რომელიც მას მიანიჭა მებო-  
ბელმა ან მოხელემ, ან თავის მთაერობამ, ან უცხო  
მთაერობისა და ხალხის ღალატმა, ჰო, თუ ყოველი ზიან-  
ნი იმან მიაწერა ღმერთსა და იმის განგებას; მაშინ ამის-  
თანა გაუნათლებელ ხალხს ყველა ღაზათიანად ჩაუთა-  
ვაზებს თავში, ხმას არ ამოაღებინებს და ისეთ დღეში  
ჩააგდებს, რომ ამ დღეს მოჰყვეს სამუდამო სიკვდილი და  
გაქლექა ხალხისა, ან კიდე ისეთი მდგომარეობა, რომ  
მელსაც აღარც სიკვდილი ჰქეიან და აღარც სიცოცხლე;  
მაშინ გინდა კიდევ რომ უნდოდეს თავის დაცვა და  
ხმის ამოღება, მისცვიედებიან და პირზე ხელს დააფარე-  
ბენ, — თუ ამას დააჯერეს, კიდევ მაღლობელი უნდა დარ-  
ჩეს, სხვა დროს არ გაკმარებენ მართო პირზე ხელის და-  
ფარებას და ამით შენი კაცობრიული ღირსების დამცი-  
რებას, — უფრო ხშირათ მოგაყოლებენ კიანში ქიშტსა  
და დაგიწყებენ ტყაბა-ტყუპსა; მაშინ მოხელეს წინ ვე-  
რაინ გადაუდგება, და იმასაც აღარცა ვისი სცხვენთან,  
აღარცა ვისი ეშინიან. ან რისა უნდა ეშინოდეს, როდესაც  
ხალხთან იმის უსინდისობას და უსამართლოებას  
თითონ ხალხივე ღვთის ნებითა ჰხსნის. ღმერთსა  
ჰკმობს და კაცს ამართლებს თავის უცოდინარობით? რისი  
უნდა შერცხვეს მოხელეს, როდესაც იმისი უფროსები

უარესა შერებთან და უმცროსები კიდევ შეჭნატრიან მისს მდგომარეობას და საქციელის თავისუფლებას ყველაფერში? და ასრეთ, როდესაც ხალხი გაუნათლებელია პოლიტიკურათ, როდესაც ის ყოველ უსამართლოებაზე საცოდავთ დაიკრეფს გულზე ხელს, სასოებით შეჭხედამს მალა ღმერთსა და მწარეთ ამოისერის განუზრახველ გმობას ლეთის ნებააოა; როდესაც მოხელეს უსამართლოებისა და უსინიღისობისა არც ეშინიან და არცა სცხვენნიან, და ამიტომ უსამართლობა ბლარტობს და ჰბადებს ათას სხვა უსამართლოებას, უსინიღისობას მოსდევს ათათასი სხვა უსინიღისობა, მოხელეების და უფროსების ბოროტ-მოქმედება დღითი დღე იზრდება და მატულობს, ხალხის მდგომარეობა უკან-უკან იწევს,—მაშინ რა დროს გეოგრაფია და ისტორიაა, თუ ღმერთი გწამსთ?!

საფუძვლიანმა მეცნიერებმა ბევრი კარგი რამ იციან, მაგალითად: საფუძვლიანი ჭამა და სმა, საფუძვლიანი ძილი, საფუძვლიანი ლაპარაკი ისეთ საგანზე, რომელსაც არ მოეპოება არაერთარი საფუძველი და ჰაზრი,—საფუძვლიანი ყბედობა არა რაიმეზე და სხვა ათას ნაირი სისულელეზე, საფუძვლიანი დარიგება ყოველ კეთით განზრახვაში; მასთან ეს დარიგება იქით არის მიდრეკილი, რომ დარიგებულმა უთუოდ თავი უნდა დაანებოს ამ კეთილ-განზრახვას და დარბაისლურათ დაიკრიფოს გულზე ხელი და სხვანი. რალა ჩამოეთვალო. საფუძვლიანმა მეცნიერმა ბევრი კარგი რამ იცის ყველაფერში; მაგრამ რაც შეეხება ხალხის ბედ-ილბალს, მის კარგსა და ავსა, მის საჭიროებასა და მოთხოვნისებებს,—იქ საფუძვლიანი მეცნიერი მამალი ინდაურივით გაჰფარჩხამს ხოლმე ფრთებს

გაიშვერს ნისკარტს, გასჭიმავს ბიბილოს, დააჭყეტამს თვალებს, დაიწყებს უაზრო, მაგრამ რიხიან „ყურ-ყურს“ და მოჰყვება დავლურსა. კაცი რომელიც ასეთს ძვირფასს საქმეში შეიმკობა ინდაურის ღირსებებებით, ამ საქმეს შეჰხედავს დაჭყეტილი ინდაურის თვალით, ასეთი კაცი ღვე, დარჩეს ისევ საფუძვლიან მეცნიერათ, მაგრამ ჩვენ კი იმასთან არავითარი კავშირი არა გვაქვს. ჩვენი ღვდელი ისრე ვერა სწირამს. ჩვენ რომ იმას შეგეყუროთ, აცა ჯერ საფუძვლიანად ისწავლოს ხალხმა გეოგრაფია და ისტორია, და მერე გაგაგებინებთ პოლიტიკურ ამბებსაო. ეს ეგვანება იმ ანდაზას, რომელიც მეტად უღარბაისლო სიტყვებითა ჰხატამს ძალიან პატივცემულ აზრსა — „აცა გირო, ნუ მოჰკვდები — გაზაფხულზე იონჯა (კონინდარი) მოვაო,“ ან დარბაისლურ ანდაზას — „სანამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძრესო“.

ამისთანა ანდაზებისგან და ჩვენი საცოდავი მდგომარეობისაგან დაშინებულნი, ჩვენ მტკიცეთ განვიზრახეთ ბაასე ქართველ მკითხველებთან პოლიტიკურ მოვლენაებზე.

მხოლოდ ამ ხანათ, ვიდრე ამ მოვლენაებზე გადვიდოდეთ, წინათ ერთი-ორი სიტყვა მომისმინეთ გეოგრაფიაზე და ისტორიაზე, რომ საფუძვლიანი მეცნიერების სრულებით არ შემოვიმწყრალოთ. იმათი გაწყრომა ციფვ იმისთვის არ გვინდა, რომ ის ჩვენთვის ღვთის რისხვაზე უარესი იქნება, რადგან იმათ ყველანი ჩვენის თვალით არ უყურებენ, რადგან მათ საფუძვლიან რახი-რუხს დიდი გავლენა აქვს დარბაისელ საზოგადოებაზე და ძალიანაც ეცდებიან ჩვენი ძირის გამოთხრას, და ეს არ

იქნება სასარგებლო არც ჩვენთვის და არც ჩვენი მკითხველებისათვის.

დავიწყოთ გეოგრაფიიდან. გახსოვდესთ ამიერიდამ და უკუნისამდე, რომ გეოგრაფია ჰქვიან იმ მეცნიერებას, რომელიც გვასწავლის დედა-მიწის ზურგსა, გვატყობინებს, რომ ეს ზურგი შესდგება ხმელეთისაგან და ზღვებისაგან, ზღვაში ცხოვრობენ თევზეულნი და ხმელეთზე, რომელიც შემდგარია მთისა და ბარისაგან, სცხოვრობენ სულიერნი და უსულონი, ე. ი. მცენარენი და ცხოველნი სხვა-და-სხვა გვარნი: ცხოველთა შორის მომეტებული ყურადღება მიექცევა იმ ორ-ფეხა მხეცს, რომელსაც უწოდებენ „კაცსა“; ზოგი კაცი სრულებით ველურია დი მარტოკა სცხოვრებს ტყეში, დევნებით ალება შიშისაგან და შიმშილისაგან თავ-ზარ-დაცემული, იმას არა ჰყავს ამხანაგი, მეგობარი, ცოლი და არაფითარი კავშირი არა აქვს სხვა კაცთან; მომეტებულ ნაწილათ კი ეხედამთ, რომ რამთენიმე კაცი შერთებულან ერთათა და ახლო-მახლო სცხოვრობენ. გაუკეთებიათ საზოგადოება, დაუარსებიათ ურთი-ერთ შორის სამოქალაქო კანონები, შეუთვისებიათ და ემორჩილებიან სხვა-და-სხვა ნაირ ზნეებსა და ჩვეულებებს, აუშენებიათ ქალაქები, გაუმრავლებიათ ათასნაირი ხელობები და სცხოვრობენ ერთმანეთის შემველებით—ზოგი მიწასა ჰხნამს, ზოგი წალებსა ჰკერამს, ზოგი ტან-საცმელსა, ზოგი ჰქსოვს, ზოგი აბრეშუმს აკეთებს, ზოგი ცხვარსა და ძროხას უვლის, ზოგი სახლებს აშენებს, ზოგი მალაყსა შერება, ყირამალა დგება, ე. ი. მომეტებული ნაწილი კაცობრიობისა მუშაობს, მცირედი რიცხვი კი მხო-

ლოდ სკამს, შეუდგენიათ სახელმწიფოები, ვინ იცის, ზოგს ეშმაკი და ქაჯი ჰქვია... ამაზე დაეარსათ წერტილი და ამით გავათათ გეოგრაფია.

მხოლოდ, რაც შეეხება ისტორიას, ამ პატივ-ცემულ ქალ-ბატონზე ვიკმართ ის ცოდნა, რომელიც გვეუბნება, რომ კაცობრიობა გუშინა და დღეს კი არ დაბადებულა დედის მუცლიდგან, არამედ ამასა წინათაც ყოფილა ხალხი და მას აქეთ კარგა დიდხანსაც გაუელთა, თუმცა ნამდვილად არაფერ იცის, როდის დაიწყო კაცის ცხოვრება დედა-მიწაზე, მაგალითად: ძველი აღთქმა ამბობს, ვითომც აღამსა და ევას შემდეგ შეიღი ათასი წელია; მეცნიერები კი ამტკიცებენ, რომ ვითომც ასი ამდენი ხანიც რომ ჩავადგოთ, კიდევ ცოტა გამოვა ჩოტკში მას აქეთ, რაც ქვეყანაზე პირველი კაცი და დედა-კაცი დაიბადო. მკითხველის არჩევანზე მიმიგდია, რომელსაც უფრო ერწმუნება—ძველი აღთქმის ჭეშმარიტებას თუ მეცნიერების აზრს; მხოლოდ ჩვენთვის ის არის საინტერესო, რომ ჩვენზე წინათაც უცხოვრიათ ხალხსა, ყოფილან ჩვენი პაპის-პაპები და დიდი-დედები, უცხოვრიათ თავიანთ-თვინა, მერე ერთი ერთამანეთზე მიყოლებით აუღიათ თავები და სულ გაწყვეტილან, ასე რომ ეხლა იმათგანი ერთი აღარსად აღარა სჩანს ცოცხალი. იმათ მაგივრათ დავრჩენილვართ ჩვენა და გვიკვირს—ეჭვიმე! დიდება შენთვის ღმერთო, აწ რა იქნა იმოტელა ხალხი! სად გაჰქრა, რო არსადლა ჩანს!.. ახლა მამა-ჩემს ხო დედ-მამა ჰყვანდა, პაპა-ჩემსაც ხო ეყოლებოდა დედ-მამა, ახლა იმათი მამაც ხო ცილამ არ ჩამოვარდებოდა...“ და სხვანი. ჩვენი თავისა არა გაგვეგება-რა, მაგრამ ცნობის მოყვარეობ, გვაცნო-

ბებს წარსულში, რომელიც თითონ აღარად არის, მაგრამ თავისი დროების ანდერძათ კი დაუტოვებია ათასი რამ სახსოვარი. აი, ამ სახსოვრებსა ჰკრეფავს ისტორია და იძახის: მევან დროს ეს იყო და და შევსნს აი ესაო; ამა-და-ამ საქმეს მოჰყოლია ესა და ესაო, ამ ჭეშმარიტებას დაუბადამს აი ესაო. ესე მიჰყვება და გადის ბოლომდის.

და ასრეთ, ნუ დავიფიწყებთ, რომ გეოგრაფია გვასწავლის მიწის ზურგის ამბავსა და ისტორია გველაპარაკება კაცობრიობის წარსულზე.

„მცირესა ზედა სარწმუნო იყავით, და მრავალსა ზედა დაგამკვიდროთ თქვენ უფალმაო,“ ამბობს საღმრთო წერილი. გეოგრაფიისა და ისტორიის ცოდნა ძლიერ ძვირფასი რამ არის. მართლათა, რა ეშველებოდა იმ კაცს, რომელიც ნეტარ-ხსენებული ბოღბელივით არ უყურებს ცხოვრებას, არ იძახის—, ჩემს შემდეგ ქვა-ქვაზედაც ნულარა ყოფილაო;“ იმ კაცს, ვისაც ხალხისთვის შესტკივა გული, ვინც იტანჯება ხალხის უზომო უბედურებით, განუსაზღვრელი ზნეობითი და გონებითი ტკივილით,—რა ეშველებოდა ამისთანა კაცს, თუ იმას არა ჰქონდეს ამოუფხვრელი იმედი გულში, რომ ოდესმე ქვეყანა თავისუფლად ამოისუნთქებს, როდისმე შეესწრობა ხალხი იმ მდგომარეობას, სადაც შემსუბუქებული იქნება ტანჯვა, შემცირდება სირევგნე და უმეცრება, შემოკლდება უსამართლობა, ჩაგვრა და დაბრიყვება, ცარცვა, გლეჯა, სისხლის-ღვრა და ათასი უბედურება! ჩვენში კაცს რთგორ ჩაუვარდება გულში ასეთი იმედი, თუ კი ის მართო თავის ცხვირზე დაიყურება, არა ჰხედამს გარეშე მისა,

რაც იმას ახვევია, ე. ი. თუ იმან იცის მხოლოდ თავისი ქვეყნის მიწასთან განადგურება და იმის მეტი აღარა გავგება-რა არც იმისი, თუ რა ხდება იმის ქვეყნის გარეთ, არც იმისი, თუ როგორი ყოფილა კაცობრიობის წარსული?

აი, ამისთანა სამსახურს გვიწევენ გეოგრაფია და ისტორია. გეოგრაფია გვეუბნება, რომ აი, ამა-და-ამ ქვეყანაში ხალხის მეცადინეობამ დასძლია მომეტებული ნაწილი ბოროტ-მოქმედებისა, გაახილა თვალები, მოისევა თავზე ხელი და მკიცეთ ელტვის, რომ მოიცილოს ზურგიდგან შემაწუხებელი კოლა—ბუხები და ჩაიგდოს საკუთარ ხელში თავისი გამგეობა. აქედგან ჩვენ გამოგყავს ის საიმედო დასკვნა, რომ მაშასადამე, თუ ჩვენც არ დავიზარებთ, თუ ჩვენც მივცემთ ერთმანეთს ხელსა, გამოვალთ მხოლოდ პირადის სარგებლობის ძიებიდგან და შევეჩვევით საზოგადო აზრსა, წვევსარჩლებით ერთმანეთს და ერთად გავწევთ საყოველთაო უღელს, ვეცდებით ჩვენი ღირსების ამაღლებას და იმის დაცვას, გინდა ამისთვის თავზე კაკალი გვამტრიონ; მაშინ ჩვენც ვიცხოვრებთ ადამიანურათ და არ დავრჩებით სამუდამოთ მიწასთან გასწორებულნი, როგორც ჩვენი კეთილი თვალითა ვხედავთ ჩვენ ყოფას ეხლა.

ისტორიის საზარელ მოთხრობაებს რომ ყური დაუგდოს კაცმა, დაინახავს, რომ ჩვენი წინა-პრები უფრო ცუდ დღეში ყოფილან, ვიდრე ჩვენა ვართ დღესა. ეს ხომ წარმოუდგენელი აზრია—აბა ამაზე ძნელი ცხოვრება განა კიდევ შეიძლებაო? მეტყვის გაკვირვებული მკითხველი, რომელსაც აქვს თვალი, რომ დაინახოს, და ყური, რომ გაიგონოს, რაც მის გარშემო ხდება.—მაშ ამა-

ზე კარგი იყო, მკითხველო, უწინდელი ცხოვრება, როდესაც ადამიანის სიცოცხლეს ცალ ფულათ იყიდდი? კარგი იყო, როდესაც უწინდელი მეფეები თითო ირემზე ან ხოხობზე აძლევდნენ ხოლმე თავადობას ან აზნაურობას? კარგი იყო, როდესაც თითო ქალზე ასობითა და ათასობით ყმებს აჩუქებდნენ ხოლმე მის უსინდისო პატრონებს და ხდიდნენ მათ ბატონებათ? კარგი იყო, რომ ტაკი-მასხარაობისგულისთვის ათასსა და ორი-ათას ღლიურ მიწებს და მამულებს უთავაზებდნენ ხოლმე? კარგი იყო, რომ ბატონებს სრული ნება ჰქონდათ თავიანთ ყმების ბედზე და უბედურებაზე, მათ სარჩოზედა და მათ შეძლებაზე? კარგი იყო, როდესაც ყმებს ყურებს აჭრიდნენ ხოლმე და ამისთვის იმათ ხმის გამცემი არაინა ჰყვანდათ? ერთი სიტყვით, კაცმა რომ ჩამოთვალოს მთელი ის უსამართლოება, რომელიც უწინ ყოფილა, იმის გარდა, რის მოწამენიც დღეს ჩვენა ვართ, სწორეთ გაუხარდება, რომ თითონ არა ყოფილა იმ დროს, მადლობას იტყვის, რომ ის მხოლოდ ეხლანდელ უსამართლოების ქვეშ არის და არა მაშინდელისა. ამისთანა ამბების მცოდნეს, ჩვენ გამოგვყავს ის მტკიცე აზრი, რომ ჟამთა ვითარებით კაცის ბუნება იცვლება, გონება უნათლდება, ზნეობა უმწეიდდება, და მაშასადამე აქედგან უნდა ევლოდეთ, რომ თუ აწმყო სჯობია წარსულს, მომავალი კიდე უკეთესი იქნება აწმყოზე.

ამ მომავლის იმედით კაცი გულადათ ებრძვის უსამართლობას და ბოროტებას, რადგან იცის, რომ ეს სიცუდე ბუნებას კანონად კი არ დაუდვია ჩვენთვის, ეს ისეთი კედელი კი არ არის, რომელსაც ღრეკა არსაიღამა

აქვს, არამედ ეს არის მწვავე, ეკლიანი ლობე, რომელიც აუშენებია ჩვენ უმცრობას თავისი ხელით და რომლის არღვევაც შეუძლიან ჩვენს განათლებას

ეხლა ვიკითხოთ ჩვენ ისა, თუ რა კავშირი აქვს ამოტელა მოსაზრებას პოლიტიკასთან? — ის კავშირი, რომ პოლიტიკა არის ძალა, რომელსაც ხელთ უპყრია მთელი ხალხის ბედი. ყველა მართო თავის ქეიფზე ვერ იცხოვრებს, როდესაც ის საზოგადოების წევრია. იმისი საქციელი არ უნდა აზნედედს მეზობლის დღეგრძელობას, და რადგან კაცი მეტად თავ-მოყვარეა და თვალი უჭირავს სხვის სარჩოზე, თავის ბედნიერებას აშენებს სხვის უბედურებაზე; — ამიტომ, რომ იმას არ შეეძლოს მეზობლის განადგურება, დაარსეს კანონები, რომლებიც იმას სდებენ აღვირს. თუ კაცმა გააცდინა თავი აღვირს, მაშინ იმას გადაჰკრამენ მათრახს. ამიტომ პოლიტიკა არის ის ძალა, რომელსაც გაბმული ჰყავს თავის მახეში მთელი ხალხი, და ვაი იმას, ვინც ამ მახეს აიცილენს! რადგანაც ამ კანონების აღსრულებას უნდა თავისი იარაღი, ამიტომ საზოგადოთ ყოველ პოლიტიკასა ჰყავს თავისი აღმასრულებელი, რომელთაც კანონის მოთხოვნილებით ინახავს ხალხი ათასი ხარჯით და გადასახადით. ეს მათრახი დამყარებულია ათას ნაირ კანონებზე, რომელნიც მთელი ხალხისთვის არიან დასაყვალენი. „ზაკუნ-კანულების“ ანგარიში, ბევრათ თუ ცოტათი, ჩვენში ყველას გაეგება და აქედკან ყველასათვის გასაგები იქნება ის საგანი, რომელსაც პოლიტიკას ეძახიან. ამიტომ ვინც იცის, რა არის მათრახი, იმან ისიც უნდა იცოდეს, თუ რაში მდგომარეობს პოლიტიკა. და ვინ არის ისეთი ბედნიერი ქარ-

### პოლიტიკის მაგიერი.

თველი, რომელსაც არ ესმოდეს მათრახის ცხოველი მნიშვნელობა, რომელსაც ამ საქვეყნო საგნის წვერი არ მოხვედროდეს კისერში ან იმ ადგილას საიდანაც ფხვები იწყობენ თავიანთს თავსა, როგორც ამბობენ ხოლმე რუსები!.

ასრეთ. პოლიტიკა არის მათრახი, რომლის წვერი ხედება მთელ ხალხს განუწყვეტლივ და რომელსაც უპყრია იგი ხელში და განაგებს მას თავის ნებაზედ. ამბობენ, რომ ეს მათრახი თითონ ღმერთმა დაარსა, რადგან უმისოთ ბრიყვი ხალხი ერთმანეთს გადასჭამდაო. ჩვენ ნუ წავალთ ასე შორსა და ნუ გამოუდგებით ამ მათრახის სათაურს. რასაკერეღია, ყველაფერი ღეთის გაჩენილია. მართალია, ისიც კი ვიცით, რომ ღმერთმა კაცს მისცა ჭკვა და გონება და უთხრა—იცხოვრე, როგორც გინდოდესო, იმუშავე, გააკეთე, რაც ჭკვაში მოგივდესო. მართალია, ხორბალი ღეთის გაჩენილია, მაგრამ პური კს კაცის გამოგონილია. გამომცხვარი პური მიწაზე არ მოდის. ამიტომ, ძალიან შესაძლებელია, რომ ეს ყოველად პატივცემული მათრახიც თითონ კაცმავე მოიგონა, და ამიტომ იმასვე შეუძლიან მისი ხმარებაცა და არ ხმარებაც.

ჩვენი საქმე მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ყოველ საგანს თავისი შესაფერი სახელი ერქვას და არ გვიბრმავებდეს თვალებს. თუ კი პოლიტიკა მათრახსა ჭქვინ და ეს მათრახი ეტკაცუნება არამც თუ მთელს ხალხს, არამედ მთელ კაცობრიობასაც, მაშასადამე ძალიან საინტერესო და მისახედომი საგანი ყოფილა ჩვენი მკითხვე-

ლებისათვის, რადგანად ისინი მის ქვეშა ყოფილან და იციან მისი სუსხი.

რადგანაც სხვა-და-სხვა სახელმწიფოებში ამ მათრახს სხვი-და-სხვა გვარი ადგილი უჭირამს; რადგან გონების განათლება იმას დღითი დღე აკვეცამს ფრთებს, და რადგან დროთა-ბრუნვა იმას უპირებს გადაკეთებას იმ ფორმაზე, რომ ის ბოლოს სრულებით აღარა ჰგევანდეს მათრახსა, ე. ი. პოლიტიკა გადიქცეს ხალხის ბედნიერების ბოძათ, ხალხის ბედის გამგენი მას მართლა განაგებდნენ, ძილში თუ ფხიზლად ფიქრობდნენ მხოლოდ ხალხის დღეგრძელობაზე, დაიფიქრონ მისი დაჩაგვრა და ყურის გლეჯა და ამოუდგნენ მას ილლიაში ცხოვრების უღლის შესამსუბუქებელად და გასაწევათ: ამიტომ ჩვენი ყურნალის მოვალეობა იმაში იქნება, რომ იმან ბეჯითად თვალ-ყური ადევნოს როგორც ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკური აზრის მომწიფებას და სწორე გზების გამოკვლევას, აგრეთვე სხვა სახელმწიფოებისასაც. წარმოიდგინეთ თქვენ პოლიტიკა თუნდა სათათრეთში. ხალხის მოთავე, პასუხის-მგებელი ღვთისა და კაცის წინაშე სათათრეთის გამგეობისა გახლამთ ხონთქარი. იმისი გამგეობა მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ იცხოვროს დიდებულად, ააყვას გარემი ფერად-ფერადი ქალებითა და აღარ გამოყოს იქიდგან თავი დღე და ღამე. რაც შეეხება ხალხსა, იმისი ბედი ჩავარდნილია ხშირათ გაუნათლებელი ჩინოვნიკების ხელში, რომელნიც განაგებენ ამ ბედს, როგორც თითონ მოიწადინებენ. ახლა თქვენა ვკითხამთ, რა სიკეთე უნდა მოინდომონ ხალხისათვის იმ გაუნათლებელმა ჩინოვნიკებმა, რომელთაც არ გაეგებათ არავი-

### პოლიტიკის მაგიერი.

თარი ზნეობითი მოვალეობა, რომლებს წინ მთელი ხალხი ყმებათა და მონებათ არიან გარდაქცეულნი და მაშასადამე, ხმის ამოღების უფლება წართმეული აქვსთ? რასაკვირველია, ამ ნაირი პოლიტიკა არის ისეთი მწვავე მათრახი, რომელიც დასთრგუნავს და მოშხამავს ყოველს სიკეთეს მთელ სახელმწიფოში, ოღონდ იმის ჩინოვნიკებსა და მის ხონთქარს არ მოაკლდეთ გარემოში ახალ-ახალი ქალები და ათას ნაირი ბილწი საქმეები. რასაკვირველია, იმისი ჩინოვნიკების პირ-და-პირ მოვალეობას შეადგენს, რომ დახშოს ხალხის ჭკვა-გონება და არ გააწაწანოს მასში შუკი, რამე საღი აზრი ანუ ცხარე ხალხოსნური გრძობა.

მაგიერათ, ჩვენა ვხედამთ სხვა სახელმწიფოებს, სადაც პოლიტიკა ასეთ მწვავე მათრახობას ვერა შერება, სადაც ხალხს ვეღარ უყურებენ მგლის თვალებით, სადაც თითონ ხალხი ნებას არ აძლევს თავის დაჩაგვრისას, სადაც პოლიტიკა ძალა-უნებურათ ემსახურება ხალხის პირ-და-პირ მოთხოვნილებათა, სადაცა ზრუნავენ მთელი სახელმწიფოების ამაღლებას, განათლებას, სადაც ჩინოვნიკები ბატონებათ კი არ მიიჩნიან, არამედ ხალხის წყნარ მოსამსახურებათ ითვლებიან.

...საბინდებშიოფლონ იგიობოთუდგომ  
...ეგფსენ ციოუნლოტ პნფლიფოფმეგ თეიტეიფთაშპ (V  
...ციტიოლონ ობნფთაოლესაბინდმსენენ ეფშ თუ **ტაუტალა**.  
...შეცაიფლოტიძოინინ პინდნეშიოფლონ იბ

ჩნამცტაღე .მინ ინტენსივუ ზ ინტენსივუ

### ჩეღაქციისაგან.

იოცნის მიწა სინდრონი ითიბლომ ილს  
თე იმუტეცსეთრე შიბა თინტონ თე თინტეც იმუტ  
ქოსმე იოცნისოლმ ანტეფლ სინტელონი სინტ ენტეასენ

ბოდიშს ვითხოვთ მკითხველებთან, რომ დროზედ ვერ  
გამოვეციტ ეს პირველი ნომერი, დავაგვიანეთ, კიდევ იმა-  
ზედ, რომ სასტიკათ ვერ შეურჩიეთ მას სტატიები. მიზეზი  
ორივე გარემოებისა ის იყო, რომ გვიან მივიღეთ მართებ-  
ლობისაგან ნება-რთვა ჟურნალის გამოცემაზედ. შემდეგში  
ვეცდებით, ორივე ეს ნაკლულევენება ჟურნალისა მოვსპოთ.  
ამასთანავე საჭიროთ ვრაცხთ ვადაცნოთ მკითხველე-  
ბი „**იმედის**“ პროგრამასთან. ამ ჟურნალს ექმნება:

1) ბელეტრისტიკული განყოფილება, რომელშიაც  
დაიბეჭდებიან როგორც ორიგინალური ქართული თხზუ-  
ლებები, ეგრეთვე ნათარგმნები.

2) ისტორიული, რომელიც შესდგება სტატიებისაგან  
შესახებ კავკასიის და სხვა ქვეყნების წარსულის ცნობებისა.

3) პუბლიცისტიკური, რომელშიც იქნებიან სტატიები  
შესახებ სწავლების საქმისა.

4) კრატეკული, რომელშიაც იქნება გარჩევა, რო-  
გორც ადგილობრივის, ეგრეთვე სხვა ქვეყნების სალიტე-  
რატურო თხზულებებისა.

5) ადგილობრივი, რომელშიაც იქნება განხილვა კავ-  
კასიის მხარის საზოგადოებრივი მოვლინებებისა.

6) რუსეთის ცნაჯრება, ანუ მიმოხილვა რუსეთის სა-  
ზოგადოებრივი მოვლინებებისა.

7) საზოგადოებრივი განყოფილება, რომელიც შესდგე-  
ბა რუსეთის და სხვა ქვეყნების საყოველთაოდ პოლიტიკუ-  
რი მოვლინებების მიმოხილვისაგან.

ჩეღაქციისა და გამომცემი მის. გურგენიძე.